ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

29 აგვისტო ხუთშაბათი 2013

№203 (14 119) ფასი 80 თეთრი





# არ გვეყო საფანტი

12

10

კალათბურთელთა ნაკრებმა ისრაელთან 75:77 წააგო, ძიუდოისტები ისევ მედლის გარეშე დარჩნენ

# დღეს იმედი დილაა

UEFA EUROPA LEAGUE



ფრთხილად, რაპიდი ევროპალიგის ჯგუფისკენ მიიპარება!

2

თამუნა ჟულუმბეგაშვილის ფოტოები





3

## ღირსების საქმე

„დინამო“ ლონდონში ივარჯიშა

DILA Gori

არც ერთი ნაბიჯი უკან



RAPID Wien

TimeLine

სპეცგამოშვება

16

UEFA CHAMPIONS LEAGUE

# ლიგა დაკომპლექტდა, დარჩა წილისყრა

9

ევროპალიგა. დილა-რაპიდი.
პლეი-ოფის საპასუხო მატჩი

29.08. თბილისი. მ. მესხი. 20:00
**დილა-რაპიდი**
საქართველო — ავსტრია
პირველი მატჩი 0:1
პირდაპირი რეპორტაჟი პირველ არხზე

# გიორგი დევდარიანი: რაპიდს მხოლოდ პატრიოტიზმით ვერ მოვუგებთ

## ირაკლი მოდებაძე ორი ტაიმისთვის მზად არ არის

დღეს, „მიხეილ მესხზე" ევროპალიგის პლეი ოფის საპასუხო შეხვედრაში გორის „დილა" ვენის „რაპიდს" შეხვდება. გუშინ კი მეტოქე გუნდების მწვრთნელებმა და ფეხბურთელებმა პრესკონფერენციები გამართეს.

**შტეფან ჰოფმანი** („რაპიდის" კაპიტანი): „პირველ მატჩში მოგების მიუხედავად, ვაცნობიერებთ, რომ საკმაოდ საშიში მეტოქე გვყავს და შეხვედრას განსაკუთრებული მობილიზებით ვეკიდებით. ავსტრიის ჩემპიონატის ბოლო ტურში წაგება „დილასთან" საპასუხო მატჩზე გავლენას არ მოახდენს. ევროპალიგაზე გასვლა ჩვენთვის ბევრს ნიშნავს.

...თბილისში 2007 წელსაც მითამაშია, მაშინ „დინამოს" აქ 3:0 მოვუგეთ, შინ კი - 5:0. ამჯერად, ქართული გუნდი ასე იოლად ველარ დავამარცხეთ. მაგრამ ვეცდებით, „დილასთან" მატჩიც საჩვენოდ დავასრულოთ".

**ზორან ბარიშიჩი** („რაპიდის" მთავარი მწვრთნელი): „ვეცდებით, თბილისში ჩვენი უპირატესობა კიდევ უფრო გავზარდოთ. თუმცა სოლიდური და ძლიერი მეტოქე გვყავს. „დილაში" ბევრი ტექნიკური მოთამაშეა, რომლებიც საფრთხეს შეგვიქმნიან. დაძაბულ და საინტერესო შეხვედრას ველი. ვიცი, რომ სტადიონი შეივსება, რაც „დილას" შეტევებისკენ უბიძგებს. ამის მიუხედავად, დაცვაში ჯდომასა და უკნიდან თამაშს არ ვაპირებთ. რა და როგორ აჯობებს, ამას უშუალოდ მატჩი დაგვანახვებს. აქვე ვიტყვი, რომ ავსტრიის ჩემპიონატის ბოლო ტურში ნათამაშებ შემადგენლობაში ცვლილებები მოხდება".

**გიორგი დევდარიანი** („დილას" მთავარი მწვრთნელი): „მოდებაძე ორი ტაიმისთვის მზად არ არის, მაგრამ ერთს მაინც ითამაშებს. ვიცით, ამ შეხვედრას „დილასთვის" ისტორიული მნიშვნელობა აქვს და ვეცდებით, ქართველი გულშემატკივარი გავახაროთ. თუმცა, „რაპიდს" მხოლოდ პატრიოტულ მოტივებზე ლაპარაკით ვერ დავამარცხებთ. ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა და იცის, რა დავალება უნდა შეასრულოს...

...მეტოქეს რომ კარგი მწვრთნელი ჰყავს, პირველ შეხვედრაში გამოჩნდა - ჩვენი თამაშის მანერა კარგად ჰქონდა შესწავლილი. შეტევები ეფექტურად ჩაგვიკეტეს, განსაკუთრებით, კონტრშეტევებზე. ის, რომ „რაპიდმა" ავსტრიის ჩემპიონატში ზედიზედ 2 შეხვედრა წააგო, იმას ნიშნავს, ჩვენთან მატჩებისთვის სერიოზულად ემზადებოდნენ. ამიტომაც ათამაშეს ბოლო ტურში მეორე შემადგენლობა. თუმცა, მეტოქისადმი პატივისცემის მიუხედავად, ხვალ მოსაგებად უნდა ვიბრძოლოთ...

ამავე დროს, მინდა ვთქვა: ავსტრიაში ძალიან არასასიამოვნო ფაქტი მოხდა, მაგრამ „რაპიდი" და მისი ქომაგები ამასთან კავშირში არ არიან. ამიტომ მივმართავთ გულშემატკივრებს: ავსტრიელ პოლიციელებს პასუხი შესაბამისმა ორგანოებმა გასცენ, ჩვენ კი ფეხბურთს და ერთმანეთს ვცეთ პატივი".

**მერაბ მამულაშვილი**



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ტრანსფერი

# ცსკა-ს ნახევარმცველი დილაში ითამაშებს

## გორელებს ქვილითაიაც დაეხმარება

გორის „დილამ" ორი ისეთი ტრანსფერი განახორციელა, რომელიც პერსპექტივაში გუნდს გააძლიერებს. თავდაპირველად **გიორგი ქვილითაიაზე** ვთქვათ. 19 წლის თავდამსხმელმა ახალ გუნდში უკვე ივარჯიშა. როგორც იცით, ქვილითაიამ 2013 წლის იანვარში უნგრულ „დიორ ეტოსთან" გააფორმა ნახევარწლიანი (კიდევ 3 წლით გაგრძელების პერსპექტივით) კონტრაქტი. სეზონის დასრულების შემდეგ ქვილითაიამ ხელშეკრულება აღარ გააგრძელა და აგერ, „დილაში" აღმოჩნდა.

„დილას" მეორე ახალწვეული რუსული ფეხბურთის იმედად მონათლული, 22 წლის ნახევარმცველი **ნიკა ფილიევია**. ის ახლა რუსეთის მოქალაქეა, თუმცა ნაძალადევში, უიარაღოს ქუჩაზეა გაზრდილი. 5 წლის იყო, როდესაც მისი ოჯახი სოჭში დასახლდა, მერე საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა, ხოლო ნიკა „ლოკომოტივის" საფეხბურთო სკოლაში შევიდა. 2009 წელს რუსეთის პრემიერლიგაში სადებიუტო მატჩიც რკინიგზელთა მაისურით ითამაშა. იმავე წლის 31 აგვისტოს ფილიევი მოსკოვის ცსკა-ში ჩაირიცხა, რომლის შემადგენლობაშიც, იმავე სეზონში, ჩემპიონთა ლიგის 3 მატჩი ჩაატარა.

...მაგრამ კარიერა ტრავმამ აურია. მერე იყო პერმის „ამკარი", ცსკა-ში დაბრუნება, იჯარა ბრატისლავის „სლოვანში", წლეულს კი რუსეთის პირველი ლიგის „ვოლგარი" (ასტრახანი) და აქაც იჯარით. ნიკა რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრიც იყო.

უახლოეს დღეებში ქვილითაია და ფილიევი „დილასთან" ნახევარწლიან კონტრაქტებს გააფორმებენ. „რაპიდთან" კი, ცხადია, ვერ ითამაშებენ, რადგან „დილას" საევროპო განაცხადში არ არიან.

„ამ ფეხბურთელების ჩამოყვანა მამუკა ჯულელმა და ლევან სილაგაძემ მოახერხეს. მიმაჩნია, რომ საინტერესო ფეხბურთელები არიან და გუნდის გაძლიერება შეუძლიათ. ფორმაში შესასვლელად ორივეს დრო სჭირდება", - გვითხრა „დილას" მთავარმა მწვრთნელმა **გიორგი დევდარიანმა**.

**მერაბ მამულაშვილი**

დილა-რაპიდი. წინათქმა და ისტორია

# ვუქომაგოთ და გავიხაროთ!



ვენაში დილამ მინიმალური ანგარიშით წააგო, დღეს მის გაბათილებას ეცდება

...ერთი კვირის წინ, ევროპალიგის პლეი ოფის პირველი მატჩების („დინამო"-„ტოტენჰემი", „რაპიდი"-„დილა") წინათქმას ასეთი სათაური შევურჩიეთ: „ჯგუფში ორი გუნდით - მითი თუ რეალობა?" სამწუხაროდ, პირველი შეხვედრების შედეგების მიხედვით ორი ქართული გუნდიდან ერთს თეორიული შანსიც აღარ დარჩა ევროპალიგის ჯგუფურ ეტაპზე მოსახვედრად, აი, მეორის საქომაგოდ კი დღეს ქართველმა გულშემატკივარმა არ უნდა დაიზაროს და მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის ტრიბუნები უნდა გაავსოს! მით უფრო, რომ გორის „დილამ" ამ ზაფხულს უკვე ორჯერ გაგვახარა არამხოლოდ სასურველი შედეგის, არამედ ეშხიანი და გონივრული ფეხბურთის ჩვენებით!

რა თქმა უნდა, წყვილში ფავორიტად ავსტრიის ერთ-ერთი უძველესი და ტიტულიანი კლუბი „რაპიდია" მიჩნეული; თუმცა, ეს გუნდი უძლეველი მეტოქე ნამდვილად არ არის და ყოველივე „რაპიდი" - „დილას" პირველი შეხვედრისასაც ნათლად ჩანდა; ისიც ფაქტია, რომ ჩვენებს დასაკარგი არაფერი ექნებათ: როგორი შედეგითაც უნდა დამთავრდეს დღევანდელი დაპირისპირება, „დილაზე" აუგი ვინ უნდა თქვას?!.

ჰო, ფაქტობრივად, ერთი თვის წინათ ჩამოყალიბებულმა გუნდმა თუ ამდენი მოახერხა და ლამაზი და კომბინაციური ფეხბურთის „თანხლებით" ევროტურნირების ორი ეტაპი გაიარა! თანაც, არ დაგვავიწყდეს, რომ ევროპალიგაზე ამ ზაფხულს ჩატარებულ ხუთ მატჩში „დილამ" მხოლოდ ერთადერთი გოლი გაუშვა (ისიც - დღევანდელი მეტოქისგან). საიმედო და ჩინებულ ფორმაში მყოფი მეკარე, კარგად დაბალანსებული დაცვის ხაზი, მობილური ნახევარდაცვა და აგრესიული შემტევები, - მართლაც საცოდაობა იქნება ასეთი გუნდის... დაშლა!

ყოველ შემთხვევაში, ბევრი საუბრობს „დილადან" რამდენიმე გამორჩეული ფეხბურთელის შესაძლო წასვლაზე და ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ მდგომარეობაში აღმოჩნდება გორელთა გუნდის წარმატების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი, მთავარი მწვრთნელი გიორგი დევდარიანი...

...პირველ მატჩში დაფიქსირებული 0:1 ძალიან არასასიამოვნო ანგარიშია: მეტოქეს გოლ(ებ)ი ყველა ვარიანტში უნდა გაუტანო, ამავდროულად, საკუთარი კარის უსაფრთხოებაზეც უნდა იფიქრო; არადა, სტუმრები რომ კონტრშეტევებზე ააგებენ თამაშს, ამას, ალბათ, ბევრი მარჩიელობა არ სჭირდება. თუმცა, იმედი დავიტოვოთ, რომ „დილა" დღესაც გაახარებს ქართველ ქომაგს და 9-წლიანი პაუზის მერე საქართველოს გუნდს კვლავაც ვიხილავთ ევროპალიგის (უეფას თასის) ჯგუფურ ეტაპზე!..

### შარშანდელზე უკეთესის იმედად...

ევროტურნირებზე ქართულ-ავსტრიული კლუბების ურთიერთდაპირისპირებებზე ქვემოთ ვისაუბრებთ (ისე, წინდაწინ ვიტყვით, რომ სტატისტიკა აშკარად არ არის ჩვენს მხარეზე), მანამდე კი ის შემთხვევები გვინდა გავიხსენოთ, თუ როდის მოუხერხებიათ ჩვენს გუნდებს პირველ მატჩში 0:1-ის გაბათილება და მომდევნო ეტაპზე გასვლა. სამწუხაროდ, ამ შემთხვევაშიც სტატისტიკა აშკარად არასაჩვენოა: ათიდან მხოლოდ ორჯერ მოხდა, როცა ქართულმა გუნდმა 0:1 სტუმრად წააგო, მაგრამ საპასუხოში იყოჩაღა და შემდეგ ეტაპზეც გაალწია. პირველი ასეთი შემთხვევა 1976 წელს იყო, როცა თასების მფლობელთა თასის გათამაშების 1/16-ფინალში უელსურმა „კარდიფ სიტიმ" პირველ მატჩში თბილისის „დინამოს" 1:0 მოუგო...

და აი, საპასუხო შეხვედრის დროც დადგა, რომელიც განახლებულ „დინამოს" სტადიონზე უნდა ჩატარებულიყო და ადვილი წარმოსადგენია, 75 000 გულშემატკივარს როგორი განწყობა ექნებოდა. თანაც, მანამდე „დინამო" ევროტურნირების საშინაო შეხვედრებს ვაკეში, „ლოკომოტივზე" ატარებდა და „კარდიფთან" მატჩი სადებიუტოც იყო ჩვენი უმთავრესი საფეხბურთო არენისათვის.

იმ წელს „დინამოს" მშვენიერი სეზონი ჰქონდა: ბოლოს და ბოლოს, გუნდმა მოახერხა და მეექვსე ცდაზე მოიპოვა საბჭოთა კავშირის თასი (ფინალში ერევნის „არარატს" 3:0 მოუგო), თუმცა ევროტურნირები მაინც სხვა მნიშვნელობის იყო და **ნოდარ ახალკაცის** დამოძღვრილმა „დინამომაც", ქართველ გულშემატკივარს იმედი არ გაუცრუვა და „კარდიფ სიტის" კარში სამი უპასუხო გოლი გაიტანა! აღსანიშნავია, რომ პირველი ტაიმი 0:0 დამთავრდა, აი, მეორეში კი **ვლადიმერ გუცაევმა, დავით ყიფიანმა და ფირუზ კანთელაძემ** (პენალტით) სამი გოლით „ასიამოვნეს" ბრიტანელებს...

მეორე მსგავსი შემთხვევა 2005 წელს იყო და მაშინაც თბილისის „დინამომ" შეძლო საპასუხო შეხვედრაში 0:1-ის „შემოტრიალება": ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ესტონურ „ლევადიასთან" წაგებას საპასუხო შეხვედრაში 2:0 მოჰყვა. „დინამოს" მთავარი მწვრთნელი **კახა ცხადაძე** გახლდათ, გოლები კი **ლევან მელქაძემ** და **სერგი ორბელაძემ** გაიტანეს. აი, დანარჩენ რვა შემთხვევაში კი პირველი მატჩში სტუმრად წაგებული 0:1 ქართული კლუბებისთვის დაუძლეველ ბარიერად იქცეოდა ხოლმე. არადა, 2006 წელს, თბილისის „ამერის" მეტოქე „ჰერტას" თუ არ ჩავთვლით, სხვა შემთხვევებში არცთუ ძლიერ გუნდებს ვერ ვუგებდით ჩვენთვის სასურველი ანგარიშით: ბულგარულ „ბოტევს", მაკედონიის „ვარდარს", ავსტრიულ „პაშინგს", მინსკის „დინამოსა" თუ ლვოვის „კარპატის".

ყველაზე მტკივნეულად კი, ალბათ, მაინც 2011 წელს, ევროპალიგის პლეი ოფი გაგვახსენდება: ათენის აეკ-თან სტუმრად 0:1-ს, თბილისის „დინამომ" ანალოგიური ანგარიშით „უპასუხა," მაგრამ ბერძნებმა დამატებით დროში ერთი ბურთის გატანა მოახერხეს და ჯგუფურ ეტაპზეც გავიდნენ.

დაბოლოს: გორის „დილამ" შარშანაც მიაღწია ევროპალიგის პლეი ოფამდე და პორტუგალიურ „მარიტიმუსთან" პირველი მატჩი სტუმრად 0:1 წააგო. სამწუხაროდ, საპასუხოშიც „მარიტიმუმ" გაიმარჯვა (2:0) და ჯგუფშიც მოხვდა, მაგრამ დღეს მოვლენების სხვაგვარი განვითარების იმედი გვაქვს...

### უსიამოვნო სტატისტიკა

საკლუბო თუ სანაკრებო დონეზე მართლაც თითზე ჩამოსათვლელია ისეთი გუნდები, რომლებთანაც დადებითი ბალანსი გვაქვს; სამწუხაროდ, გამონაკლისი არც ავსტრიული კლუბებია: დღემდე ჩატარებულ 19 დაპირისპირებაში 5 მოგება გვაქვს, 3 ფრე და 11 წაგება (ბურთების სხვაობა: 16-32). სხვათა შორის, 1993 წლიდან მოყოლებული (ანუ, რაც ქართული გუნდები დამოუკიდებელი ქვეყნის სახელით მონაწილეობენ), ევროტურნირებზე ყველაზე ხშირად ავსტრიულ კლუბებთან გვიწევდა პაექრობა, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტკბილად მოსაგონარი ძალზე ცოტაა.

..."აუსტრია," „რაპიდი", „ტიროლი", „რიდი", „შტურმი", - ავსტრიის თითქმის ყველა ძლიერ გუნდთან გვითამაშია („ზალცბურგის" გარდა); ამათ გარდა იყვნენ „გრაცერი" და „პაშინგიც", დღესდღეობით ავსტრიის რანგით მესამე ლიგაში რომ ასპარეზობენ, თუმცა, ჩვენს გუნდებს რომ ეთამაშებოდნენ, იმ პერიოდში ავსტრიის ბუნდესლიგაში გამოდიოდნენ. სხვათა შორის, „პაშინგმა" წინა სეზონში ევროპული კი არა, მსოფლიო „მასშტაბის" სენსაცია მოახდინა: მესამე ლიგის გუნდი ავსტრიის თასის ფინალში გავიდა და მერე, ქვეყნის ყველაზე ტიტულიან კლუბსა და იმ მომენტისათვის ავსტრიის ჩემპიონს „აუსტრიასაც" მოუგო და თასის აღებასთან ერთად ევროპალიგის საგზურიც მოიპოვა.

აბა, წარმოიდგინეთ, საქართველოში რომ... მეორე ლიგის გუნდმა შეძლოს თასის ფინალამდე კი არა, თუნდაც... მეოთხედფინალამდე მიღწევა. თუმცა... ვფიქრობთ, თემას გადავუხვიეთ და ევროტურნირებზე რამდენიმე ქართულ-ავსტრიულ დაპირისპირებას გაგახსენებთ. პირველი „ნაცნობობა" 1981 წლის შემოდგომაზე მოხდა, როცა თასების მფლობელთა თასის 1/16 ფინალში თბილისის „დინამომ" უპრობლემოდ შეძლო „გრაცერის" გზიდან ჩამოცილება: თბილისში 2:0 გავიმარჯვეთ (გოლები: **ვაჟა ჟვანია, რამაზ შენგელია**), სტუმრად კი 2:2 (გოლები: **რამაზ შენგელია** - 2) ვითამაშეთ თანაც, ამ ტურნირზე „დინამო"... წინა გათამაშების ტრიუმფატორის რანგში ჩაერთო!

...მეორედ ავსტრიელებს 1994 წლის შემოდგომაზე შევხვდით: უეფას თასის 1/32 ფინალში „დინამომ" შინ **რევაზ არველაძის** ერთადერთი გოლით აჯობა „ტიროლს", რომელსაც ავსტრიული ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა **ჰანს კრანკლი** წვრთნიდა. სამწუხაროდ, საპასუხო მატჩში დიდი ანგარიშით (1:5) წავაგეთ, რაც, იმის ბრალიც იყო, რომ ძირითადში მხოლოდ ერთი ნომინალური მცველი (**ნუგზარ ლობჟანიძე**) გვყავდა, დაცვის ლიდერი **მურთაზ შელია** კი თბილისურ მატჩში გააძევეს და „ტიროლთან" დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი მისი არყოფნაც იყო. მერე და მერე სხვადასხვა ავსტრიულ კლუბებსაც „ვეცნობოდით".

ჯერ მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ ავსტრიულ „რიდთან" დაპირისპირებამ სამ თბილისურ გუნდს მოუწია: „მერანი 91-ს", „დინამოსა" და „ვიტ ჯორჯიას"; ორჯერ ვეთამაშეთ „შტურმს", თუმცა, ვერც „დინამომ" და ვერც „ზესტაფონმა" ამ გუნდის დამარცხება ვერ შეძლო. ისეთი შემთხვევაც იყო, როცა ქართულ-ავსტრიული კლუბების დაპირისპირება მხოლოდ... ერთმატჩიანი გამოდგა: 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გამო, უეფამ გადაწყვიტა, რომ „აუსტრიას" და „ვიტ ჯორჯიას" ორის ნაცვლად, ერთმანეთში მხოლოდ ერთი მატჩი უნდა ჩაეტარებინათ, ისიც - ნეიტრალურ მოედანზე...

...აი, რაც შეეხება „დილას" დღევანდელ მეტოქეს, ავსტრიული გუნდებიდან ყველაზე მწარე მარცხი სწორედ „რაპიდისგან" გვახსოვს: 2007 წელს, უეფას თასის II საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „დინამომ" ჯერ შინ წააგო 0:3, ორი კვირის მერე კი უფრო დიდი ანგარიშითაც (0:5) დამარცხდა. მოკლედ, „დილას" დღეს ამ უსიამოვნო სტატისტიკის „დარღვევაც" მოუწევს...

**გია ტუხაშვილი**

#### ყველა ქართულ-ავსტრიული დაპირისპირება

1981 წელი. თასების მფლობელთა თასი. 1/16 ფინალი

**დინამო (თბილისი)-გრაცერი (ავსტრია) 2:0**
ვ. ჟვანია, რ. შენგელია
**გრაცერი-დინამო 2:2**
რ. შენგელია - 2

1994 წელი. უეფას თასი. 1/32 ფინალი

**დინამო (თბილისი)-ტიროლი (ავსტრია) 1:0**
რ. არველაძე
**ტიროლი-დინამო 5:1**
შ. არველაძე

1997 წელი. ინტერტოტოს თასი

**რიდი (ავსტრია)-მერანი 91 (თბილისი) 1:3**
მ. მაზიაშვილი, დ. გოდერძიშვილი, ბ. კვარაცხელია

2001 წელი. ინტერტოტოს თასი. I ეტაპი

**ვიტ ჯორჯია (თბილისი)-რიდი (ავსტრია) 1:0**
ა. გოგობერიშვილი
**რიდი-ვიტ ჯორჯია 2:1**
ლ. მელქაძე

2003 წელი. ინტერტოტოს თასი. I ეტაპი

**პაშინგი (ავსტრია)-ვიტ ჯორჯია (თბ.) 1:0**
**ვიტ ჯორჯია-პაშინგი 2:1**
ლ. მელქაძე, ე. მერებაშვილი

2006 წელი. ინტერტოტოს თასი. II ეტაპი

**რიდი (ავსტრია)-დინამო (თბილისი) 3:1**
შ. გრიგალაშვილი
**დინამო - რიდი 0:1**

2007 წელი. უეფას თასი. II საკვალიფიკაციო ეტაპი

**დინამო (თბილისი)-რაპიდი (ავსტრია) 0:3**
**რაპიდი-დინამო 5:0**

2008 წელი. ევროპის ლიგა. II საკვალიფიკაციო ეტაპი

**აუსტრია (ავსტრია)-ვიტ ჯორჯია (თბ) 2:0**

2010 წელი. ევროპის ლიგა. III საკვალიფიკაციო ეტაპი

**შტურმი (ავსტრია)-დინამო (თბილისი) 2:0**
**დინამო - შტურმი 1:1**
რობერტინიო

2011 წელი. ჩემპიონთა ლიგა. III საკვალიფიკაციო ეტაპი

**ზესტაფონი - შტურმი 1:1**
ნ. გელაშვილი
**შტურმი - ზესტაფონი 1:0**





ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპალიგა. დილა-რაპიდი.
პლეი ოფის საპასუხო მატჩი

29.08. ლონდონი. უაით ჰარტ ლეინი. 23:05
**ტოტენჰემი-დინამო (თბ)**
ინგლისი — საქართველო
პირველი მატჩი 5:0

# ღირსების საქმე

თბილისის „დინამოს" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, 5-საათიანი ფრენის შემდეგ საქართველოს ჩემპიონი ლონდონს ესტუმრა და „უოლტჰემ ები მერიოტ ოტელში" დაბინავდა. გუშინვე **დუშან უჰრინმა** გუნდი „უაით ჰარტ ლეინზე" ავარჯიშა.

„ტოტენჰემთან" თბილისში წაგებული (0:5) მატჩის შემდეგ, „დინამოს" შანსი რომ აღარ აქვს, ამაზე არავინ კამათობს. ამიტომაც ძნელია საბრძოლო განწყობაზე ლაპარაკი, თუმცა იმის კი გვჯერა, რომ ქართული ფეხბურთის ფლაგმანი, როგორც შეუძლია, ქვეყნისა და კლუბის ღირსებას მოუფრთხილდება.

უჰრინმა ლონდონში ვერ წაიყვანა ტრავმირებული **ჩისკო**, სხვა მხრივ, „დინამოს" განაცხადი სტანდარტულია.

მეკარეები - **გიორგი ლორია, თორნიკე ზარქუა;**

მცველები - **გიორგი სეთურიძე, გივი კვარაცხელია, გიორგი გველესიანი, დავით ხურცილავა, დავით კვირკველია, გიორგი შაშიაშვილი, დარკო გლიშიჩი;**

ნახევარმცველები - **ლევან ხმალაძე, გიორგი მერებაშვილი, გიორგი პაპავა, ელგუჯა გრიგალაშვილი, ირაკლი ძარია, დორინ გოგა;**

თავდამსხმელები - **ჯაბა დვალი, დავით ხოჭოლავა, პატრიკ ვუო.**

შეგახსენებთ, რომ „ტოტენჰემი"-„დინამო" თბილისის დროით 23:05-ზე დაიწყება. **ლუკა ბანტის** თავკაცობით, მატჩს იტალიელ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება.

■ ■ ■

გუშინ „ტოტენჰემის" მწვრთნელმა **ანდრე ვილაშ-ბოაშმა** Spurs TV-ს (საკლუბო ტელეარხი) ინტერვიუ მისცა. როგორც პროფესიონალს სჩვევია, 35 წლის სპეციალისტს ერთი სიტყვაც არ დასცდენია იმაზე, რომ მისი გუნდი უკვე ჯგუფურ ეტაპზეა, პირიქით - საქმე ჯერ ბოლომდე გვაქვს მისაყვანიო, განუცხადა ჟურნალისტებს.

„თბილისში კარგად ვითამაშეთ და შედეგიც შესაფერისი მივიღეთ. ამან ჩვენი პოზიციები გაამყარა, თუმცა 5:0 არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი დასრულებულია - საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ. თუ ვინმეს ჰგონია, რომ მოტივაცია აღარ გვაქვს, ძალიან ცდება. ჩვენი მოტივაციაა ისიც, რომ ლამაზი ფეხბურთი ვითამაშოთ და ახალგაზრდა ფეხბურთელებს თავის გამოჩენის შანსი მივცეთ. ოღონდ, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ თამაში ჩვენთვის სასურველი სცენარით წარიმართება. მთავარია, ბოლომდე მივიღოთ იმის გარანტია, რომ ჯგუფურ ეტაპზე მოვხვდებით", - თქვა ვილაშ-ბოაშმა Spurs TV-სთან ინტერვიუში.

**გიორგი გელაშვილი**

დინამო ლონდონშია — ფოტო: www.fcdinamo.ge



ლეგიონი

# აპა გოგუა, აპა მარცვალაძე!

გუშინ რუსეთის ჩემპიონატის I დივიზიონში ორი ქართული გოლი გავიდა. ხაბაროვსკის „სკა ენერგიამ" სტუმრად „შინიკს" რომ მოუგო (2:1), აქ ანგარიში **გოგიტა გოგუამ** გახსნა. 30 წლის ნახევარმცველმა პირველ ტაიმში პენალტი გაიტანა და 8 მატჩში 3 გოლი დაუგროვდა. გოგუა 77-ე წუთზე შეცვალეს, **გიორგი ნავალოვსკიმ** კი სრულად ითამაშა.

გაიტანა **ოთარ მარცვალაძემაც** (4 მატჩი, 2 გოლი). მისმა „ალანიამ" ლიდერ „არსენალს" უმასპინძლა და დამაჯერებლად სძლია - 2:0. მარცვალაძემ თავისიანები 29-ე წუთზე დააწინაურა, 82-ეზე კი ადგილი **გოჩა ხოჯავას** დაუთმო.

ნალჩიკის „სპარტაკი" ორენბურგის „გაზოვიკთან" სტუმრად შერცხვა - 0:4. „გაზოვიკში" არ უთამაშია **ზურაბ არზიანს**. რაც შეეხება ნალჩიკელ ქართველ **დავით სირაძეს**, მან 66-ე წუთიდან ითამაშა, მატჩის მიწურულს კი გაფრთხილება მიიღო.

ყვითელი ბარათი უჩვენეს მცველ **აკაკი ხუბუტიასაც**, რომლის „მორდოვიამ" სტუმრად „ნეფტეხიმიკს" აჯობა - 1:0. აქაც შეიძლებოდა, ქართული დერბი შემდგარიყო, მაგრამ 20 წლის ფორვარდი **მერაბ ურიდია** „ნეფტეხიმიკის" განაცხადში ვერ მოხვდა.

**გიორგი გელაშვილი**

# ამისულაშვილი ორ სიმბოლურში

რუსეთის პრემიერლიგის მე-6 ტურში, „რუბინი" ყაზანში „კრილია სოვეტოვთან" მხოლოდ ფრეს დასჯერდა - 1:1. ეს ტურის ერთ-ერთი სიურპრიზი იყო. სპეციალისტებმა და მედიამ აღიარეს, რომ სამარელთა მიერ მოპოვებული ერთი და ყაზანელთა დაკარგული ორი ქულა „კრილიას" მცველის, **ალექსანდრე ამისულაშვილის** დამსახურება იყო. საქართველოს ნაკრების მოთამაშე სიმბოლურ ნაკრებში ორმა პოპულარულმა გამოცემამ - „სპორტ-ექსპრესმა" და championat.ru-მ დაასახელა.

„ამისულაშვილი დაცვაში პარტნიორებს კარგად ხელმძღვანელობდა და, ფაქტობრივად, არ ცდებოდა. მან თავის გამოჩენის შანსი ტანმაღალ რონდონს მოუსპო და „მეორე სართული", ფაქტობრივად, გადაუკეტა", - წერს „სპორტ-ექსპრესი".

„სამარელთა დაცვა უშეცდომოდ თამაშობდა. ამისულაშვილი რონდონს მშვენივრად გაუმკლავდა. მეორე ტაიმში რუბინელებს ბედი შორეული დარტყმებით რომ არ ეცადათ, „კრილიას" დაცვას სანერვიულო არც ექნებოდა", - ეს უკვე championat.ru-ს შეფასებაა.

**მერაბ მამულაშვილი**



ალექსანდრე ამისულაშვილი

უეფას რეიტინგი

# აზერბაიჯანმა გაგვასწრო, ვინ იქნება შემდეგი?

უეფას წინა და მიმდინარე გათამაშებების შედეგად, საქართველომ ევროპულ საკლუბო რეიტინგში პოზიცია დათმო. 2013/14 წლების სეზონში ჩატარებული მატჩების გათვალისწინებით, საქართველო 31-ე ადგილზეა. ბოლო ორ ევროსეზონში 1.500 და 1.875 ქულა დავაგროვეთ. და ეს იმ დროს, როცა საუკეთესო შედეგი (2.875) ქულა 2011/12 წლების სეზონში გვქონდა. სადღეისოდ კი საამაყო ბევრი არაფერი გვაქვს. აზერბაიჯანმა წლეულს და გასულ სეზონში, შესაბამისად, 3.000 და 2.500 ქულა დააგროვა, რეიტინგში 4 საფეხურით წაიწია წინ და გაგვასწრო კიდეც. პირველი ათეული ასე გამოიყურება:

| ქვეყანა | 09/10 | 10/11 | 11/12 | 12/13 | 13/14 | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ესპანეთი | 17.928 | 18.214 | 20.857 | 17.714 | 2.000 | 76.713 |
| 2.ინგლისი | 17.928 | 18.357 | 15.250 | 16.428 | 1.928 | 69.891 |
| 3.გერმანია | 18.083 | 15.666 | 15.250 | 17.928 | 1.857 | 68.784 |
| 4.იტალია | 15.428 | 11.571 | 11.357 | 14.416 | 1.666 | 54.438 |
| 5.პორტუგალია | 10.000 | 18.800 | 11.833 | 11.750 | 1.583 | 53.966 |
| 6.საფრანგეთი | 15.000 | 10.750 | 10.500 | 11.750 | 2.000 | 50.000 |
| 7.ჰოლანდია | 9.416 | 11.166 | 13.600 | 4.214 | 1.166 | 39.562 |
| 8.რუსეთი | 6.166 | 10.916 | 9.750 | 9.750 | 2.000 | 38.582 |
| 9.უკრაინა | 5.800 | 10.083 | 7.750 | 9.500 | 1.500 | 34.633 |
| 10.ბელგია | 8.700 | 4.600 | 10.100 | 6.500 | 1.700 | 31.600 |
| 11.თურქეთი | 7.600 | 4.600 | 5.100 | 10.200 | 1.900 | 29.400 |
| 31.საქართველო | 1.750 | 1.875 | 2.875 | 1.500 | 1.875 | 9.875 |

პოსტსაბჭოური ქვეყნების საკლუბო რეიტინგი

| ქვეყანა | 09/10 | 10/11 | 11/12 | 12/13 | 13/14 | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1(8).რუსეთი | 6.166 | 10.916 | 9.750 | 9.750 | 2.000 | 38.582 |
| 2(9).უკრაინა | 5.800 | 10.083 | 7.750 | 9.500 | 1.500 | 34.633 |
| 3(20).ბელორუსი | 3.375 | 5.875 | 3.125 | 4.500 | 1.500 | 18.375 |
| 4(30).აზერბაიჯანი | 1.500 | 2.000 | 1.375 | 3.000 | 2.500 | 10.375 |
| 5(31).საქართველო | 1.750 | 1.875 | 2.875 | 1.500 | 1.875 | 9.875 |
| 6(33).მოლდოვა | 2.125 | 2.125 | 0.500 | 2.250 | 1.750 | 8.750 |
| 7(35).ყაზახეთი | 1.250 | 0.875 | 1.625 | 1.375 | 2.375 | 7.500 |
| 8(38).ლატვია | 2.250 | 0.500 | 0.625 | 1.250 | 1.625 | 6.250 |
| 9(40).ლიტვა | 1.250 | 0.625 | 1.000 | 1.125 | 1.250 | 5.250 |
| 10(49).სომხეთი | 0.500 | 0.250 | 0.125 | 0.875 | 1.125 | 2.875 |
| 11(51).ესტონეთი | 0.875 | 0.250 | 0.375 | 0.375 | 0.000 | 1.875 |

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ წლეულს ყაზახეთის გუნდები ევროთასებზე ჩინებულად გამოდიან და ორმა მათგანმა პლეი ოფამდე მიაღწია (ყარაგანდის „შახტიორმა“ ჩემპიონთა ლიგაში, „აქტობემ“ - ევროპა ლიგაზე), არ გაგვიკვირდეს, რომ უახლოეს პერიოდში ამ ქვეყანასაც ჩამოვრჩეთ.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# რატომ გაბრაზდა ლეგიას უფროსობა დვალიშვილზე?



ლადო დვალიშვილი

ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში, ვარშავის „ლეგიასთან“ შეხვედრამდე ბუქარესტის „სტიაუას“ მთავარი მწვრთნელი **ლაურენციუ რეგეკამპფი** ამბობდა (წყარო - www.prosport.ro), რომ მეტოქის ყველაზე სახიფათო მოთამაშეებად, **იაკუბ კოზეცკისთან** ერთად, ჩვენებური ფორვარდი **ლადო დვალიშვილიც** მიაჩნდა.

ცხადია, ქართველი გულშემატკივარიც ელოდა, რომ თბილისის „დინამოს“ მძლეველ „სტიაუაზე“ შურს „ლეგიას“ ქართველი ლეგიონერი იძიებდა. მაგრამ დვალიშვილი ბუქარესტში მოედანზე მხოლოდ 81-ე წუთზე გამოჩნდა, გუშინწინდელ საპასუხო მატჩში კი... „ლეგიას“ განაცხადშიც ვერ მოხვდა.

ახლა ნამდვილად ვერ დავიწყებთ იმის გადაჭრით მტკიცებას, თითქოს „ლეგიას“ გავარდნის მიზეზი (თუნდაც ერთ-ერთი) დვალიშვილის არყოფნა იყო. ფაქტი ერთია - სტუმრად ნათამაშები 1:1-ის შემდეგ, ვარშაველებმა შანსი ხელიდან გაუშვეს, შინ 2:2 ითამაშეს და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზური რუმინეთის ჩემპიონს დაუთმეს.

ცხადია, დვალიშვილის საკითხით დავინტერესდით. როგორც შევიტყვეთ, საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი სრულიად ჯანმრთელია. მაშ რა იყო მისი იგნორირების მიზეზი? უნდა ვიფიქროთ, რომ „ლეგიას“ მწვრთნელ **იან ურბანს** საამისოდ სერიოზული საფუძველი ჰქონდა. თუმცა დვალიშვილს მწვრთნელის გადაწყვეტილება ვერაფრით აუხსნია. მით უფრო, რომ საკონტროლო შეხვედრებსა და ოფიციალურ მატჩებში, ასე თუ ისე, შედეგი (გადასარევი არა, მაგრამ მაინც) ჰქონდა...

შესაძლოა, ეს ყველაფერი ზაფხულში, ავსტრიული შეკრებისას მომხდარ ფაქტს უკავშირდებოდეს. საქმე ისაა, რომ 29 ივნისს, „ლეგია“ საკონტროლო შეხვედრაში ავსტრიულ „რიდს“ 3:3 დაუზავდა, პოლონელთაგან სამივე გოლი დვალიშვილმა გაიტანა. ამ მატჩს გერმანული ბუნდესლიგის ერთ-ერთი კლუბის წარმომადგენელი დაესწრო და საქართველოს ნაკრების ფორვარდი ისე მოეწონა, რომ „ლეგიასგან“ ტრანსფერის გამოსყიდვა და გაცილებით ხელსაყრელი პირადი კონტრაქტი შესთავაზა.

დვალიშვილს ეს ჭკუაში დაუჯდა და მენეჯერის დახმარებით ვარშაველებთან მოლაპარაკება დაიწყო. „სტიაუასთან“ შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე, მენეჯერმა კლუბს საბოლოო პასუხი მოსთხოვა - ახლა თუ არა, დვალიშვილი ზამთარში მაინც გაუშვითო. ამაზე „ლეგიას“ პრეზიდენტი გაბრაზებულა და დვალიშვილისთვის საყვედური უთქვამს. ეს იყო და ეს, თითქოს გაუგებრობა ამოიწურა, მაგრამ... პლეი ოფში მომხდარი გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა, ამ ხერხით „ლეგია“ დვალიშვილს სჯის.

თუმცა, ვიმეორებთ - ეს უთამაშებლობის მიზეზის ერთ-ერთი შესაძლო ვერსიაა, ზუსტი მიზეზი დვალიშვილმა არ იცის. ფაქტია - საქართველოს ნაკრების სრულიად ჯანმრთელ თავდამსხმელს, რომელიც „ლეგიას“ ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბდა, პრინციპულ შეხვედრაში თავის გამოჩენის შანსი არ მიეცა.

*„უსიამოვნო ამბავი მოხდა. კლუბის ხელმძღვანელობა და მწვრთნელი, ეტყობა, გაბრაზდნენ. მაგრამ არაფერია, დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად იქნება“*, - გვითხრა დვალიშვილმა.

**მერაბ მამულაშვილი**

U 17

# მხოლოდ მესამე ადგილისთვის



ნოდარ აკობია

საქართველოს 17-წლამდელთა პოლონეთში მიმდინარე ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე (შყრენკა ჩუპ) პირველი მატჩი ნორვეგიასთან 1:1 ითამაშა. ანგარიში ნორვეგიელებმა გახსნეს, მაგრამ **ნოდარ აკობიას** გუნდმა წონასწორობა ბოლო, მე-80 წუთზე (ამ ასაკში 40-წუთიანი ტაიმებია) აღადგინა. პენალტების სერიაში კი „ჯვაროსნებმა“ გაიმარჯვეს და გავიდნენ ნახევარფინალში, სადაც მეტოქედ პოლონეთი ერგოთ. ტურნირის მასპინძლებმა კვიპროსს 5:0 მოუგეს.

სამწუხაროდ, ნახევარფინალში ვერ ვივარგეთ. ანგარიში მე-4 წუთზე მასპინძლებმა გახსნეს. ქართველებმა წონასწორობა 50-ე წუთზე აღადგინეს, მაგრამ 64-ე წუთზე პოლონელები კვლავ დაწინაურდნენ და უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნეს. აკობიას გუნდი ხვალ III ადგილისთვის მატჩს დანიასთან გამართავს. სკანდინავიელებმა ნახევარფინალში უკრაინასთან პენალტებით წააგეს.

შეგახსენებთ, რომ შარშან ჩვენი 17-წლამდელები, რომელთაც მაშინ **გიორგი დევდარიანი** ავარჯიშებდა, ამავე ტურნირის ფინალში გავიდნენ და დანიასთან 1:2 დამარცხდნენ.

**მერაბ მამულაშვილი**

ფუტსალი. უეფას თასი

# ასათიანის მარცხიანი სტარტი

გუშინ მალტის ჩემპიონმა „ჰიბერნიანსმა“ უეფას თასის შესარჩევ ეტაპზე პირველი შეხვედრა ჩაატარა. შეგახსენებთ, რომ გუნდის მოთამაშემწვრთნელი ჩვენი ნაკრების დამრიგებელი **ავთანდილ ასათიანია**, რომელმაც კუნძულზე ეროვნული გუნდის ორი მოთამაშე, **ლევან კობაიძე და დავით ბობოხიძე** წაიყვანა.

გუშინ „ჰიბერნიანსი“ ფინეთის ქალაქ ტამპერეში გერმანის ჩემპიონ „ჰამბურგერ პანტერსს“ დაუპირისპირდა და 2:7 დამარცხდა. დღეს ასათიანის გუნდი მასპინძელ „ილვესს“ შეხვდება.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი



ჯაბა კანკავა (მარცხნივ)

# ...კანკავას რატომ არ აფასებთო?!

**ჯაბა კანკავა** მშვენიერ ფორმაშია, - ეს უკრაინული მედიის შეფასებაა. უკრაინის პრემიერლიგის მე-7 ტურში დნეპროპეტროვსკის „დნიპრომ“ დონეცკის „შახტარი“ 3:1 რომ დაამარცხა, ამაში ჯაბამ სოლიდური წვლილი შეიტანა.

„ფუტბოლმა“ კანკავასა და ნახევარდაცვის ცენტრში მისი მეწყვილის, უკრაინის ნაკრების ნახევარმცველ **რუსლან როტანის** თამაში 7.0-ით შეაფასა. ამაზე უკეთესი მაჩვენებელი (7.5) მხოლოდ „დნიპროს“ თავდამსხმელ **რომან ზოზულიას** დაუწერეს, რომელმაც დუბლი შეასრულა და პენალტიც მოიპოვა.

*„ამჟამად, „დნიპროს“ ბევრი საყრდენი ნახევარმცველი ჰყავს. ამათ შორის, როტანისა და კანკავას წყვილი უძლიერესია. „შახტარის“ წინააღმდეგ ისინი ცალ-ცალკეც კარგად გამოიყურებოდნენ - ბურთისართმევასა და შეტევის წამოწყებას მშვენივრად ახერხებდნენ. მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია წყვილში მათი თამაში. ქართველმა კვლავ გაგვაოცა მოედნის ცენტრში უჩვეულო შრომისმოყვარეობით და როტანთან ერთად, დონეცკელთა ნახევარმცველებს - ტარას სტეპანენკოსა და ალექს ტეიშეირას პირწმინდად აჯობა“*, - წერს „ფუტბოლი“, რომელმაც ქართველი ლეგიონერი ტურის სიმბოლურ ნაკრებში დაასახელა.

ვებგვერდი ძველს ამბავსაც იხსენებს: *„საინტერესოა, რომ ადრე კანკავამ უკრაინაში ყველაზე დასამახსოვრებელი შეხვედრა კიევის „არსენალის“ შემადგენლობაში სწორედ დონეცკის „შახტარის“ წინააღმდეგ ჩაატარა. მაშინ ალექსანდრ ზავაროვის შეგირდებმა დონეცკში 1:0 გაიმარჯვეს და ეს ერთადერთი გოლი კანკავამ გაიტანა“.*

„ფუტბოლი“ მოთამაშეებს ყოველ ტურში აფასებს. საშუალო შეფასების მიხედვით, კანკავა უკრაინის პრემიერლიგის საუკეთესო ნახევარმცველებს (და არა მხოლოდ საყრდენებს) შორის II-V ადგილებს ინაწილებს.

კანკავას გარჯა დადებითად შეაფასა მეორე უკრაინულმა ვებგვერდმა „უა.ფუტბოლმაც“, თუმცა ტურის სიმბოლურ ნაკრებში არ დაუსახელებია. სხვათა შორის, ამან გულშემატკივართა უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. მოდით, მათ არგუმენტებს გავეცნოთ:

*„რა უნდა იარმოლენკოს (კიევის „დინამოსა“ და უკრაინის ნაკრების ნახევარმცველი - რედ.) ტურის ნაკრებში?! ეს იმისთვის, რომ რონალდოსა და მესის მსგავსად ორი-სამი მეტოქის მოტყუებას ცდილობს და ბურთს სწრაფად კარგავს? თუ იმისთვის, პასის ნაცვლად კარში რომ ურტყამს და თამაშს აყოვნებს? და კიდევ: სიმბოლურში „დნიპროდან“ მხოლოდ ზოზულია მოხვდა, და ეს მაშინ, როცა კანკავამ და როტანმა ჩინებულად ითამაშეს. ბურთისართმევის მხრივ კი, კანკავამ ტურში, ალბათ, საუკეთესოდ წარმოაჩინა თავი...*

*...საერთოდ, კანკავა მოედნის ცენტრში გამორჩეული იყო: ყოჩაღ მას! ის იზრდება და ეს აშკარაა! ზოზულიამ, კანკავამ და მათეუსმა ართმევაზეც კარგად იმუშავეს...*

*...კანკავა „დნიპროს“ გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი იყო და, შესაბამისად, ტურის საუკეთესო მოთამაშის სტატუსს იმსახურებდა“.*

**მერაბ მამულაშვილი**

დისკვალიფიკაცია

# ჭანტურია: ყველაფერი დავაზუსტე, მოვდივარ!

**გიორგი ჭანტურიას** ამბავი ცნობილია - ფიფამ რუსეთში მიღებული დისკვალიფიკაცია აამოქმედა და არნემის „ვიტესის“ თავდამსხმელს 7-მატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა. რუსების თავგამოდებამ და ფიფას პრინციპულობამ გააჩინა ეჭვი, რომ შესაძლოა, ვერდიქტი სანაკრებო მატჩებზეც გავრცელებულიყო.

**ალექსანდრე ჩივაძის** 21-წლამდელები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში 5 სექტემბერს ლუქსემბურგს, ხოლო 9-ში სლოვაკეთს ესტუმრებიან. ჩივაძემ „ვიტესის“ შემტევიც გამოიძახა. ორიოდე დღის წინ ვწერდით, რომ ფეხბურთის ფედერაცია აზუსტებდა, სანქციები სანაკრებო შეხვედრებსაც ხომ არ შეეხებოდა. ვითარებაში გასარკვევად თავად ჭანტურიას დავუკავშირდით:

*„კლუბშიც მითხრეს და დავაზუსტე, რომ ეს დისკვალიფიკაცია ნაკრებებს არ ეხება. ასე რომ, ახალგაზრდული ნაკრების შეკრებაზე მოვდივარ“.*

რაც შეეხება დისკვალიფიკაციას, ჭანტურიამ ორი შეხვედრა უკვე გამოტოვა: ერთი - რუსეთში, ერთიც - ჰოლანდიაში. „ვიტესში“ თამაშს კი 6 ოქტომბერს შეძლებს, როცა არნემელები „ფეიენოორდს“ უმასპინძლებენ.

**მერაბ მამულაშვილი**



გიორგი ჭანტურია

სატრანსფერო სეზონი

# ბუნდესლიგის უგუნდო ფეხბურთელები

**სატრანსფერო** ფანჯრის დახურვამდე კვირაზე ნაკლები დარჩა. ბუნდესლიგის კლუბებს გაძლიერების და შემადგენლობის საბოლოოდ დასაკომპლექტებლად სულ რამდენიმე დღე რჩებათ. გარდა დასაქმებული და სხვადასხვა კლუბთან კონტრაქტით დაკავშირებული ფეხბურთელებისა, ასევე არიან ის მოთამაშეები, რომლებიც თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობენ და დროებით უმუშევრები არიან. ზოგ ასეთ ფეხბურთელს ზურგს საკმაო გამოცდილება და წარმატება უმაგრებს. ჩვენც გადავწყვიტეთ წარმოგიდგინოთ ის მოთამაშეები, ვისაც ბუნდესლიგაში აქვს ნათამაშები, ამჟამად კი უკლუბოდაა.

აქვე გეტყვით, რომ თავისუფალ აგენტებს სასურველ კლუბში გადასვლა სატრანსფერო ფანჯრის დახურვის შემდეგაც შეეძლებათ.



თომას ჰიტცლშპერგერი და დავიდ ოდონკორი თავიანთ შანსებს ელიან

**პატრიკ ოვომოიელა** (ბოლო კლუბი: დორტმუნდის „ბორუსია“)

ბოლო წლებში, გერმანიის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი ტრავმებმა გაანადგურა (?)... **[სიტყვა დაზიანებულია]**

ბოლო წლებში, გერმანიის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი ტრავმებმა გააწამეს. დორტმუნდის „ბორუსიაში“ ოვომოიელა 2008-2013 წლებში თამაშობდა. ამ პერიოდში მარჯვენა მცველმა ბუნდესლიგაში 74 მატჩი ჩაატარა, გაიტანა 3 გოლი და აქტივში 12 საგოლე გადაცემა ჩაიწერა. 2011 და 2012 წელს ოვომოიელა გერმანიის ჩემპიონი გახდა.

**მანუელ ფრიდრიხი** (ლევერკუზენის „ბაიერი“)

33 წლის ცენტრალურმა მცველმა ლევერკუზენის „ბაიერთან“ კონტრაქტი არ გაახანგრძლივა. გერმანიის ნაკრების ყოფილ ფეხბურთელს (9 მატჩი, 1 გოლი), რამდენიმე საინტერესო შემოთავაზება აქვს, მათ შორის აზიიდან. *„მინდა ისეთ ქვეყანაში წავიდე, სადაც შეიძლება კულტურული შოკი მივიღო,“* - განაცხადა ფრიდრიხმა, ვინც „ლევერკუზენში“ 6 სეზონი (2007-2013) გაატარა და „ბაიერის“ ღირსება 143 შეხვედრაში (11 გოლი, 6 პასი) დაიცვა.

**ჩიპრიან მარიკა** („შალკე“)

წინა სეზონის დასრულების შემდეგ, გელზენკირხენელებმა მარიკასთან კონტრაქტი არ გაახანგრძლივეს. რუმინელმა თავის გამოჩენა ეროვნულ ნაკრებში შეძლო - ივნისში, ტრინიდადის და ტობაგოს ნაკრებთან მატჩში (4:0) მარიკამ ჰეთთრიქი შეასრულა. 27 წლის ფორვარდი „შალკეში“ 2011 წლიდან თამაშობდა (34 თამაში, 5 გოლი, 1 საგოლე გადაცემა)

**ვადიმ დემიდოვი** (ფრანკფურტის „აინტრახტი“)

ნორვეგიის ნაკრების ფეხბურთელმა 2012/13 წლების სეზონი ფრანკფურტის „აინტრახტში“ დაიწყო, სადაც პირველ წრეში მოედანზე სულ 5-ჯერ გავიდა, ზამთარში კი ფრანკფურტელებმა დემიდოვი ვიგოს „სელტაში“ გაანათხოვრეს. ზაფხულის მოსვლისთანავე 26 წლის მცველი თავისუფალი აგენტი გახდა.

**სოტირიოს კირიაკოსი** („ვოლფსბურგი“)

2011/12 წლების სეზონის წინ, „ვოლფსბურგმა“ გამოცდილი ბერძენი, რომელიც მანამდე „ლივერპულში“ ირიცხებოდა, უფასოდ აიყვანა. კირიაკოსი ბუნდესლიგაში ადრეც თამაშობდა, როდესაც 2006-08 წლებში ფრანკფურტის „აინტრახტის“ ღირსებას იცავდა. დაბრუნება 34 წლის მცველისთვის წარუმატებელი გამოდგა - კირიაკოსმა „მგლებში“ სულ 9 თამაში ჩაატარა, შარშანდელი სეზონი კი იჯარით ინგლისურ „სანდერლენდში“ გაატარა, სადაც მინდორზე სულ სამჯერ გავიდა.

**ივან კლასნიჩი** („მაინცი“)

კარიერის საუკეთესო პერიოდი ხორვატმა ბრემენის „ვერდერში“ (2001-08) გაატარა, სადაც ბუნდესლიგის 151 შეხვედრაში 49 გოლი გაიტანა და 33 საგოლე პასი გააკეთა. შარშან 33 წლის ფორვარდი „მაინცში“ ჩაირიცხა, მაგრამ ბუნდესლიგაში სულ 3-ჯერ ითამაშა. მიუხედავად ამისა, კლასნიჩმა ერთი გოლის გატანა მაინც მოასწრო.

**სომენ ტჩოი** („აუგსბურგი“)

კამერუნის ნაკრების ფეხბურთელი, ვინც „ზალცბურგთან“ ერთად ორჯერ ავსტრიის ჩემპიონი გახდა, „აუგსბურგში“ 2013 წელს, „ვესტ ბრომვიჩიდან“ გადავიდა, სადაც ნორმალურად გამოიყურებოდა, თუმცა ბუნდესლიგაში 30 წლის ტანმაღალმა ნახევარმცველმა მხოლოდ 2 მატჩი ჩაატარა და კლუბი დატოვა.

**ლეგიონერები**

**დავიდ ოდონკორი** („ჰოვერლა“, უკრაინა)

სწრაფი გარემარბი 1998 წლიდან დორტმუნდის „ბორუსიაში“ ირიცხებოდა, პროფესიონალთა გუნდში კი 2001 წელს გამოჩნდა. ოდონკორი პირველივე სეზონში გერმანიის ჩემპიონი გახდა, 2006 წლის მუნდიალის შემდეგ კი მისი საქმეები უკან წავიდა. სევილიის „ბეტისის“ და აახენის „ალემანიას“ შემდეგ, ტანდაბალი ფეხბურთელი უჟგოროდის „ჰოვერლაში“ აღმოჩნდა, სადაც 14 შეხვედრაში 2 გოლი გაიტანა. *„აქედან რაც შეიძლება სწრაფად უნდა წავიდე. ისევ გერმანიაში მსურს დაბრუნება,“* - განაცხადა წინა სეზონის ბოლოს ოდონკორმა.

**თომას ჰიტცლშპერგერი** („ევერტონი“, ინგლისი)

გერმანიის ნაკრების ყოფილმა ფეხბუთელმა (52 თამაში, 6 გოლი) ბოლო სეზონი „ევერტონში“ გაატარა, სადაც სულ 7 შეხვედრაში ითამაშა. ჰიტცლშპერგერს ბუნდესლიგაში ყველაზე წარმატებული პერიოდი „შტუტგარტში“ აქვს გატარებული, სადაც 125 მატჩი ჩაატარა (20 გოლი) და 2007 წელს ქვეყნის ჩემპიონიც გახდა. პროფესიონალურ კარიერას კი „ჰიტცი“ „ასტონ ვილაში“ (2001-05) იწყებდა. ამ გუნდების გარდა, 31 წლის ნახევარმცველს „ლაციოში“, „ვესტ ჰემსა“ და „ვოლფსბურგში“ აქვს ნათამაშები.

**ტატო ბაციკაძე**

ვარსკვლავი

# საინტერესო შეკითხვა: სად ვათამაშოთ ჯონსი?



ფილ ჯონსი

**ორიოდე** დღის წინ ამერიკული „ბლიჩერ რეპორტის“ ჟურნალისტმა **საიმონ ედმონდსმა** საინტერესო სტატია შემოგვთავაზა „მანჩესტერ იუნაიტედის“ უნივერსალი უკანახაზელის, 21 წლის **ფილ ჯონსის** შესახებ, სადაც ფეხბურთელის უმთავრესი პლუს-მინუსები განიხილა. მასალას მცირედი შემოკლებით გთავაზობთ:

გულშემატკივართა მოსაზრებები ფილ ჯონსზე რადიკალურად განსხვავებულია. ნაწილი მას თანამედროვეობის ინგლისური ფეხბურთის უნიჭიერეს მცველად მიიჩნევს, ნაწილი კი ვერ ხვდება, რატომ გახდა საჭირო ორი წლის წინ „ბლექბერნიდან“ მისი ყიდვა. ზოგი ამტკიცებს, რომ ფეხბურთელი განსხვავებულ პოზიციებზე იმიტომ თამაშობს, რომ მან მინდორზე თავისი ადგილი ჯერ კიდევ ვერ იპოვა. ფილს აქამდე საკუთარი ძალები მოუსინჯავს დაცვის ცენტრში, განაპირა მცველად და თქვენ წარმოიდგინეთ, საყრდენ ნახევარმცველადაც კი. ამასობაში ხალხს ნელ-ნელა ავიწყდება, რომ „იუნაიტედში“ ის უპირველესად სწორედ იმის წყალობით მოხვდა, რომ „ივუდ პარკზე“ დაცვის ცენტრს ამაგრებდა. ამგვარი გაურკვევლობა შეკითხვას ბადებს: რომელი როლი უხდება მას ყველაზე მეტად „მანჩესტერ იუნაიტედში“?

ორშაბათს ჯონსმა „ჩელსისთან“ ტრავმირებული **რაფაელი** შეცვალა მარჯვენა ფლანგზე. ის უმეტესწილად იოლად უმკლავდებოდა მეტოქის განაპირა ნახევარმცველებს. ეს პოზიცია შეტევების გაუვნებლების გარდა იმასაც ითხოვს, რომ ფეხბურთელს შეტევაში წასვლაც შეეძლოს და მოწინააღმდეგის საჯარიმოში ჩაწოდებაც. ამ მხრივ ფილის პოტენციალი ნულის ტოლი არ არის, მაგრამ არ გვგონია, „იუნაიტედის“ რომელიმე გულშემატკივარს სჯეროდეს, რომ ოდესმე ის რაფაელს დაეწევა. მეტოქეებს არც ბრაზილიელის დანახვაზე მისდით გული, თუმცა კონტრშეტევებისას ის აშკარად უფრო სასარგებლოა.

ჯონსს, როგორც ნახევარმცველს, ძნელად თუ განვიხილავთ. მას ამ როლს ბოლო პერიოდში სულ უფრო ნაკლებად ანდობენ, რაც უნდა გაგვიკვირდეს, ის არ არის შექმნილი ამისთვის და თუნდაც რამდენჯერმე თავის გამოჩენა ვერაფერს შეცვლის. თუმცა ყველაფრის გათვალისწინებით, „იუნაიტედს“ მაინც ჰქონდა მიზეზი თავის დროზე დარჩენისთვის მებრძოლი „ბლექბერნიდან“ მის გადასაბირებლად.

ფეხბურთელის უმთავრესი თავის ტკივილის მიზეზი მაინც ის არის, რომ მას საყვარელ ადგილას ნაკლებად ეძლევა თავის გამოჩენის შესაძლებლობა. ეს გასაგებიც არის, რადგან „ეშმაკებს“ **ნემანია ვიდიჩი** და **რიო ფერდინანდი** ჰყავთ. ალარაფერს ვამბობთ **ჯონი ევანსზე**. ყველაფერში „დამნაშავე“ ფერდინანდია. დარწმუნებულები ვართ, როცა ფერგიუსონი ჯონსს ყიდულობდა, მწვრთნელი მასში სწორედ რიოს მემკვიდრეს ხედავდა. შოტლანდიელი ალბათ ფიქრობდა, რომ ვეტერანი რამდენიმე წელიწადში პოზიციებს ბუნებრივად დათმობდა. ფილი გუნდში მესამე სეზონს იწყებს, რიო კი ისეთივე დამაჯერებელია, როგორიც ყოველთვის იყო. ჩვენს გმირს ორი გზა აქვს: 1. ფერდინანდი მიდის და თანაგუნდელს თამაშის შანსს აძლევს ან ის თავად უმტკიცებს **დევიდ მოიესს**, რომ ძირითადში მოხვედრას იმსახურებს. იქამდე კი ჯონსმა ტრავმირებული ფეხბურთელების მაგივრობა უნდა გასწიოს ხოლმე.

**ლევან ბიბილაშვილი**

ამბები



ჯო ალენი (№24) კვირას „მანჩესტერ იუნაიტედთან“ თამაშს ვერ შეძლებს

## ლივერპულს სამი ფეხბურთელი დაუშავდა

**სამშაბათს** ლიგის თასის შეხვედრაში „ნოთს ქაუნთისთან“ (4:2) „ლივერპულს“ ერთბაშად სამი ფეხბურთელი დაუშავდა. **ბრენდან როჯერსმა** ტრავმის გამო დებიუტშივე შეცვალა **ალი სისოკო** (მე-9 წუთზე), შემდეგ კი ანალოგიური მიზეზით გაიყვანა მინდვრიდან **ჯო ალენიც** (64 წთ). თამაშის დასრულების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ პრობლემები აწუხებს **კოლო ტურესაც**. არადა, ივუარელმა შეხვედრა თავიდან ბოლომდე ითამაშა. *„სამედიცინო შემოწმების გარეშეც ნათელია, რომ ტურეს და ზიანება სერიოზულია. მას საზარდული აქვს დაჭიმული. სისოკოს მუხლის სტკივა. ის იმედგაცრუებული იყო, რომ პირველივე შეხვედრაში ტრავმა მიიღო. ალენს კი მუხლქვეშა მყესი აწუხებს. ფეხბურთელების ჯანმრთელობის შესახებ დაწვრილებით მხოლოდ რამდენიმე დღეში შეგვეძლება ლაპარაკი,“* - აცხადებს გუნდის მთავარი მწვრთნელი. „ლივერპულს“ კვირას „ენფილდზე“ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ პრემიერლიგის III ტურის პრინციპული დაპირისპირება ელის. სამეულიდან ყველაზე მეტად მერსისაიდელებს 32 წლის კოლო ტურე დააკლდებათ.

## ჩელსი განელით დაინტერესდა

**„სქაი სპორტსის“** ცნობით, „ჩელსიმ“ „პორტუსთან“ 21 წლის მარცხენა გარემარბ **კრისტიან აცუზე** დაიწყო მოლაპარაკებები. დასავლეთლონდონელებმა საქმეს უახლოეს დღეებში უნდა მოაბან თავი. 2 სექტემბერს ღამის 24:00-ზე სატრანსფერო ფანჯარა იხურება. განის ნაკრების ფეხბურთელს პორტუგალიელებთან კონტრაქტი მომავალი წლის ზაფხულზე უმთავრდება, თანამშრომლობის გაგრძელებაზე კი ის უარს ამბობს. შესაბამისად, პორტუგალიის ჩემპიონები, წესით, არ უნდა გაჭირვეულდნენ.

## ფენერბაჰჩე ისევ დისკვალიფიცირებულია

**ლოზანის** სპორტულმა საარბიტრაჟო სასამართლომ უარი თქვა „ფენერბაჰჩეს“ სარჩელის განხილვაზე, რომლითაც თურქები უეფას მიერ კლუბის ევროთასებიდან ორი წლით მოკვეთის გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვდნენ. ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე „არსენალთან“ ორი მატჩის ჯამში 0:5 მარცხის შემდეგ „ფენერს“ ევროპა ლიგაზე უნდა განეგრძო ბრძოლა, თუმცა ამიერიდან მხოლოდ შიდა ასპარეზით მოუწევს დაკმაყოფილება. უეფამ სტამბოლური კლუბი თურქეთის ჩემპიონატში გარიგებულ თამაშებში მონაწილეობის გამო დასაჯა.

## სიტი დემიკელისს ყიდულობს

**„მირორის“** ცნობით, „მანჩესტერ სიტი“ მადრიდის „ატლეტიკოს“ 32 წლის **მარტინ დემიკელისის** ტრანსფერზე შეუთანხმდა. „ქალაქელებს“ ვეტერანი არგენტინელის ყიდვა 3.5 მილიონი ფუნტი დაუჯდებათ. ბონუსების ჩათვლით კი დამატებით შეიძლება 0.5 მილიონის გადახდაც დასჭირდეთ. საქმეს წერტილი მას მერე დაესმება, როცა ფეხბურთელთან პირადი კონტრაქტის დეტალები შეთანხმდება. თუმცა ისედაც ცხადია, რომ „სიტის“ შეუძლია მარტინს იმაზე უკეთესი ანაზღაურება შესთავაზოს, ვიდრე ის „როხიბლანკოში“ იღებს. რაც ყველაზე საინტერესოა, დემიკელისმა მადრიდელებთან კონტრაქტს ხელი სულ რაღაც თვე-ნახევრის წინ მოაწერა და ოფიციალურ შეხვედრაში ჯერ არ უთამაშია.

**ლევან ბიბილაშვილი**



მარტინ დემიკელისი

კვირა ციფრებში

# გოლები, წითლები და მარცხი 14 წლის შემდეგ



კიდევ რა უნდა ქნას შტეფან კისლინგმა, რომ იოახიმ ლიოვმა ნაკრებში მიიწვიოს?

**კვირის დღევანდელ მიმოხილვაში ლუკა ტონის და ქარიმ ბენზემას მიღწევაზე, გერმანიაში დამყარებულ რეკორდზე და არგენტინაში დასრულებულ ხანგრძლივზე ხანგრძლივ დაუმარცხებელ სერიაზე ვისაუბრეთ...**

**250** - თამაში სერია A-ში - **ლუკა ტონიმ** საიუბილეო თამაში შესანიშნავად ჩაატარა და იტალიის ჩემპიონატში თავისი 110-ე და 111-ე გოლები გაიტანა. ახლა, ტონის სერია A-ს 8 კლუბში აქვს გოლი გატანილი, მასზე უკეთეში შედეგი კი მხოლოდ **ნიკოლა ამორუზოს** აქვს - 9. ვეტერანის დუბლმა „ვერონას" „მილანი" დაამარცხებინა და 1988 წლის შემდეგ, ჩემპიონატის პირველ ტურში პირველი გამარჯვება მოაპოვებინა.

გაიხარა **ჯუზეპე როსიმაც** - ახალგაზრდა ფორვარდს გოლი 2011 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ არ ჰქონდა გატანილი. როსიმ „ფიორენტინა"-„კატანიას" მატჩში ანგარიში გახსნა, მისმა გუნდმა კი საბოლოოდ 2:1 მოიგო. ბოლოს, სერია A-ში როსიმ თავი 2 297 დღის წინ, 2007 წლის 13 მაისს გამოიჩინა, როდესაც მისმა „პარმამ" „მესინას" 4:1 მოუგო.

**100**- გოლი ლიგაში. **ქარიმ ბენზემამ** „რეალს" „გრანადასთან" მოაგებინა და საიუბილეო ბურთი გაიტანა. ფრანგმა ფორვარდმა „რეალში" თავი 57-ედ გამოიჩინა, შესაბამისად, დანარჩენი 43 გოლი მან „ლიონში" გაიტანა. ეს ტური იღბლიანი გამოდგა მეორე მადრიდული გუნდისთვისაც - „ატლეტიკომ" თანაქალაქელი „რაიო ვალეკანო" გაანადგურა, 5:0 მოუგო და მეტოქესთან ბოლო 29 წლის განმავლობაში ყველაზე დიდი ანგარიშით იმარჯვა.

**41** - საშინაო მატჩი წაგების გარეშე. „რივერ პლეიტის" დამრიგებელ **რამონ დიასს**, „მონუმენტალზე" 1999 წლის შემდეგ არ წაუგია. მაშინ მისი გუნდი „რასინგთან" დამარცხდა (2:3). ეს შთამბეჭდავი სერია, რომლის დროსაც „რივერმა" შინ 30 მატჩი მოიგო და 11 ფრედ ითამაშა, კვირას, „კოლონთან" დასრულდა. საინტერესოა, რომ 1999 წელს, ეს დაუმარცხებელი სვლა სწორედ „კოლონთან" მატჩით დაიწყო.

**8** - ფეხბურთელი გააძევეს გერმანიის ჩემპიონატის ამ ტურში, რაც ბუნდესლიგის ახალი რეკორდია. **იბრაჰიმ ტრაორე, სეიად სალიჰოვიჩი, ადმირ მეჰმედი, ბენედიქტ ჰიოვედესი, შაბოლჩ ჰუშტი, კრისტიან ფუხსი, ფრანსის კოკლენი** და **ლუის გუსტავო** - ყველა ამ ფეხბურთელმა წითელი ბარათი მიიღო. ბერლინის „ჰერტამ" კი ისტორიაში საუკეთესო სტარტი აიღო - დედაქალაქელებმა პირველ სამ ტურში 7 ქულა მოაგროვეს. რეკორდი დაამყარა ლევერკუზენის „ბაიერმაც" - „ფარმაცევტებმა" მიონხენგლადბახის „ბორუსიას" 4:2 მოუგეს და ზედიზედ მე-8 გამარჯვება მოიპოვეს. „გლადბახთან" შეხვედრაში ანგარიში **შტეფან კისლინგმა** გახსნა და „ბაიერში" თავისი მე-100 ბუნდესლიგური გოლი გაიტანა. კისლინგი გახდა მეორე ფეხბურთელი **ულფ კირსტენის შემდეგ**, ვინც „ბაიერის" მაისურით 100 გოლი შეაგდო.

ტატო ბაციკაძე

## ამბები

### ვილაშ-ბოაში: ბეილი მალე წავა

„ტოტენჰემის" მწვრთნელმა ანდრე ვილაშ-ბოაშმა დაადასტურა, რომ **გარეთ ბეილის** ტრანსფერზე მიმდინარე მოლაპარაკებები დასასრულს უახლოვდება. უელსელმა ბოლო ორი ვარჯიში გააცდინა, რის გამოც შესაძლოა დაჯარიმდეს კიდეც, პორტუგალიელმა სპეციალისტმა კი განაცხადა, რომ მისი გუნდიდან წასვლა გარდაუვალია:

*„ყველაფერი შესაძლოა, მალე დასრულდეს - უთხრა ვილაშ-ბოაშმა ჟურნალისტებს - ეს მისთვის საოცნებო ტრანსფერია. შეიძლებოდა მოვლენები სხვანაირადაც განვითარებულიყო, მაგრამ რას ვიზამთ, „ტოტენჰემი" ფეხბურთის ისტორიაში სარეკორდო გარიგების მონაწილე გახდება".*

*„ამ მომენტისთვის კლუბები მოლაპარაკებას აწარმოებენ. შესაძლებელია, რომ პროცესი ბოლო დღემდე გაიწელოს, ან ორ დღეში დასრულდეს. რაც უნდა იყოს, არავინ ელის, რომ მსოფლიო ფეხბურთის ყველაზე დიდი ტრანსფერი იოლად გადაწყდება".*

პორტუგალიელს ბეილის ქცევასა და მის შესაძლო დაჯარიმებაზეც ჰკითხეს:

*„მსგავსი რაღაცეები ხდება მაშინ, როდესაც ფეხბურთელი გუნდიდან წასვლას აპირებს. ჩვენ მას ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებთ, მაგრამ ის, რომ ვარჯიშზე არ მოვიდა, რა თქმა უნდა, კორექტული საქციელი არ იყო. ფეხბურთელებს ორშაბათს დასვენების დღე ჰქონდათ, მომდევნო დღეს კი ყველას ბაზაზე ველოდით. საბოლოო ჯამში, გადაწყვეტილება ხელმძღვანელობამ უნდა მიიღოს. ნამდვილად არ ვიცი, ბეილის საქციელს დაჯარიმების ღირსად ჩათვლიან თუ არა,"* - განაცხადა ვილაშ-ბოაშმა.

### ვაკასო რუბინში გადავიდა

**ვაკასო მუბარაქი** ყაზანის „რუბინში" ჩაირიცხა. 23 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ რუსულმა კლუბმა 6 მილიონი ევრო გადაიხადა, თავად ფეხბურთელმა კი 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. როგორც ამბობენ, „რუბინში" გადასვლით ვაკასოს ჯამაგირი 4-ჯერ გაიზარდა. ამის ფონზე, არაა გასაკვირი, რომ ფეხბურთელი კატალონიური კლუბისგან ტრანსფერზე დათანხმებას ლამის მთელი ზაფხულის განმავლობაში ითხოვდა. გუშინ, განის ნაკრების ფეხბურთელმა სპეციალური განცხადება გააკეთა:

*„მინდა „ესპანიოლის" ხელმძღვანელებს, ფეხბურთელებს და გულშემატკივრებს ბოდიში მოვუხადო, რადგან გუნდიდან გაშვება თავად მოვითხოვე. კატალონიაში ძალიან ბევრი რამ შევიძინე და ბევრი ვისწავლე. „რუბინისგან" ისეთი შემოთავაზება მივიღე, რომელზეც უარს უბრალოდ ვერ ვიტყოდი".*

მიღებული თანხით „ესპანიოლი" დიდად ვერ იხეირებს. 1 მილიონი ევრო ვაკასოს ყოფილ კლუბ „ვილიარეალს" ეკუთვნის, დარჩენილ 5 მილიონს კი კლუბი გადასახადებში დახარჯავს.

### დი მარია: წასვლა არ მსურს

**ანხელ დი მარიამ** განაცხადა, რომ მადრიდის „რეალში" დარჩენა უნდა, მიუხედავად იმისა, რომ „სამეფო კლუბში" **გარეთ ბეილის** ტრანსფერი უკვე გადაწყვეტილია. ესპანელი ჟურნალისტები წერდნენ, რომ უელსელის „რეალში" გადასვლის შემთხვევაში, 25 წლის არგენტინელი გუნდს დატოვებდა. მის მიმართ ინტერესს არაერთი კლუბი იჩენდა, ბოლო დღეებში კი პსჟ, „არსენალი" და „გალათასარაი" გააქტიურდნენ, მაგრამ გუშინ დი მარიამ **კარლო ანჩელოტის** გუნდში დარჩენის სურვილი გამოთქვა.

*„მესმის, რომ კლუბს გაძლიერება სურს და ეს ბუნებრივიც არის. მე კონტრაქტი 2018 წლამდე მაქვს გაფორმებული და მინდა, რომ ეს წლები „ბერნაბეუზე" გავატარო,"*
- უთხრა დი მარიამ AS-ს.

შეგახსენებთ, რომ არგენტინელი „რეალში" ლისაბონის „ბენფიკადან" 2010 წლის ივნისში გადავიდა და იქიდან მოყოლებული, გარემარბმა „სამეფო კლუბში" 100-ზე მეტი მატჩი ჩაატარა.

ტატო ბაციკაძე



ანხელ დი მარია

## იტალია. სერია-A 20

### იუვენტუსი (ტურინი)

დაარსდა: 1897 წელს
სტადიონი: ოლიმპიკო

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. ჯანლუიჯი ბუფონი | 1978 |
| 30. მარკო სტორარი | 1977 |
| 34. რუბინიო (ბრა) | 1982 |

| მცველები | |
|---|---|
| 3. ჯორჯო კიელინი | 1984 |
| 4. მარტინ კასერესი (ურუ) | 1987 |
| 5. ანჯელო ოგბონა | 1988 |
| 11. პაოლო დე ჩელიე | 1986 |
| 13. ფედერიკო პელუზო | 1984 |
| 15. ანდრეა ბარცალი | 1981 |
| 16. მარკო მოტა | 1986 |
| 19. ლეონარდო ბონუჩი | 1987 |
| 26. შტეფან ლიხტშტაინერი (შვეიც) | 1984 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 6. პოლ პოგბა (საფ) | 1993 |
| 7. სიმონე პეპე | 1983 |
| 8. კლაუდიო მარკიზიო | 1986 |
| 17. ლუკა მარონე | 1990 |
| 18. ფაუსტო როსი | 1990 |
| 20. სიმონე პადოინი | 1984 |
| 21. ანდრეა პირლო | 1979 |
| 22. კვადვო ასამოა (გან) | 1988 |
| 23. არტურო ვიდალი (ჩილ) | 1987 |
| 33. მაურისიო ისლა (ჩილ) | 1988 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 9. მირკო ვუჩინიჩი (ჩერ) | 1983 |
| 10. კარლოს ტევესი (არგ) | 1984 |
| 12. სებასტიან ჯოვინკო | 1987 |
| 14. ფერნანდო ლორენტე (ესპ) | 1985 |
| 27. ფაბიო კვალიარელა | 1983 |
| 32. ალესანდრო მატრი | 1984 |
| რიჩმონდ ბოაკე (გან) | 1993 |
| *მწვრთნელი: ანტონიო კონტე* | *1969* |

### ნაპოლი (ნეაპოლი)

დაარსდა: 1926
სტადიონი: სან პაოლო

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. რაფაელი (ბრა) | 1990 |
| 15. რობერტო კოლომბო | 1975 |
| 25. ხოსე მანუელ რეინა (ესპ) | 1982 |

| მცველები | |
|---|---|
| 3. ბრუნო უვინი (ბრა) | 1991 |
| 5. მიგელ ბრიტოსი (ურუ) | 1985 |
| 8. ანდრეა დოსენა | 1981 |
| 11. კრისტიან მაჯო | 1982 |
| 18. ხუან ცუნიგა (კოლ) | 1985 |
| 21. ფედერიკო ფერნანდესი (არგ) | 1989 |
| 28. პაოლო კანავარო | 1981 |
| 33. რაულ ალბიოლი (ესპ) | 1985 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 4. მარკო დონადელი | 1983 |
| 13. დავიდე ბარიტი | 1991 |
| 16. ჯანდომენიკო მესტო | 1982 |
| 17. მარეკ ჰამშიკი (სლოვაკ) | 1987 |
| 20. ბლერიმ ჯემაილი (შვეიც) | 1986 |
| 22. იოსიპ რადოშევიჩი (ხორ) | 1994 |
| 77. ვალტერ გარგანო (ურუ) | 1984 |
| 27. პაბლო არმერო (კოლ) | 1986 |
| 85. ვალონ ბერამი (შვეიც) | 1985 |
| 88. გოკჰან ინლერი (შვეიც) | 1984 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 7. ხოსე კაკეხონი (ესპ) | 1987 |
| 9. გონსალო იგუაინი (არგ) | 1987 |
| 14. დრის მერტენსი (ბელ) | 1987 |
| 19. გორან პანდევი (მაკ) | 1983 |
| 24. ლორენცო ინსინიე | 1991 |
| 82. ემანუელე კალაიო | 1982 |
| 86. სომა ნოვოტნი (უნგ) | 1994 |
| 91. დიუვან საპატა (კოლ) | 1991 |
| *მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი (ესპ)* | *1960* |

### მილანი

დაარსდა: 1899
სტადიონი: „ჯუზეპე მეაცა"

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. მარკო ამელია | 1982 |
| 32. კრისტიან აბიატი | 1977 |
| 35. ფერდინანდო კოპოლა | 1978 |
| 59. გაბრიელი (ბრა) | 1992 |
| 60. ლორენცო ანდრენაჩი | 1995 |

| მცველები | |
|---|---|
| 2. მატია დე შილიო | 1992 |
| 5. ფილიპ მექსე (საფ) | 1982 |
| 17. კრისტიან საპატა (კოლ) | 1986 |
| 20. ინაციო აბატე | 1986 |
| 21. კევინ კონსტანტი (გვინ) | 1987 |
| 25. დანიელე ბონერა | 1981 |
| 26. მატიას სილვესტრი (არგ) | 1984 |
| 33. ჯერსონ ვერგარა (კოლ) | 1994 |
| 36. ლუკა ლოტი | 1995 |
| 38. მარკო პინატო | 1995 |
| 77. ლუკა ანტონინი | 1982 |
| 81. კრისტიან ძაკარდო | 1981 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 4. სალი მუნტარი (გან) | 1984 |
| 8. რიკარდო საპონარა | 1991 |
| 10. კევინ პრინს ბოატენგი (გან) | 1987 |
| 12. ბაკაი ტრაორე (მალ) | 1985 |
| 16. ანდრეა პოლი | 1989 |
| 18. რიკარდო მონტოლივო | 1985 |
| 23. ანტონიო ნოჩერინო | 1985 |
| 24. ბრაიან კრისტანტე | 1995 |
| 28. ურბი ემანუელსონი (ჰოლ) | 1986 |
| 34. მიგელ დე იონგი (ჰოლ) | 1984 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 7. რობინიო (ბრა) | 1984 |
| 11. ჯამპაოლო პაცინი | 1984 |
| 37. ანდრეა პეტანია | 1995 |
| 45. მარიო ბალოტელი | 1990 |
| 78. მბაიე ნიანგი (საფ) | 1994 |
| 92. სტეფან ელ შაარავი | 1992 |
| მწვრთნელი: მასიმილიანო ალეგრი | 1967 |

### ფიორენტინა (ფლორენცია)

დაარსდა: 1926
სტადიონი: არტემიო ფრანკი

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. ნეტო (ბრა) | 1989 |
| 12. კრისტიანო ლუპატელი | 1978 |
| 24. ლუკა ლაძარინი | 1995 |
| 78. გუსტავო მანუა (ურუ) | 1978 |

# განაცხადები

### მცველები
2. როდრიგეს გონსალო (არგ) 1984
4. ფაკუნდო რონკალია (არგ) 1987
5. მარვინ კომპერი (გერ) 1985
6. აჰმედ აგაცი (ეგვ) 1991
15. სტეფან სავიჩი (ჩერ) 1991
23. მანუელ პასკუალი 1982
40. ნენად ტომოვიჩი (სერ) 1987

### ნახევარმცველები
3. მარკოს ალონსო (ესპ) 1990
7. დავიდ პისარო (ჩილ) 1979
8. მარკო ბაკიჩი (ჩერ) 1993
10. ალბერტო აკვილანი 1984
11. ხუან კუადრადო (კოლ) 1988
14. მატიას ფერნანდესი (ჩილ) 1986
17. ხოაკინ სანჩესი (ესპ) 1981
20. ბორხა ვალერო (ესპ) 1985
21. მასიმო ამბროზინი 1977
27. რაფალ ვოლსკი (პოლ) 1992
66. ხუან ვარგასი (პერ) 1983
77. ალექსანდრ იაკოვენკო (უკრ) 1987
83. რუბენ ოლივერა (ურუ) 1983
მატიას ვესინო 1991

### თავდამსხმელები
9. მუნირ ელ ქადური (მორ) 1984
22. ადემ ლიაიჩი (სერ) 1991
30. რუდერი (ბრა) 1993
33. მარიო გომესი (გერ) 1985
49. ჯუზეპე როსი 1987
72. იოსიპ ილიჩიჩი (სლოვენ) 1988
*მწვრთნელი: ვინჩენცო მონტელა* *1974*

## უდინეზე (უდინე)
დაარსდა: 1896
სტადიონი: "ფრიული"

### მეკარეები
1. ზეიჩკო ბრკიჩი (სერ) 1986
22. სიმონე სკუფეტი 1996
30. ივან კელავა (ხორ) 1988
99. ფრანჩესკო ბენუსი 1981

### მცველები
4. ნალდო (ბრა) 1988
5. დანილო (ბრა) 1984
6. იგორ ბუბნიჩი (ხორ) 1992
8. დუშან ბასტა (სერბ) 1984
11. მაურიციო დომიცი 1980
25. ანდრეა კოდა 1985
26. მიგუელ პასკუალე 1982
27. სილვა ვიდმერი (შვეიც) 1993
34. სილვა გაბრიელი (ბრა) 1991
41. ფილიპო ბერა 1995
43. მარკო ფრიზონი 1995
75. ტომას ჰეურტა (საფ) 1988

### ნახევარმცველები
3. ალანი (ბრა) 1991
7. ემანუელ ბადუ (განა) 1990
16. ვალერიო ვერე 1994
18. ჯადსონი (ბრა) 1993
21. ანდრეა ლაძარი 1984
37. როზერტო პერეირა (არგ) 1991
52. ალექსანდრ მერკელი (გერ) 1992
66. ჯამპიერო პინცი 1981
94. პიოტრ ზელინსკი (პოლ) 1994
ფრანკო მლინარი (ხორ) 1992
გაბრიელ ტორიჯე (რუმ) 1989

### თავდამსხმელები
9. ლუის მურიელი (კოლ) 1991
10. ანტონიო დი ნატალე 1977
13. მატიას რანეგი (შვედ) 1984
17. ნიკოლას ლოპესი (ურუ) 1993
42. მარკო ბერტოია 1995
70. მაიკოსუელი (ბრა) 1986
მწვრ: ფრანჩესკო გვიდოლინი 1960

## რომა (რომი)
დაარსდა: 1927 წელს
სტადიონი: ოლიმპიკო

### მეკარეები
1. ბოგდან ლობონტი (რუმ) 1978
12. ჟულიო სერჟიო (ბრა) 1978
26. მორგან დე სანქტისი 1977
28. ლუკას სკორუპსკი (პოლ) 1991

### მცველები
3 დოდო (ბრა) 1992
5. ლეანდრო კასტანი (ბრა) 1986
13. მაიკონი (ბრა) 1981
17. მეჰდი ბენატია (მარ) 1987
29. ნიკოლას ბურდისო (არგ) 1981
33. იედვაი ტოში (ხორ) 1995
35. ვასილის ტოროსიდისი (საბ) 1985
42. ფედერიკო ბალცარეტი 1981
46. ალესიო რომანიოლი 1995
91. ალესანდრო კრეშენცი 1991

### ნახევარმცველები
4. მაიკლ ბრედლი (აშშ) 1987
6. კევინ სტროტმანი (ჰოლ) 1990
7. მარკინიო (ბრა) 1986
11. როდრიგო ტადეი (ბრა) 1980
15. მირალემ პიანიჩი (ბოს) 1990
16. დანიელე დე როსი 1983
24. ალესანდრო ფლორენცი 1991
94. ჯონატან ლუკა 1994
95. ფედერიკო რიჩი 1994

### თავდამსხმელები
8. ერიკ ლამელა (არგ) 1992
10. ფრანჩესკო ტოტი 1976
18. ჯანლუკა კაპრარი 1993
20. ტალო (კოტ დივ) 1992
22. მატია დესტრო 1991
27. ჟერვინიო (კოტ დივ) 1987
88. მარკო ბორიელო 1982
*მწვრთნელი: რუდი გარსია (საფ)* *1964*

## ლაციო (რომი)
დაარსდა: 1900 წელს
სტადიონი: ოლიმპიკო

### მეკარეები
1. ალბანო ბიძარი (არგ) 1977
22. ფედერიკო მარკეტი 1983
55. გუიდო გუერიერი 1996
95. ტომა სტრაკოშა (ჩერ) 1995

### მცველები
2. მიკაელ სიანი (საფ) 1984
3. ანდრე დიასი (ბრა) 1979
20. ჯუზეპე ბიავა 1977
26. სტეფან რადუ (რუმ) 1986
28. ვინიციუსი (ბრა) 1993
29. აბდულაი კონკო (საფ) 1984
32. მარიუს სტანკევიჩიუსი (ლიტ) 1981
39. ლუის კავანდა (ბელ) 1991
85. დიეგო ნოვარეტი (არგ) 1985

### ნახევარმცველები
5. ლუკას ბილია (არგ) 1986
6. სტეფანო მაური 1980
7. ფელიპე ანდერსონი (ბრა) 1993
8. ერნანესი (ბრა) 1985
10. ედერსონი (ბრა) 1986
14. დიაო კეიტა (სენ) 1995
15. ალვარო გონსალესი (ურუ) 1984
17. პერეირინია (პორ) 1988
19. სენად ლულიჩი (ბოს) 1986
23. ოგენი ონაზი (ნიგ) 1992
24. კრისტიან ლედესმა 1982
27. ლორიკ ცანა (ალბ) 1983
45. მამადუ ტუნკარა (სენ) 1996
87. ანტონიო კანდრევა 1987

### თავდამსხმელები
4. ლუკა ბრეკო 1995
11. მიროსლავ კლოზე (გერ) 1978
18. ლიბორ კოზაკი (ჩეხ) 1989
25. ანტონიო როცი 1994
30. ემილიანო ალფარო (ურუ) 1988
34. ბრაიან პერეა (კოლ) 1994
99. სერჯიო ფლოკარი 1981
ჯუზეპე სკული 1981
მწვრთ: ვლადიმირ პეტკოვიჩი (ხორ) 1963

## კატანია
დაარსდა: 1946
სტადიონი: ანჯელო მასიმო

### მეკარეები
1. ალბერტო ფრიზონი 1988
21. მარიანო ანდუხარი (არგ) 1983
34. ჯუზეპე ფიკარა 1995

### მცველები
3. ნიკოლო სპოლი (არგ) 1983
4. ჯინო პერუცი (არგ) 1992
5. ალექსის როლინი (ურუ) 1989
6. ნიკოლა ლეგროტალიე 1976
14. ჯუზეპე ბელუში 1989
18. ფაბიენ მონზო (არგ) 1987
22. პაბლო ალვარესი (არგ) 1984
24. ნორბერტ გიომბერ (სლოვაკ) 1992
33. ჩირო კაპუანო 1981
39. ერიკ კაბალსეტა (კოსტა რ.) 1993

### ნახევარმცველები
4. სერხიო ალმირონი (არგ) 1980
7. პანაგიოტის ტაჩტსიდისი (საბ) 1991
11. სებასტიან ლეტო (არგ) 1986
13. ხულიო ისკო (არგ) 1983
19. ლუკას კასტრო (არგ) 1989
28. პაბლო ბარიენტოსი (არგ) 1985

### თავდამსხმელები
9. გონსალო ბერგესიო (არგ) 1984
10. მაქსი ლოპესი (არგ) 1984
20. ფედერიკო ფრეირე (არგ) 1990
26. კეკო (ესპ) 1991
35. სულეიმან დუკარა (საფ) 1991
36. მაქსი ბარისიჩი (სლოვაკ) 1995
37. ალფრედო დონარუმა 1990
40. ბრუნო პეტკოვიჩი (ხორ) 1994
კინგსლი ბოატენგი (გან) 1994
*მწვრთნელი: როლანდო მარიანი* *1963*

## ინტერი (მილანი)
დაარსდა: 1908
სტადიონი: ჯუზეპე მეაცა

### მეკარეები
1. სამირ ჰანდანოვიჩი (სლოვენ) 1984
12. ლუკა კასტელაცი 1975
30. ხუან პაბლო კარიცო (არგ) 1984

### მცველები
2. ჯონათანი (ბრა) 1986
4. ხავიერ ძანეტი (არგ) 1973
5. ჟუან ჟესუსი (ბრა) 1991
6. მარკო ანდრეოლი 1986
14. უგო კამპანიარო (არგ) 1980
18. ვალასი (ბრა) 1994
23. ანდრეა რანოკია 1988
25. ვალტერ სამუელი (არგ) 1978
26. კრისტიან კივუ (რუმ) 1980
31. ალვარო პერეირა (ურუ) 1985
35. როლანდო (პორ) 1985
55. იუტო ნაგატომო (იაპ) 1986

### ნახევარმცველები
10. მატეო კოვაჩიჩი (ხორ) 1994
11. რიკარდო ალვარესი (არგ) 1988
13. ფრედი გუარინი (კოლ) 1986
16. გაბი მუდინგაი (ბელ) 1981
17. ზდრავკო კუზმანოვიჩი (სერ) 1987
19. ესტებან კამბიასო (არგ) 1980
20. ჟოელ ობი (ნიგ) 1991
37. ესეკიელ სკელოტო 1989
47. ალესანდრო კაპელო 1995
77. მაკდონალდ მარიგა (კენ) 1987
90. პატრიკ ოლსენი (დან) 1994
საფირ ტაიდერი (საფ) 1992

### თავდამსხმელები
7. ისაკ ბელფოდილი (საფ) 1992
8. როდრიგო პალასიო (არგ) 1982
9. მაურო იკარდი (არგ) 1993
22. დიეგო მილიტო (არგ) 1979
*მწვრთნელი: ვალტერ მაცარი* *1961*

## პარმა
დაარსდა: 1913 წელს
სტადიონი: ენიო ტარდინი

### მეკარეები
1. ნიკოლა პავარინი 1974
83. ანტონიო მირანტე 1983
91. პავოლ ბაზა (სლოვაკ) 1991
95. ლაძარ პეტკოვიჩი (სერ) 1995

### მცველები
2. მატია კასანი 1983
6. ალესანდრო ლუკარელი 1977
18. მასიმო გობი 1980
19. ფელიპე (ბრა) 1984
23. პედრო მენდესი (პორ) 1990
28. იოან ბენალუანი (საფ) 1987
29. გაბრიელ პალეტა (არგ) 1986
33. ანდრეა რისპოლი 1988
ლაზაროს ფოტიასი (საბ) 1991

### ნახევარმცველები
3. ჯამელ მესბა (ალჟ) 1984
8. დანიელე გალოპა 1985
10. იამე ვალდესი (ჩილ) 1981
16. მარკო პაროლო 1985
22. ფილიპ იანკოვიჩი (სერ) 1995
24. ჯანი მუნარი 1983
30. აფრი აკუა (სენ) 1992
32. მარკო მარკიონი 1980
77. სოტირიოს ნინისი (საბ) 1990
87. ალესანდრო როზი 1987
ფერნანდო მარკესი (ესპ) 1984
ხოსე მაური (არგ) 1996

### თავდამსხმელები
7. ჯონათან ბიაბიანი (საფ) 1988
9. ალბერტო ჩერი 1996
11. კარვალიო ამაური 1980
14. სტეფანო ოკაკა ჩუკა 1989
17. რაფაელე პალადინო 1984
21. ნიკოლა სანსონე 1991
99. ანტონიო კასანო 1982
*მწვრთნელი: რობერტო დონადონი* *1963*

## კალიარი
დაარსდა: 1920
სტადიონი: სანტ ელია

### მეკარეები
1. მიკაელ აგაცი 1989
25. ვლადა ავრამოვი (სერ) 1979
28. ვერტერ კარბონი 1996

### მცველები
3. ლორენცო არიაუდო 1989
8. აველარ დანილო (ბრა) 1989
13. დავიდე ასტორი 1987
14. ფრანჩესკო პიზანო 1986
15. ლუკა როზეტინი 1985
19. მარიოს ოიკონომუ (საბ) 1992
24. გაბრიელე პერიკო 1984
26. მატია მურონი 1996
29. ნიკოლა მურუ 1994
34. დარიო დელ ფაბრო 1995

### ნახევარმცველები
4. რაჯა ნაინგოლანი (ბელ) 1988
5. დანიელე კონტი 1979
7. ანდრეა კოსუ 1980
16. სებასტიან ერიქსენი (შვე) 1989
20. ალბინ ეკდალი (შვე) 1989
21. დანიელე დესენა 1987
22. მატიას კაბრერა (ურუ) 1986
30. რუი სამპაიო (პორ) 1987
35. მიკელე სუელა 1995
36. ანდრეა დემონტის 1995

### თავდამსხმელები
9. მარკო საუ 1987
18. ნენე (ბრა) 1983
23. ვიქტორ იბარბო (კოლ) 1990
51. მაურისიო პინილია (ჩილ) 1984
*მწვრთნელი: ივო პულგა* *1964*

## კიევო (ვერონა)
დაარსდა: 1923
სტადიონი: მარკანტონიო ბენტეგოდი

### მეკარეები
1. კრისტიან პუჯონი 1981
18. ლორენცო სკუიცი 1874
28. მარკო სილვესტრი 1991

### მცველები
2. სიმონე ალდროვანდი 1994
3. დარიო დაინელი 1979
4. კლეიტონი (ბრა) 1984
12. ბოშტიან ცეზარი (სლოვენ) 1982
15. მანუელ პამიჩი (ხორ) 1986
21. ნიკოლას ფრეი (საფ) 1984
32. ნიკოლო ბრიგენტი 1989
33. პოლ პაპი (რუმ) 1989
17. ჯენარო სარდო 1979
93. ბუკარი დრამე (სენ) 1985

### ნახევარმცველები
5. როზერტო გუანა 1981
7. დეიან ლაზარევიჩი (სერ) 1988
9. სიმონე ბენტივოლიო 1985
10. ალესიო სესტუ 1983
14. ადრიან კალელო (არგ) 1987
16. რიკარდო იმპორტა 1993
22. მაქსველ აკოსტი 1991
27. ლუკა რიგონი 1984
56. პერპარიმ ჰეტემაი (ფინ) 1986

### თავდამსხმელები
11. მამადუ სამასა (მალ) 1986
23. როზერტო ინგლეზე 1991
31. სერჯო პელისიერი 1979
39. ადრიან სტოიანი (რუმ) 1991
43. ალბერტო პალოსკი 1990
77. სირილ თერეუ (საფ) 1983
*მწვრთნელი: ჯუზეპე სანინო* *1957*

## ბოლონია
დაარსდა: 1909
სტადიონი: რენატო დალარა

### მეკარეები
1. ჯანლუკა კურჩი (მაკ) 1985
25. ფედერიკო ალიარდი 1983
32. დეიან სტოიანოვიჩი 1993

### მცველები
3. არკიმედე მორლეო 1983
5. მიკაელ ანტონსონი (შვე) 1981
8. გეორგ გარიჩი (ავსტრია) 1984
14. ჩეზარე ნატალი 1979
15. ფრედერიკ სორენსენი (დან) 1992
21. ნიკოლო კერუბინი 1981
26. ალექს ფერარი 1994
29. მარკო მაინი 1995
31. უროს რადაკოვიჩი (სერ) 1994
35. მარეკ ჩეხი (სლოვაკ) 1983
75. ხოსე ანხელ კრესპო (ესპ) 1987

### ნახევარმცველები
4. რენე კრჰინი (სლოვენ) 1990
7. ფრანჩესკო დელა როკა 1987
16. ფედერიკო კაზარინი 1989
19. ლაზ. ხრისტოდულოპულოსი (საბ) 1986
20. მატიას აბერო (ურუ) 1990
24. მიკელე პაციენცა 1982
28. მარტი რივეროლა 1991
33. პანაგიოტის კონე (საბ) 1987
92. აბდალა იაისიენი (საფ) 1994
დიეგო ლაქსალტი (ურუ) 1993
დიეგო პერესი (ურუ) 1980

### თავდამსხმელები
9. როლანდო ბიანკი 1983
10. დავიდე მოსკარდელი 1980
11. დენის ალიბეცი (ბელ) 1991
12. რობერტ აკვაფრესკა 1987
23. ალესანდრო დიამანტი 1983
77. ჰენრი ხიმენესი (ურუ) 1986
*მწვრთნელი: სტეფანო პიოლი* *1965*

## სამპდორია (გენუა)
დაარსდა: 1946
სტადიონი: "ლუიჯი ფერარისი"

### მეკარეები
1. ჟუნიორ კოსტა (ბრა) 1983
30. ვინჩენცო ფიორილო 1990
92. ანდრეა ტოცო 1992

### მცველები
3. ანდრეა კოსტა 1986
4. ბარტოშ სალამონი (პოლ) 1991
7. პაულო კასტელინი 1979
8. შკოდრან მუსტაფი (გერ) 1992
13. გაეტანო ბერარდი (შვეიც) 1988
44. მიკელე ფორნაზიერე 1993
17. ანჯელო პალომბო 1981
19. ვასკო რეჯინი 1990
28. დანიელე გასტალდელო 1983

### ნახევარმცველები
5. რენანი (ბრა) 1986
6. მატიას როდრიგესი (არგ) 1986
10. ნენად კრსტიჩიჩი (სერ) 1986
12. ჯანლუკა სანსონე 1987
14. პედრო ობიანგი (ესპ) 1992
15. პაველ ვზოლეკი (პოლ) 1991
20. ალექსანდრო მარტინელი (შვეიც) 1993
21. როზერტო სორიანო 1991
27. მირკო ერამო 1989
29. ლორენცო დე სილვესტრი 1988
33. სავას გენტზოგლოუ (საბ) 1990
79. დავიდე კაპაზი 1986
86. ზოლტ ლაჟკო (უნგ) 1986
სიმონ პოულსენი (დან) 1984
ენცო მარესკა 1980

### თავდამსხმელები
11. მანოლო გაბიადინი 1991
9. ნიკოლა პოცი 1986
23. ედერი (ბრა) 1986
*მწვრთნელი: დელიო როსი* *1960*

## ატალანტა (ბერგამო)
დაარსდა: 1907
სტადიონი: "ატლეტი აძური დ'იტალია"

### მეკარეები
16. ჩირო პოლიტო 1979
37. მარკო სპორტიელო 1992
47. ანდრეა კონსილი 1987
78. ჯორჯო ფრეძოლინი 1978

### მცველები
2. გილიერმო სტენდარდო (არგ) 1981
3. სტეფანო ლუკინი 1980
4. დანიელე კაპელი 1986
6. ჯამპაოლო ბელინი 1980
13. მიკელე კანინი 1985
27. კრისტიანო დელ გროსო 1983
28. დავიდე ბრივიო 1988
33. მარიო იეპესი (კოლ) 1976
44. რიკარდო კაცოლა 1985
93. კონსტანტინ ნიცა (ბელ) 1993
მატეო კონტინი 1980
ლიონელ სკალონი (არგ) 1978

### ნახევარმცველები
5. ლუიჯი ჯორჯი 1987
8. ჯულიო მილიაჩო 1981
10. ჯაკომო ბონავენტურა 1989
11. მაქსიმილიანო მორალესი (არგ) 1987
17. კარლოს კარმონა (ჩილ) 1987
18. დანიელე ბაზელი 1992
21. ლუკა ჩიგარინი 1986
61. როზერტო გალიარდინი 1994
77. კრისტიან რაიმონდი 1981
90. მუსა კონე 1990
ლეონარდო პეტინარი 1986
მატეო სკოცარელა 1988
ჯეიმს ტროისი (ავსტრალ) 1988

### თავდამსხმელები
7. მარკო ლივაია (ხორ) 1993
9. მატეო არდემანი 1987
19. ხერმან დენისი (არგ) 1981
23. ფრანკო ბრიენცა 1979
89. გვიდო მარილუნგო 1989
91. ჯუზეპე დე ლუკა 1991
*მწვრთნელი: სტეფანო კოლანტუონო* *1962*

## ტორინო
დაარსდა: 1906
სტადიონი: სტადიო კომუნალე

### მეკარეები
23. ლუს გომისი 1989
28. უმბერტო სარაკო 1994
30. დანიელე პადელი 1985

### მცველები
2. გილიერმო როდრიგესი (ურუ) 1984
3. დანილო დამბროზიო 1988
5. ჩეზარე ბოვო 1983
17. სალვატორე მაზიელო 1982
19. ნიკოლა მაქსიმოვიჩი (სერ) 1991
24. ემილიანო მორეტი 1981
25. კამილ გლიკი (პოლ) 1988
36. მატეო დარმიანი 1989

### ნახევარმცველები
4. მიგენ ბაშა (მარ) 1987
8. ალექსანდრ ფარნერუდი (შვედ) 1984
11. ალესიო ჩერჩი 1987
14. ალესანდრო გაცი 1983
27. მატია არამუ 1995
20. ჯუზეპე ვივესი 1980
33. მატეო ბრიგი 1981
63. ნიკოლა ბელომო 1991

### თავდამსხმელები
9. ჩირო იმობილე 1990
16. მარსელო ლარონდო 1988
69. რიკარდო მეჯორინი 1985
ბარეტო (ბრა) 1985
*მწვრთნელი: ჯამპიერო ვენტურა* *1948*

## ჯენოა (გენუა)
დაარსდა: 1893
სტადიონი: "ლუიჯი ფერარისი"

### მეკარეები
1. მატია პერინი 1992
31. ანტონიო დონარუმა 1990
38. ლუკას ზიმა (ჩეხ) 1994

### მცველები
2. მარიო სამპირისი 1992
4. სებასტიან მაიო (საფ) 1987
5. ალესანდრო გამბერინი 1981
13. ლუკა ანტონელი 1987
15. ჯოვანი მარკეზე 1984
20. სიმე ვსაიკო (ხორ) 1992
21. ტომას მანფრედინი 1980
28. სტეფან შიმიჩი (ჩეხ) 1995
37. დიეგო პოლენტა (ურუგ) 1992
90. დანიელე პორტანოვა 1978
94. ალან ბლაზე (საფ) 1994

### ნახევარმცველები
8. დავიდე ბიონდინი 1983
10. ფრანჩესკო ლოდი 1984
14. ისაკ კოფიე (განა) 1991
17. მარიო სანტანა (არგ) 1981
19. იამი რაფატი 1994
27. ფრანჩესკომაცოზალვი (ბრა) 1980
33. იურა კუჩკა (სლოვაკ) 1987
91. ანდრეა ბერტოლაჩი 1991
ვალტერ ბირსა (სლოვენ) 1986
ანდრეს ხორკერა (ჩილ) 1994
ფელიპე სეიმური (ჩილე) 1987
დანიელ ტოზცერი (უნგ) 1985
ზე ედუარდო (ბრა) 1987

### თავდამსხმელები
11. ალბერტო ჯილარდინო 1982
18. მიკელე ვენტრე 1996
23. ტიბერიო ველოჩი 1995
77. მუსა კონატე (სენ) 1993
83. ანტონიო ფლორო ფლორესი 1983
93. დანიელ მარტინესი (პარ) 1993
*მწვრთნელი: ფაბიო ლივერანი* *1976*

## ველასი (ვერონა)
დაარსდა: 1903
სტადიონი: "მარკანტონიო ბენტეგოდი"

### მეკარეები
1. რაფაელი (ბრა) 1982
12. ნიკოლას ანდრადე (ბრა) 1988
31. ნიკოლუ მიჰაილოვი (ბულ) 1988
98. დანიელე გორა 1995

### მცველები
3. მიკელანჯელო ალბერტაცი 1991
13. მატეო ბიანკეტი 1993
18. ევანგელოს მორასი (საბ) 1981
22. დომენიკო მაიეტა 1982
23. გონსალო დარმიანი (ურუ) 1988
29. ფაბრიციო კაჩატორე 1986
33. ალესანდრო აგოსტინი 1979

### ნახევარმცველები
2. რომულო (ბრა) 1987
4. სიმონ ლაინერი 1984
5. მასიმო დონატი 1981
6. მარტინიო (ბრა) 1988
10. ემილ ჰალფრედსონი (ისლ) 1984
11. ბოშკო იანკოვიჩი (სერ) 1984
19. ჟორჟინიო (ბრა) 1991
14. ესეკიელ ჩირილიანო (არგ) 1992
26. ჯაკომო სალა 1991
27. პაოლო გროსი 1985

### თავდამსხმელი
7. სამუელე ლონგო 1992
8. დანიელე ჯაჩა 1983
9. ლუკა ტონი 1977
21. ხუან გომესი (არგ) 1985
32. დანიელე რაგაცუ 1991
80. ალესანდრო სგრინია 1980
*მწვრთნელი: ანდრეა მანდორინი* *1960*

## ლივორნო
დაარსდა: 1915
სტადიონი: "არმანდო პიკი"

### მეკარეები
1. ფრანჩესკო ბარდი 1992
37. გაბრიელე ალდეგანი 1976
90. ლუკა მაცონი 1984
96. მატეო ჩიპრიანი 1996
ალფონსო დე ლუჩია 1983

### მცველები
2. კრისტიანო პიჩინი 1992
4. ალესანდრო ბერნარდინი 1987
3. ჯუზეპე ჯემიტი (გერ) 1981
5. საულო დეკარლი (შვეიც) 1992
6. რიკარდო რენო 1992
11. ალესანდრო ლამბრუგი 1987
15. იბრაჰიმ მბაე (სენ) 1994
17. ფედერიკო ჩეკერინი 1992
23. ემერსონი (ბრა) 1980
33. ნაუელ ვალენტინი (არგ) 1989

### ნახევარმცველები
7. ლუკა ბელინგერი 1983
10. ანდრეა ლუჩი 1985
16. დანიელე ბარტოლინი 1995
19. ლეანდრო გრეკო 1986
22. მარკო მოსკატი 1992
24. მარკო ბენაციო 1994
28. პასკუალე სკატარელა 1987
41. ალფრედ დუნკანი (განა) 1993

### თავდამსხმელები
8. ფედერიკო დიონისი 1987
9. პაულინიო (ბრა) 1986
26. ლუკა სილიგარდი 1988
32. ტომასო ბიაში 1994
ინოკენტი ემეგარა (შვეიც) 1989
*მწვრთნელი: დავიდე ნიკოლა* *1973*

## სასუოლო
დაარსდა: 1920
სტადიონი: "ალბერტო ბრალე"

### მეკარეები
1. ალბერტო პომინი 1981
12. სიმონე პერილი 1995
22. ანტონიო როზატი 1983

### მცველები
3. ალესანდრო ლონგი 1989
5. ლუკა ანტეი 1992
15. ფრანჩესკო აკარდი 1988
19. ლორენცო კასელი 1995
20. პაულო ბიანკო 1977
23. მარჩელო გაცოლა 1985
24. ლინო მარძორატი 1986
26. ემანუელე ტერანოვა 1987
33. ლორენცო ლაჯერონე 1989
35. ჯონატან როსინი (შვეიც) 1989
86. რეტო ციგლერი (შვეიც) 1986

### ნახევარმცველები
4. ფრანჩესკო მანანელი 1984
6. ტომასო ბიანკი 1988
7. სიმონე მისიროლი 1986
11. მარიუს ალექსე (რუმ) 1990
16. კარი ვალერი (ავსტრა) 1984
21. კარიმ ლარიბი 1991
27. ჯასმინ კურტიჩი (სლოვე) 1989
29. დავიდე ლოდეზანი 1995
45. რამან ჩიბსა (განა) 1993
95. ეტორე გლოცი 1995

### თავდამსხმელები
8. ლეონარდო პავოლეტი 1988
10. სიმონე ძაძა 1991
13. ალბერტო ალადე (გვი. ბისაუ) 1993
14. გაეტანო მაზუჩი 1984
18. აბას ალჰასანი (გან) 1995
25. დომენიკო ბერარდი 1994
70. დიეგო ფარიასი (ბრა) 1990
*მწვრთნელი: ეუსებიო დი ფრანჩესკო* *1969*

ლაშა წიკლაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

# პეპმა ვერ გათვალა...

## ბაიერნმა ფრაიბურგში ორ ქულასთან ერთად შვაინშტაიგერიც დაკარგა?


ხოსეპ გვარდიოლას ბაიერნმა ბუნდესლიგაში ქულები პირველად დაკარგა

„ფრაიბურგს" მოგება არ ჰქონდა, „ბაიერნს" კი პარასკევს „ჩელსისთან" ევროპის სუპერთასისთვის სუპერბრძოლა ელის - ჰოდა, **ხოსეპ გვარდიოლამაც** იფიქრა, ბრაისგაუდან სამ ქულას გადახალისებული შემადგენლობითაც წამოვიღებო. იფიქრა და შეცდა: „ბაიერნი" ფრაიბურგში მხოლოდ 1:1-ს დასჯერდა და ახალ სეზონში პირველი ქულები დაკარგა. პეპმა ვერ გათვალა...

„ნიურნბერგთან" (2:0 მიუნხენელთა სასარგებლოდ) ნაჩვენები უნიათო ფეხბურთით განრისხებულმა და „ჩელსისთან" მატჩით მოტივირებულმა გვარდიოლამ ძირითადი შემადგენლობა შვიდ (!) პოზიციაზე შეცვალა და წამყვანი ფეხბურთელების აბსოლუტური უმრავლესობა სათადარიგოთა სკამზე დატოვა - ფრაიბურგში „ბაიერნის" სკამზე ჯამში 166 მილიონი ევროს ღირებულების მქონე მოთამაშეები ისხდნენ: **ფილიპ ლამი, ფრანკ რიბერი, არიენ რობენი, დავიდ ალაბა, მარიო მანჯუკიჩი** და ა.შ.

ეს გახლდათ პეპის აღიარება იმის შესახებ, რომ მისთვის სუპერთასის მატჩი და **ჟოზე მოურინიოსთან** დუელი გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე **კრისტიან შტრაიხის** მოუგებელ „ფრაიბურგთან" თამაში, რაც გაუგებარი ნამდვილად ვერ იქნება - რაც უნდა იყოს, პეპმა „ბაიერნში" პირველი ტიტული უკვე დათმო (გერმანიის სუპერთასზე „დორტმუნდთან" 2:4 დამარცხდა), მეორე ტიტულის დათმობა კი, თანაც პრინციპულ ვიზავისთან, არაფრისდიდებით აღარ სურს. სწორედ ამას შეეწირა ის ორი ქულა, რომელიც რეკორდმაისტერმა გუშინწინ ბუნდესლიგის მეოთხე ტურის გადმოტანილ შეხვედრაში დაკარგა.

*„ასეთი შემადგენლობა განგებ გავამწესე. ზოგადად, ყველა ფეხბურთელი კარგ ფორმაშია და ვფიქრობ, რომ თამაშს ყველა იმსახურებს. თანაც, ფრაიბურგში ცუდად არ გვითამაშია,"* - განაცხადა მატჩის შემდეგ პეპმა.

*„როტაცია ალიბად არ გამოდგება. ის გუნდიც ძალიან ძლიერია, რომელიც „ფრაიბურგის" წინააღმდეგ წარსდგა. თანაც, „ჩელსისთან" იმ ტიტულისთვის უნდა ვიბრძოლოთ, რომელიც „ბაიერნს" არასდროს მოუგია,"* - ეს კი კაპიტან ფილიპ ლამის სიტყვებია, რომელიც პეპმა თამაშში 62-ე წუთიდან ჩართო.

ორ ქულასთან ერთად რეკორდმაისტერმა **ბასტიან შვაინშტაიგერიც** დაკარგა - შვაინი დაშავდა და მისი ასპარეზობა „ჩელსისთან" კითხვის ნიშნის ქვეშაა. ბასტიანის არყოფნა კი მიუნხენური გრანდისთვის სერიოზული დანაკლისი იქნებოდა, რადგან **ტიაგო ალკანტარა** და **ხავი მარტინესიც** დაშავებულები არიან, რაც გვარდიოლასთვის ნახევარდაცვის ცენტრში სერიოზულ საკადრო პრობლემებს ნიშნავს.


მარიო გიოტცემ (მარჯვნივ) ძირითად შემადგენლობაში ითამაშა და გამოჩნდა, რომ საუკეთესო ფორმისგან შორსაა

შალკე

# შალკეს თავდასხმა აღარ ჰყავს!

## ჰუნტელაარის შემდეგ სალაიც დაშავდა...

შარშან „შალკეს" ყველაზე მეტად წინა ხაზზე უჭირდა, რადგან გელზენკირხენული კლუბის მთავარი გოლეადორი **კლაას-იან ჰუნტელაარი** ფორმაში არ იყო და ხშირად ტრავმიანობდა. სწორედ ამიტომ შეიძინეს „ხუმარებმა" უნგრელი ცენტრფორვარდი **ადამ სალაი**, მაგრამ როგორც ჩანს, „შალკეს" მენეჯერ **ჰორსტ ჰელდტს** მშვიდად ყოფნა არ უწერია.

პაოკ-თან საპასუხო მატჩში, რომელიც გელზენკირხენელებმა 3:2 მოიგეს და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზური მოიპოვეს, 25 წლის სალაიც დაშავდა. შეგახსენებთ, რომ 30 წლის ჰუნტელაარი უფრო ადრე დაშავდა და კიდევ ერთი თავდამსხმელი, **ჩინედუ ობასიც** (27 წლის) ტრავმირებულია. პაოკ-თან სალაიმ დუბლი შეასრულა, მერე კი ტრავმა მიიღო და დიდი შანსია, რომ ლაზარეთში ყოფნა დიდხანს მოუხდეს.

გამოდის, რომ „შალკეს" მთავარი მწვრთნელის, **იენს კელერის** განკარგულებაში ახლა მხოლოდ ერთი ნომინალური ცენტრფორვარდიღა ჰყავს - 23 წლის ფინელი **ტეემუ პუკი**, რომელიც გუნდიდან წასვლას აპირებს (მისი გადაბირება გლაზგოს „სელტიკს" უნდა).

*„ჯერ სალაის შესახებ საბოლოო დიაგნოზს დაველოდებით და მერე მოვიფიქრებთ, უნდა გავაქტიურდეთ თუ არა სატრანსფერო ბაზარზე,"* - აცხადებს გელზენკირხენელთა მენეჯერი ჰელდტი. სატრანსფერო ფანჯარა 2 სექტემბრამდეა ღია, რაც იმას ნიშნავს, რომ ჰელდტს ბევრი დრო აღარ აქვს. ფაქტია ისიც, რომ ცენტრფორვარდის პოზიციაზე თამაში **ჯეფერსონ ფარფანსაც** შეუძლია და ესეც რომ არ იყოს, „შალკეს" განაცხადში 17 წლის ნიჭიერი ფორვარდი **დონის ავდიჯაიც** ჰყავს, რომელმაც წინა სეზონში, ბუნდესლიგის B-იუნიორებში 25 თამაშში 44 გოლი გაიტანა. ავდიჯაი 16 წლის იყო, როცა უკვე „შალკეს" 19-წლამდელთა გუნდში თამაშობდა.

### აოგო გელზენკირხენისკენ

ამასობაში, „შალკე" სულ სხვა პოზიციაზე, კერძოდ მარცხენა ფლანგზე ძლიერდება: ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, გადაწყვეტილია, რომ გელზენკირხენული კლუბი „ჰამბურგიდან" 26 წლის **დენის აოგოს** გადაიბირებს. ეს უკანასკნელი „შალკეში" არენდის წესით ითამაშებს. თუმცა მარცხენა მცველი, რომელსაც მარცხენა გარემარბის პოზიციაზეც შეუძლია თამაში, კელერს და ჰელდტს თავდასხმაში შექმნილ პრობლემას ვერ გადაუწყვეტს...


ჰუნტელაარის შემდეგ შალკეს ადამ სალაიც დაუშავდა

დორტმუნდი


ილქაი გიუნდოგანი ერთი თვე იუქმებს

# გიუნდოგანის ერთი თვე

## ...მაგრამ ბორუსია არავის იყიდის!

დორტმუნდის „ბორუსიას" და გერმანიის ნაკრების საყრდენი ნახევარმცველის, **ილქაი გიუნდოგანის** ტრავმა მოსალოდნელზე მძიმე აღმოჩნდა - 22 წლის ფეხბურთელს ექიმებმა ერთთვიანი იძულებითი პაუზა გამოუწერეს. მიუხედავად ამისა, „დორტმუნდში" მისი შემცვლელის ტრანსფერზე არ ფიქრობენ.

*„ილქაის არყოფნა ჩვენთვის უდიდესი დანაკლისია, მაგრამ სატრანსფერო ბაზარზე გააქტიურების საბაბს ვერ ვხედავ,* - აცხადებს „ბორუსიას" მენეჯერი **მიხაელ ცორკი**, - *ნური შაჰინის, სებასტიან კელისა და სვენ ბენდერის სახით ჩვენ კიდევ სამი მაღალი დონის საყრდენი ნახევარმცველი გვყავს."*

ცორკისვე თქმით, „მანჩესტერ იუნაიტედიდან" 24 წლის იაპონელი გამთამაშებლის, **შინჯი კაგავას** დაბრუნებაც გამორიცხულია. „იუნაიტედში" იაპონელს სათადარიგოთა სკამს ახეხვინებენ, მაგრამ კაგავა „ბორუსიასაც" არ სჭირდება.

ამბები

### დერდიოკს ჰამბურგში უნდა

ერთ დროს უნიჭიერეს თავდამსხმელად შერაცხილი შვეიცარიელი ფეხბურთელი **ერენ დერდიოკი** „ჰოფენჰაიმის" მეორე გუნდშია გადასროლილი - „სოფლელებში" 25 წლის ფორვარდი ჩამოწერეს. თუმცა დერდიოკის ნიჭსა და შესაძლებლობებს ბუნდესლიგაში კიდევ გამოუჩნდა დამფასებელი - მისი გადაბირება „ჰამბურგმა" მოისურვა და ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ბუნდესლიგის უკანასკნელი დინო მზადაა, დერდიოკს კიდევ ერთი შანსი მისცეს.


ერენ დერდიოკი

თუმცა ჰამბურგელებს ბევრი ფული არ აქვთ და დერდიოკში დიდი თანხის გადახდა არ შეუძლიათ. „ბილდის" ინფორმაციით, რეალური მხოლოდ მისი არენდით აყვანაა. ამასთან, ტრანსფერის შემთხვევაში თავად ფეხბურთელიც უნდა დათანხმდეს ხელფასის შემცირებას - „ჰოფენჰაიმში" ის წელიწადში 2 მილიონ ევროს იღებს და ცხადია, რომ „ჰამბურგში" ამდენს არ გადაუხდიან. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, დერდიოკი ამაზეც თანახმაა.

### დე იონგი ზამთარში გადაწყვეტს

მიუხედავად იმისა, რომ „გლადბახის" ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდება, ჰოლანდიელი თავდამსხმელი **ლუუკ დე იონგი** მინიმუმ ზამთრამდე მაინც მიონხენგლადბახში დარჩება და სასტარტოში ადგილის დაბრუნებისთვის იბრძოლებს. 23 წლის ფორვარდი ჰოლანდიის ნაკრების წევრია და მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში უნდა, მაგრამ თუ „გლადბახში" არ ათამაშებენ, **ლუის ვან გაალის** ყურადღებას ვერ დაიმსახურებს.

*„წასვლას ჯერ მაინც არ ვაპირებ, რადგან მიმაჩნია, რომ „გლადბახის" ძირითადში დაბრუნება შემიძლია. თუ ზამთრამდე ამას ვერ მოვახერხებ, მერე ნამდვილად ვიფიქრებ კლუბის გამოცვლაზე, რადგან ჰოლანდიის ნაკრების სამუნდიალე შემადგენლობაში მოხვედრა ჩემთვის უმთავრესი პრიორიტეტია,"* - უთხრა დე იონგმა „ბილდს".

### ვერდერის მისტერ იქსი სანტიაგო გარსიაა


სანტიაგო გარსია

გუშინწინ გერმანული პრესა წერდა, რომ ბრემენის „ვერდერი" ახალ მარცხენა მცველს ყიდულობს, მაგრამ ჩვენი გერმანელი კოლეგები მის ვინაობას ვერ აკონკრეტებდნენ. გუშინ კი გაირკვა, რომ ბრემენული კლუბის „მისტერ იქსი" იტალიური „პალერმოს" 25 წლის არგენტინელი ფეხბურთელი **სანტიაგო გარსიაა**. *„ჩვენ ამ ფეხბურთელს მარტის მერე ვაკვირდებით და მისი ტრანსფერით დაინტერესებულები ვართ,"* - უთხრა „ვერდერის" მენეჯერმა **თომას აიხინმა** „კიკერს".

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. საპასუხო მატჩები



სოსიედადი ლიგაში მოხვედრას ზეიმობს

# მოულოდნელობა არაფერია

გუშინ გვიან ღამით ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის უკანასკნელი მონაწილეები გაირკვნენ. ხუთიდან სამ წყვილში ბევრი რამ ისედაც გარკვეული იყო და ფავორიტებმა, "ზენიტმა", "პლზენმა" და "სოსიედადმა" თავიანთ სტატუსებს კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი. სხვებზე მეტ ყურადღებას მილანსა და გლაზგოში გასამართი შეხვედრები იწვევდა. "როსონერიმ" პსვ იოლად დაიტანა და საბოლოოდ მას დიდი ანგარიშითაც სძლია. "სელტიკ პარკზე" კი შოტლანდიის ჩემპიონმა მხოლოდ მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში მოახერხა მისალები ანგარიშის დაფიქსირება. გადამწყვეტი დარტყმა **ჯეიმს ფორესტის** ანგარიშზეა. ასე რომ, სენსაცია არ შედგა. ყაზახები თავდადებული თამაშისთვის ჩვენგან მხოლოდ კომპლიმენტებს იმსახურებენ.

**ზენიტი-პასუშ ფერეირა 4:2 (4:1)**

**გოლები:** 1:0 დანი (29), 2:0 დანი (48), 3:0 ბუხაროვი (66), 3:1 ჟოზე (67), 4:1 არშავინი (78-პენ), 4:2 კარლაო (83)

**მილანი-ეინდჰოვენი 3:0 (1:1)**

**გოლები:** 1:0 კ.პ. ბოატენგი (9), 2:0 ბალოტელი (55), 3:0 კ.პ. ბოატენგი (77)

**სელტიკი-შახტიორი 3:0 (0:2)**

**გოლები:** 1:0 კომონსი (45+1), 2:0 სამარასი (48), 3:0 ფორესტი (90+2)

**მარიბორი-პლზენი 0:1 (1:3)**

**გოლები:** 0:1 ტეცლი (3)

**სოსიედადი-ლიონი 2:0 (2:0)**

**გოლები:** 1:0 ველა (67), 2:0 ველა (90+1)



სელტიკმა ორბურთიანი დეფიციტი აღმოფხვრა

ესპანეთის სუპერთასი

**ბარსელონა-ატლეტიკო 0:0 (პირველი მატჩი 1:1)**

**ბარსელონა** (4-3-3): ვალდესი – ალვეში, პიკე, მასკერანო, ალბა – ფაბრეგასი (72. ინიესტა), ბუსკეტსი, ჩავი – ა. სანჩესი (65. პედრო), მესი, ნეიმარი

**ატლეტიკო** (4-1-4-1): კურტუა – ხუანფრანი, მირანდა, გოდინი, ფ. ლუისი – მ. სუარესი – დ. კოშტა, გაბი, თურანი (72. ადრიანი), კოკე (89. ლეო ბაპტიშტაო) – ვილია (84. კ. როდრიგესი)

**გაფრთხილება:** ფაბრეგასი, ბუსკეტსი, პიკე – კოკე, გაბი, დ. კოშტა, გოდინი

**გაძევება:** - ფ. ლუისი (81), თურანი (90+1)

*90-ე წუთზე პენალტი ვერ გამოიყენა მესიმ*

**კარში დარტყმა:** 6-10 (2-3) **კუთხური:** 6-1 **თამაშგარე:** 0-2 **ჯარიმა:** 9-27 **ბურთის ფლობა:** 63%-37%

მაყურებელი: 74 536



ევროპა ლიგა

| 29 აგვისტო | | |
|---|---|---|
| რუბინი-მიოლდე | (2:0) | 19:00 |
| სპარტაკი-სტ. გალენი | (1:1) | 19:00 |
| ასტრა-მაკაბი ჰ. | (0:2) | 20:00 |
| დილა-რაპიდი | (0:1) | 20:00 |
| დინამო კ.-აქტობე | (3:2) | 20:00 |
| ნორდშელანი-ელფსბორგი | (1:1) | 20:00 |
| შტუტგარტი-რიეკა | (1:2) | 20:00 |
| ტრაბზონი-კუკესი | (2:0) | 20:30 |
| აპოელ-ვარეგემი | (1:1) | 21:00 |
| ალკმაარი-ატრომიტოსი | (3:1) | 21:00 |
| შერიფი-ვოივოდინა | (1:1) | 21:00 |
| ლიბერეცი-უდინეზე | (3:1) | 21:00 |
| სტ. ეტიენი-ესბიერგი | (3:4) | 21:00 |
| ბეშიქთაში-ტრომსო | (1:2) | 21:30 |
| პეტროლული-სუონსი | (1:5) | 21:30 |
| გენკი-ჰაფნარფიორდური | (2:0) | 22:00 |
| ნიცა-აპოლონი | (0:2) | 22:00 |
| შპენდერბეუ-ჩერნომორეცი | (0:1) | 22:00 |
| თუნი-პარტიზანი | (0:1) | 22:00 |
| დნიპრო-ნიმე კალიუ | (3:1) | 22:30 |
| აინტრახტი-ყარაბახი | (2:0) | 22:30 |
| პაშინგი-ეშტორილი | (0:2) | 22:30 |
| სტანდარდი-მინსკი | (2:0) | 22:30 |
| ჟალგირისი-რედ ბული | (0:5) | 22:30 |
| შლიონსკი-სევილია | (1:4) | 22:45 |
| ფეიენოორდი-ყუბანი | (0:1) | 23:00 |
| ფიორენტინა-გრასჰოპერსი | (2:1) | 23:00 |
| ტოტენჰემი-დინამო | (5:0) | 23:05 |
| ბრაგა-პანდური | (1:0) | 23:30 |
| ბეტისი-იაბლონეცი | (2:1) | 23:30 |

საგარაუდო ტრანსფერი

# ლამელა დღეს ტოტენჰემში სამედიცინო შემოწმებას გაივლის

რამდენიმე იტალიური წყარო ერთხმად ამტკიცებს, რომ ყველაფერი გადაწყვეტილია - „ტოტენჰემმა" დაიბევა უელსელი **გარეთ ბეილის** შემცვლელი, რომელიც 100 მილიონ ევროდ მადრიდის „რეალში" გადადის - დღეს 21 წლის არგენტინელი **ერიკ ლამელა** ლონდონურ კლუბში სამედიცინო შემოწმებას გაივლის.

„სქაი სპორტს იტალიას" ცნობით, დღეს „რომას" შემტევი ნახევარმცველი „ტოტენჰემში" სრულ სამედიცინო შემოწმებას გაივლის. ტრანსფერი „რომაში" **ადემ ლიაიჩის** ტრანსფერმა დააჩქარა „ფიორენტინადან". ერიკ ლამელა პორტუგალიელი მწვრთნელის, **ანდრე ვილაშ-ბოაშის** გუნდს 35 მილიონი ევრო დაუჯდება.

ლამელა „რივერ პლეიტის" აღზრდილია, საიდანაც 2011-ში 14 მილიონ ევროდ იტალიურ კლუბში გადავიდა და მის რიგებში უკვე 21 გოლი გაიტანა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ერიკ ლამელა

ამბები

### ილმაზი ლაციოში გადავა

„გალათასარაის" ხელმძღვანელები რომში იმყოფებიან, რათა „ლაციოსთან" **ბურაქ ილმაზის** ტრანსფერის დეტალები მოაგვარონ. „ბიანკოჩელესტემ" თურქულ კლუბს ფორვარდის სანაცვლოდ 9,5 მილიონი ევრო (პლუს ბონუსები) შესთავაზა. 28 წლის ილმაზი შარშან „ტრაბზონიდან" „გალათასარაიში" 5 მილიონ ევროდ გადავიდა. „ლაციოსთან" მოლაპარაკებას „გალას" სპორტული დირექტორი **ბიულენთ თულუნი** აწარმოებს. ადრე თურქული წყაროები იუწყებოდნენ, რომ ილმაზის სანაცვლოდ „გალათასარაი" 18 მილიონ ევროს ითხოვდა. შეგახსენებთ, რომ ფორვარდმა გასულ სეზონში ჯამში 34 გოლი გაიტანა.

### კრასიჩი ლიონში მიდის

როგორც ჩანს, ფრანგულმა „ლიონმა" აჯობა „ბოლონიას" „ფენერბაჰჩეს" გარემარბის, **მილოშ კრასიჩისთვის** ბრძოლაში. ყოფილი იუვენტუსელი თითქოს მზად იყო „როსობლუს" შემადგენლობაში გადასულიყო, მაგრამ სერბის ტრანსფერი „ლიონმა" უკეთ გაჩარხა, რომელიც 28 წლის კრასიჩს ნელიწადში 2,3 მილიონ ევროს გადაუხდის.

### მარინი იუვენტუსში

იტალიის ჩემპიონი ტურინის „იუვენტუსი" ახლოსაა „მანჩესტერ სიტიდან" 18 წლის რუმინელი თინეიჯერის **ვლად ნიკოლაე მარინის** გადაყვანასთან. მარინი „ლაციოს" აღზრდილია, რომაულმა კლუბმა ის ინგლისში სულ რაღაც 300 ათასი ფუნტის სანაცვლოდ გაასხვისა. მარინს შეუძლია თამაში მარცხენა ფლანგზე როგორც დაცვაში, ისე შეტევაში. ხანდახან რუმინელს ცენტრალურ მცველადაც უთამაშია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩელსი

# ვილიანი ჩელსელია

ბრაზილიელმა შემტევმა **ვილიანმა ჟოზე მოურინიოს** ხელშეწყობით ბრიტანეთში მუშაობის ვიზა მიიღო და ოფიციალურად გახდა ლონდონის „ჩელსის" წევრი. ლონდონური კლუბი „ანჟის" 32 მილიონ ფუნტს გადაუხდის 25 წლის ფეხბურთელში. ვილიანმა უკვე აილო 22-ნომრიანი მაისურა „ჩელსიში". მისი დებიუტი ინგლისში 14 სექტემბერს „ევერტონის" წინააღმდეგ შედგება. ბრაზილიელმა 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ვილიანი „ჩელსის" მაისურით

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ძიუდო. მსოფლიოს ჩემპიონატი

# უმედლობა და შეცდომები გრძელდება

რიო დე ჟანეიროში მესამე დღესაც უმედლოდ დავრჩით. ამჯერად ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ნუგზარ ტატალაშვილი** და მესამე პრიზიორი **ზებედა რეხვიაშვილი** (ორივე – 73) დამარცხდნენ. წინა დღეებისგან განსხვავებით, გუშინ მეტოქემაც გვაჯობა - რეხვიაშვილის შემთხვევაში, თუმცა ტატალაშვილმა გუნდის უცნაურ ტრადიციას არ უღალატა და თავისივე დაუდევრობას ემსხვერპლა.

ტურნირზე ჯერ კიდევ გვრჩება ხუთი მონაწილე და ღმერთმა ქნას, საერთო მდგომარეობა მათ მაინც გამოასწორონ, მაგრამ რაც აქამდე ვნახეთ, იმის მიხედვით უკვე შეიძლება თქმა, რომ ნაკრები სეზონის უმთავრეს ტურნირს კარგად მომზადებული ვერ შეხვდა. მართალია, საერთო დონე წინა წლებივით არცთუ კატასტროფულია, მაგრამ ფაქტია, ჯერჯერობით არც მსოფლიოს ჩემპიონატს ჰყოფნის. ძალიან კარგი, დარჩენილ წონებში რაც უფრო წარმატებით გამოვალთ, თუმცა მჩატე წონებმა მეტისმეტად ბევრი სამსჯელო და საფიქრალი დაგვიტოვა. გვესმის, რომ ვილაცას ტრავმამ შეუშალა ხელი, ვილაცამ მზადების სრულყოფილი ციკლი ვერ გაიარა, მაგრამ ჩავლილ სამ წონაში გუნდს არა ასე ინდივიდუალური, არამედ საერთო ტიპის პრობლემები გამოაჩნდა – ნაგება საკუთარი ბავშვური, მიუტევებელი შეცდომებით; არასათანადო ფიზიკური მომზადება, გამძლეობა, სუნთქვა... სამწუხაროდ, ისევ იჩინა თავი ერთმა ძველმა სენმა, რაც ბოლო თვეებში ნანახიდან გამომდინარე, მოგვარებული გვეგონა – ჩოქბჯენში ჭიდაობას ისევ ხშირად გაურბიან, ვერც დროის გაყვანაზე ზრუნავენ სათანადოდ. ეტყობა, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია და რასაც ბავშვობიდან არ ეჩვევიან, იმას ვერც ეგუებიან. ნუთუ განმეორდება ბოლო წლების ცუდი ტრადიცია, როცა სეზონის პირველ ნახევარში კარგად ვჭიდაობდით ევროპის ჩემპიონატში, მაგრამ სუსტად გამოვდიოდით წლის ბოლოს, სეზონის უმთავრეს შეჯიბრებებში, მსოფლიოს პირველობა-ოლიმპიადაზე?

## მერვედფინალური დრამა

გუშინ ორივე ჩვენებური მერვედფინალიდან გამოვარდა – რეხვიაშვილი ევროპის წლევანდელ სლოვენიელ ჩემპიონ **როკ დრაკშიჩთან** იუკოთი დამარცხდა, რისი გაქვითვაც დალლილობის გამო ვერ შეძლო, ტატალაშვილმა კი წარმოუდგენელი შეცდომა დაუშვა ყაზახ **დასტან იკიბაევთან** – უბრალოდ, ფეხები აებლანდა ერთმანეთში.

პირველი შეხვედრები ჩვენებმა იოლად მოიგეს (ოღონდ რეხვიაშვილი პირველ წრეში ისვენებდა და მეორიდან ჩაერთო ტურნირში), განსაკუთრებით – ტატალაშვილმა, რომელმაც სულ რალაც 24 წამში ჯერ იუკო აართვა ჩილელ **ტომას ბრინგასს**, მერე იპონზეც დააგდო. ამ მომენტში მწვრთნელმა **ირაკლი უზნაძემ** დროულად უკარნახა, ფეხი გამოუსვიო. შეგირდმაც, რომელსაც ჩავლებით მყარად ეჭირა მეტოქე, დაუჯერა და უსწრაფესი გამარჯვება მიითვალა. ჯაფა არც რეხვიაშვილს დასდგომია დომინიკელ **ფაუსტო ბივიცასთან** – სამი გაფრთხილება სწრაფად მიაღებინა და მწვრთნელი ურჩევდა კიდეც, ძალა არ დაეხარჯა ილეთებზე, გაფრთხილებებით მოეხსნევინებინა, მაგრამ ზებედას სულმა წასძლია და ჯერ ვაზარზე დააგდო, ზუსტად მესამე წუთზე კი მოგვერდით საიპონედ წამოილო.

მეორე შეხვედრაში ტატალაშვილმა უნგრელი **ატილა უნგვარიც** უპრობლემოდ დაამარცხა – მწვრთნელის მითითებათა დარად, ჩავლებით უთიშავდა მარჯვენა ხელს, არ უთმობდა ინიციატივას და აქტიურობდა, რის შედეგადაც გაფრთხილებებით მოახსნევინა. ეს მისთვის პრინციპული პაექრობა იყო, რადგან უნგრელთან წლეულს ევროპის გუნდურ პირველობაზე წააგო.

რეხვიაშვილმა ამ სეზონში მესამედ დაჯაბნა რუსი **მურატ კოძოკოვი**, თუმცა ტურნირზე პირველად დაეტყო დაღლა (რაც მისთვის თანამდევი პრობლემაა) და მეორე ნახევარში გვარიანად გაუჭირდა. ოღონდაც ვერ ვიტყვით, რომ რუსთა ყაბარდოელს დიდი შანსი მისცა. პირიქით – სწორი ჩავლებით მთელ შეხვედრას რეხვიაშვილი აკონტროლებდა, ზუსტად 2 წუთის შემდეგ კარგად გამოიყენა მეტოქის შეცდომა, როცა მიახტა და ბრუნზე გაისროლა. თავიდან მსაჯებმა ვაზარი მისცეს, მაგრამ მერე იუკოდ გადააკეთეს, თუმცა მოსაგებად მაინც საკმარისი იყო.

ტატალაშვილმა ამერიკელ **ნიკოლას დელპოპოლოსაც** იოლად სძლია – გააფრთხილებინა კიდეც, ხოლო დამთავრებამდე 2.15 წუთით ადრე კარგად შემოუარა ზურგიდან და წინ ვაზარზე გადააგორა. ეს უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა, ოღონდ დასრულებამდე 2 წამით ადრე გამოვლენილმა დაუკვირვებლობამ ყაზახთან დალუპა – ანგარიშის შენარჩუნებაზე ზრუნვის ნაცვლად შეტევა სცადა და კინალამ კონტრილეთზე წამოეგო. დელპოპოლომ შანსი ვერ გამოიყენა, იკიბაევმა კი არ აპატია — ქართველს ფეხი აებლანდა და იმანაც უკან იპონზე გადაჩეხა. არადა, არაფერი მოასწავებდა საილეთე ეპიზოდს. ტატალაშვილმა შეხვედრის დასაწყისშივე ტრავმა კი მიიღო – თავით დაეცა და გაუჭირდა წამოდგომა, მაგრამ ასეთი მიამიტური შეცდომა მაინც არ უნდა დაეშვა. ამ დროს რეხვიაშვილი რამდენიმე წუთის გამოვარდნილი იყო - დრაკშიჩთან ყოჩაღად კი დაიწყო და გაფრთხილებაც მიაღებინა, მაგრამ შეხვედრის ბოლოსკენ დაღლა ძალუმად დაეტყო და შეტევის ტემპი ვერ გაზარდა.



მურატ კოძოკოვი და ზებედა რეხვიაშვილი (თეთრ კიმონოში)

### საგულისხმო ამბები

გუშინ ჩემპიონატში რამდენიმე აღსანიშნავი ამბავი მოხდა: პირველად დაირღვა აზიური ფინალის ტრადიცია და ოქროს მედლისთვის ბრძოლაში ამჯერად ფრანგი **უგო ლეგრანიც** ჩაერია. თუმცა ევროპის ჩემპიონს, ოლიმპიადისა და მსოფლიოს მესამე პრიზიორს ხელი მოეცარა და ვერცხლს დასჯერდა; ამბიციურმა ბრაზილიამ პირველი ოქრო მოიპოვა – ქალებში **რაფაელა სილვამ** მოუტანა; ევროპამ ქალებშიც და ვაჟებშიც 5-ით გაზარდა მედლების რაოდენობა; ბელგიელმა **დირკ ვან ტიხელტიმ** და ჰოლანდიელმა **დექს ელმონტმა** მეორედ მოიპოვეს მსოფლიოს ბრინჯაო... იაპონია გუშინ ქალებში უმედლოდ დარჩა, მაგრამ, სამაგიეროდ, ვაჟებში ისევ გაგრძელდა მათი ჰეგემონია. ამჯერად დღის ტრიუმფატორად იქაურთა მორიგი ამომავალი ვარსკვლავი, 21 წლის **შოჰეი ონო** მოგვევლინა, რომელმაც ფინალში ლეგრანს ორჯერ ამოუსვა წარმატებით – პირველად იუკოზე დააგდო, მეორედ - იპონზე.



ლევან წიკლაური (მარცხნივ) და ავთანდილ ჭრიკიშვილი

### დღეს იჭიდავებენ

დოსიე



**ავთანდილ ჭრიკიშვილი**

18.03.1991 წ. საქართველოს ჩემპიონი (2012); ევროპის ჩემპიონი პირადში (2013) და ორგზის გამარჯვებული გუნდურში (2012; 2013); ევროპის ორგზის გამარჯვებული (2009, 2010) და მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებში (2010). „დიდი პრიზის" გამარჯვებული (დიუსელდორფი, 2013), „დიდი მუზარადის ჩემპიონი (პარიზი, 2013), მასტერსის მესამე პრიზიორი (2013).



**ლევან წიკლაური**

15.10.1985 წ. საქართველოს ჩემპიონი (2011); ევროპის მესამე პრიზიორი პირადში (2009) და ორგზის ჩემპიონი გუნდურში (2010; 2013); „დიდი მუზარადის" ჩემპიონი (ბაქო, 2013); „დიდი პრიზის" ვერცხლის მედალოსანი (დიუსელდორფი, 2013), მსოფლიოსა და ევროპის თასების 3-გზის ჩემპიონი.

მსოფლიოს ჩემპიონატზე ქალთა და ვაჟთაგან დღესაც თითო წონა იჭიდავებს – 57 და 81 კილოგრამები, ჩვენ კი კვლავაც ორი კაცი გვეყოლება საქომაგო – ევროპის წლევანდელი ჩემპიონი **ავთანდილ ჭრიკიშვილი** და ევროპის მესამე პრიზიორი **ლევან წიკლაური**. ორივე განთესილთა შორისაა - ჭრიკიშვილი სულაც მსოფლიოს რეიტინგის მეორე ნომერია, ხოლო წიკლაურმა, — რადგან არ ჭიდაობს, უძლიერესი კორეელი, მსოფლიოს ორგზის და ოლიმპიური ჩემპიონი **ჯაე-ბუმ კიმი**, — ერთი ადგილით წინ წაიწია და ტურნირზე მეექვსეა. ამით ჩვენებურები ბადის სხვადასხვა მხარეს მოხვდნენ, თორემ ადრინდელი განლაგებით, მათი გზები ადრევე იკვეთებოდა.

პირველ წრეში ორივე ქართველი ისვენებს, მეორეში კი ჯერჯერობით მხოლოდ წიკლაურის მეტოქეა გარკვეული – ჩეხი **იარომირ მუსილი**. ისინი მხოლოდ წლეულს შეხვდნენ ერთმანეთს – ორჯერ და ორივეჯერ ქართველმა იმარჯვა - დიუსელდორფში, „დიდ პრიზზე" და ბაქოს „დიდ მუზარადზე". მასთან წარმატების შემთხვევაში ჩვენებური მონღოლ **უუგანბაატარ ოტგონბაატარსა** და ჩინელ **ვენტაო ჭანს** შორის მოგებულს შეხვდება. სავარაუდოდ, ეს მონღოლი იქნება, რომელსაც წიკლაური არ შეხვედრია. აი, ამ წრესაც თუ გაივლის, მეოთხედფინალამდე არ უნდა გაუჭირდეს, რადგან იქამდე ნაკლებად ცნობილი ამერიკელის გარდა, ისეთი არასაჭიდაო ქვეყნების წარმომადგენლებს შეხვდება, ავსტრალია, ანგოლა, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა და ახალი ზელანდია რომ არიან. აი, მეოთხედფინალში სავარაუდო მეტოქეთა შორის იაპონელი აზიის ვიცე-ჩემპიონი **კეიტა ნაგაშიმა** და ხორვატი ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ტომისლავ მარიჯანოვიჩი** მოუდიან. ნაგაშიმასთან წიკლაური წლეულს მასტერსზე დამარცხდა, მარიჯანოვიჩს კი 4 პაექრობიდან 3 მოუგო. ის ერთიც ევროპის წლევანდელ პირველობაზე დათმო, თუმცა რევანში მალევე აუღო ბაქოს „მუზარადზე".

ევროპის ჩემპიონი ჭრიკიშვილი უფრო იოლ ჯგუფშია. ის თავიდან ისვენებს, მასთან შესახვედრად კი ბელარუსი ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ალექსანდრ სტიაშენკა** და ლატვიელი ევროპის პრიზიორი **კონსტანტინ ოვჩინიკოვსი** იჭიდავებენ. ბელარუსს ქართველმა 4-დან ბოლო სამი პაექრობა მოუგო, ლატვიელმა კი შარშან ევროპის პირველობაზე ბრინჯაოს მედალი დაათმობინა – ეს მათი ერთადერთი შეხვედრაა. ამათ გარდა, ჩვენებურს მერვედფინალამდე ღირებული მეტოქე არც ჰყავს, იქ კი მეტ-ნაკლებად ცნობილთაგან ვინ შეიძლება დაუპირისპირდეს? კანადელი ოლიმპიური პრიზიორი **ანტოინ ვალოის-ფორტიერი** (+2, ორივე შეხვედრა წლეულს მოუგო), გერმანელი **სვენ მარეში** (-2), ფრანგი **ალაინ შმიტი** (ჯერ არ შეხვედრია) და ამერიკელი **ტრევის სტევენსი** (+2,-1).

ირაკლი თავაძე

### კვარცხლბეკი

**ვაჟები**

**73 კგ.** 1. შოჰეი ონო (იაპონია); 2. უგო ლეგრანი (საფრანგეთი); 3. დირკ ვან ტიხელტი (ბელგია), დექს ელმონტი (ჰოლანდია).

**ქალები**

**57 კგ.** 1. რაფაელა სილვა (ბრაზილია); 2. მარტი მალოუ (აშშ); 3. ვლორა ბედეტი (სლოვენია), მირიამ პოპერი (გერმანია).

● ჭადრაკი

# ლიდერებს ქულით ჩამორჩება

თბილისელი დიდოსტატი **ლევან აროშიძე** ესპანეთში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში ასპარეზობს. გუშინ მე-6 ტურში მასპინძელ **დავიდ პარდოს** დაუზავდა და 4,5 ქულა მოაგროვა. ჩვენებურს თითო ქულით უსწრებენ **ედუარდო იტურისაგა** (ვენესუელა) და **ვლადიმირ ბურმაკინი** (რუსეთი), რომლებმაც, შესაბამისად, ერთპიროვნული ლიდერი **ანტონ ფილიპოვი** (უზბეკეთი) და **რობერტ ამოლა** (ესპანეთი) დაამარცხეს. ორივე გამარჯვებული გათამაშების ცხრილს 5.5-5.5 ქულით ჩაუდგა სათავეში.

დღეს მე-7 ტურის პარტიები გაიმართება.

ვაჟა დანელია



ლევან აროშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

● თანამედროვე ხუთჭიდი



საქართველოს თანამედროვე ხუთჭიდის იმედის ოთხეული - მარცხნიდან: გიორგი თანდაშვილი, ქეთევან ცომაია, გიორგი ჯარაშნელი, დავით კაპანაძე

# აღორძინება ოთხეულის იმედით

**ამირან შეროზია** წარმატებული სპორტსმენი იყო და შეგირდთა აღზრდაშიც გაუმართლა - 1978 წლიდან არის საქართველოს თანამედროვე ხუთჭიდელთა უფროსი მწვრთნელი. მისი ხელმძღვანელობით 1981 წელს საქართველოს ნაკრებმა საბჭოთა კავშირის პირველობა მოიგო, ევროპის თასზე კი სსრ კავშირის ნაკრების სახელით მესამე ადგილზე გავიდა, რაც დიდი წარმატება იყო. პირად პირველობაში 1985 წელს **იგორ ბრიზგალოვი** ევროპის თასს დაეუფლა. სსრ კავშირის ნაკრებში 1988 წელს მსოფლიოს ჩემპიონობა ახალგაზრდებს შორის **რევაზ ლოხიშვილმა** მოიპოვა. იმავე წელს სეულში გამართული ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალი ხვდა წილად **ვახტანგ იაგორაშვილს**, მომდევნო წელს კი ვახტანგი მსოფლიოს პირველობის გუნდური პირველობის მეორე პრიზიორი გახდა, 1990 წელს - ჩემპიონი.



ამირან შეროზია

ასეთი წარმატებები მოიტანა სპორტის ოლიმპიურმა სახეობამ, რომელიც საქართველოში არასოდეს ყოფილა და ალბათ, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, არც არასდროს იქნება (არა მხოლოდ ჩვენთან) მასობრივი (შეგახსენებთ, რომ თანამედროვე ხუთჭიდში შედის ფარიკაობა, ცურვა, ცხენოსნობა, ტყვიის სროლა და რბენა).

ბოლო წლებში ჩვენში კვლავ ეთმობა სერიოზული ყურადღება სპორტის ამ რაინდულ სახეობას.

- 2012 წლის საარჩევნო-საანგარიშო ყრილობაზე ჩვენმა ფედერაციამ მთავარ მიმართულებად დაისახა 11-16-წლამდელ მოზარდებთან მუშაობის გააქტიურება. ამის შედეგია, რომ დღეს უკვე გვყავს ახალგაზრდული ნაკრები, რომელიც ემზადება საერთაშორისოთ შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად - გვითხრა ამირან შეროზიამ, რომელიც გუშინ გვსტუმრობდა რედაქციაში.

**- რა შეჯიბრებებს გულისხმობთ?**

- უპირველესად ეს არის ახალგაზრდული მეორე ოლიმპიური თამაშები, რომელიც 2014 წელს გაიმართება, მანამდე კი, ასევე გაისად, ჭაბუკებში მსოფლიოს ჩემპიონატში გამოვალთ. ახალგაზრდული ოლიმპიადისთვის სერიოზულად ვემზადებით. 29 აგვისტოს დილით საბერძნეთში მივემგზავრებით. იქ შეკრებას გავივლით, შემდეგ კი პორტუგალიაში ჩავალთ და მონაწილეობას მივიღებთ ხსენებული ოლიმპიადისთვის ევროპის ზონის საკვალიფიკაციო ტურნირში.

**- გაქვთ საგზურის მოპოვების იმედი?**

- უიმედოდ არ ვართ. ვფიქრობთ, ოთხიდან ერთმა მაინც უნდა მიიღოს ლიცენზია. თითოეული პირად შედეგებს დღითი დღე აუმჯობესებს.

**- გამოდის, რომ საქართველო თქვენ მიერ დასახელებული ოთხეულის იმედადაა დღეს და სპორტის ამ სახეობის ხელახალი ალორძინებაც მათით იწყება. ვინ არიან ისინი?**

- ესენია: გიორგი ჯარაშნელი, გიორგი თანდაშვილი, დავით კაპანაძე და ქეთინო ცომაია. ჯარაშნელი 17 წლისაა, დანარჩენი - 16-16-ის.

**- გოგონას გამოჩენა მისასალმებელია. როგორ მოახერხეთ...**

- ნაცნობის ოჯახიდანაა, თავადაც ძალიან მოინდომა და მშობლებმაც.

**- დღესდღეობით თანამედროვე ხუთჭიდი, რამდენადაც ვიცით, მხოლოდ თბილისით შემოიფარგლება. არის პერსპექტივა?**

- ნამდვილად არის, მთავარი ცურვაა, საიდანაც ძირითადად ვარჩევთ კონტინგენტს. სადაც საცურაო აუზებია, პერსპექტივაც იქ ჩნდება. მაგალითად, საჩხერიდან და ჭიათურიდან წლეულს ბიატლში (ცურვა, რბენა) საქართველოს პირველობაზე გამოდიოდნენ სპორტსმენები. ორმა ჯგუფმა დაიწყო მეცადინეობა გლდანის საცურაო აუზზე. იმედი გვაქვს, მალე გამოსწორდება მდგომარეობა ქუთაისსა და რუსთავში.

**- ყოველთვის ჭირდა დაფინანსება, ინვენტარი...**

- ფინანსურად ახლა მხარში გვიდგას ჩვენი ოლიმპიური კომიტეტი და თბილისის მერია. შევიძინეთ 10 წყვილი საფარიკაო ინვენტარი.

**- ძველი წესები შეიცვალა. ახლა როგორ და რა თანმიმდევრობით ტარდება ხუთჭიდში შემავალი სპორტის სახეობების მიხედვით შეჯიბრებები?**

- ადრე რამდენიმე დღეზე იყო პროგრამა გათვლილი. ახლა ყველაფერი ერთ დღეში იწყება და მთავრდება. შეჯიბრება იხსნება ფარიკაობით, მერე თანმიმდევრულად მოდის ცურვა, ცხენოსნობა, ტყვიის სროლა და რბენა. თანაც ეს ორი ბოლო სახეობა კომბინირებულია - სამიზნეები რბენის ტრასაზეა განლაგებული. თითოეულ 36 ფინალისტს თავისი სამიზნე აქვს რიგითი ნომრის მიხედვით.

**- კიდევ რა შეიცვალა?**

- ასაკი და პროგრამა. მაგალითად, 19-წლამდელი სპორტსმენებისთვის თანამედროვე ხუთჭიდის პროგრამიდან ამოღებულია ცხენოსნობა. მხოლოდ 19 წლის ზევითაა ნებადართული სპორტის ამ სახეობის ჩართვა პროგრამაში.

**- წარმატებებს გისურვებთ!**

- გმადლობთ!

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

● ჩოგბურთი

# ჩახნაშვილი მეოთხედფინალშია

იტალიურ ბაგნატიკაში გრძელდება ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი), რომელშიც მეორე ბარიერიც წარმატებით გადალახა მე-7 ნომრად განთესილმა თბილისელმა **მარგალიტა ჩახნაშვილმა:** გუშინ მან იტალიელ **მარტა ბერტოლაზოს** სძლია (პირველ წრეშიც მასპინძელი **ვერა პლონერი** დაამარცხა) - 6:0, 6:2 და მეოთხედფინალში მე-4 ნომერ **ანასტასია გრიმალსკას** (იტალია) შეხვდება. ამ უკანასკნელმა ხორვატ **სილვია ჯირიჩს** აჯობა - 6:1, 7:5.



მარგალიტა ჩახნაშვილი

■ ■ ■

ანტალიის 10.000-იან ტურნირში დაასრულა ასპარეზობა **მარიამ ბოლქვაძემ:** ერთეულთა თანრიგში მან მე-2 ნომრად განთესილ **ნურია პარიზას-დიასთან** (ესპანეთი) წააგო, გუშინ კი რუს **იულია ბრიზგალოვასთან** შეამხანაგებულმა წყვილთა პაექრობა **ჯესიკა სიმპსონისა** (ბრიტანეთი) და **იუკუნ ჟანის** (ჩინეთი) დუეტთან დათმო - 2:6, 4:6 და შეჯიბრებას გამოეთიშა.

**ვაჟა დანელია**

● წყალბურთი. საერთაშორისო ტურნირი

# ბათუმში, ღია ცის ქვეშ

1956 წელს მელბურნის ოლიმპიადაზე საბჭოთა კავშირის წყალბურთელთა ნაკრებმა (**ვიქტორ რაგეევი, პიოტრ ბრეუსი, ბორის გოისმანი, ნოდარ გვახარია, ვიაჩესლავ კურენოი, ბორის მარკოვი, პეტრე მშვენიერაძე, მიხაილ რიჟაკი, ვალენტინ პროკოპოვი, იური შლიაპინი**) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. იმ გუნდის შემადგენლობაში ქართულ საცურაო სკოლას სამი აღზრდილი წარმოადგენდა: ორი მოსკოვიდან (მშვენიერაძე, ბრეუსი) და ერთიც საქართველოდან (გვახარია).

პეტრე ბრეუსი ბათუმში დაიბადა და გაიზარდა, 100 მეტრზე თავისუფალი ყაიდით ცურვაში საქართველოს რვაგზის რეკორდსმენმა, როგორც ადრე გაუწყეთ, 1953 წელს ესტაფეტაში საკავშირო ჩემპიონატი მოიგო. მერე წყალბურთში გადაინაცვლა და მწვანე კონტინენტზე ოლიმპიური თამაშების კვარცხლბეკზეც ავიდა. ბათუმის მერიისა და აჭარის წყალბურთის რეგიონული ფედერაციის ინიციატივით ბათუმის იახტკლუბის ტერიტორიაზე ღია ცის ქვეშ, ზღვაზე (რადგან აჭარის დედაქალაქს სტანდარტული საცურაო აუზი არ გააჩნია), სახელდახელოდ მოწყობილ სარბიელზე დღეს დაიწყება პეტრე ბრეუსის სახელობის პირველი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც რვა გუნდი იასპარეზებს: საქართველოს 1998-1999 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა ნაკრები, სომხეთის, მოლდოვის, ქუთაისი (2), აჭარის (2) გუნდები და თბილისის „ლიგამუსი".

დღეს დილით ითამაშებენ: სომხეთი-ბათუმი (1), „ლიგამუსი"-ქუთაისი (1), საქართველოს ნაკრები-ქუთაისი (2). საღამოს: მოლდოვა-ბათუმი (2), სომხეთი-ქუთაისი (2), ნაკრები-ბათუმი (1).

შეჯიბრება პირველ სექტემბერს დამთავრდება.

**ვაჟა დანელია**



● ცურვა

# კობახიძე - მსოფლიოზე

დუბაიში (არაბთა გაერთიანებული საამიროები) დაიწყო მოცურავეთა მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობა, რომელშიც ქართველთაგან მხოლოდ **თეიმურაზ კობახიძე** („ლაგუნა ვერე", მწვრთნელი **მანანა თურქია**) მონაწილეობს. 27 აგვისტოს ქართველმა მოცურავემ 100 მეტრი ბატერფლაით 56,18 წამში დაფარა და 29-ე ადგილით დაკმაყოფილდა.

დღეს კობახიძე 50 მეტრზე იასპარეზებს ბატერფლაით. 30 აგვისტოს ორ დისტანციაზე (100 მეტრი თავისუფალი ყაიდით, 50 მეტრი ბრასით) მოსინჯავს ძალებს, 31 აგვისტოს კი 200 მეტრზე ბატერფლაით გაეჯიბრება მეტოქეებს.

**ვაჟა დანელია**



თეიმურაზ კობახიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრობასკეტი 2013. მოსამზადებელი მატჩი

# მოვისტუმრეთ ისრაელი, ევროპაზე ვის რა ელის?

28 აგვისტო, ჰაიფა

**ისრაელი-საქართველო 77:75**

19:25, 13:22, 26:16, 19:12

| ისრაელი | წთ | 2ქ | 3ქ | 1ქ | მ | პ | ფ | შ | დ | ჩ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლიმონადი | 8 | 1/3 | 0/3 | 0/0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 |
| ნისიმი | 8 | 1/1 | 0/0 | 0/0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 |
| ელიაჰუ | 23 | 3/10 | 0/0 | 0/0 | 4 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 6 |
| კასპი | 27 | 4/6 | 2/4 | 0/1 | 6 | 1 | 2 | 1 | 1 | 0 | 14 |
| პნინი | 22 | 0/4 | 2/4 | 0/0 | 2 | 1 | 1 | 1 | 0 | 1 | 6 |
| ოჰაიონი | 32 | 5/8 | 3/6 | 1/1 | 2 | 6 | 4 | 1 | 0 | 3 | 20 |
| ჰალპერინი | 27 | 0/2 | 4/8 | 3/4 | 3 | 2 | 2 | 1 | 0 | 2 | 15 |
| კაზიკარო | 5 | 0/0 | 0/0 | 0/0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| გრინი | 17 | 3/5 | 0/0 | 0/1 | 6 | 2 | 3 | 0 | 0 | 2 | 6 |
| კადირი | 18 | 1/3 | 0/0 | 2/4 | 3 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 | 4 |
| ჰანოჩი | 12 | 1/2 | 0/1 | 0/0 | 2 | 1 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 |
| **საქართველო** | **წთ** | **2ქ** | **3ქ** | **1ქ** | **მ** | **პ** | **ფ** | **შ** | **დ** | **ჩ** | **ქ** |
| ცინცაძე | 34 | 4/7 | 2/4 | 5/6 | 2 | 1 | 3 | 2 | 0 | 1 | 19 |
| შერმადინი | 30 | 2/3 | 0/0 | 4/5 | 14 | 2 | 3 | 4 | 0 | 1 | 8 |
| ჰიკმანი | 30 | 5/6 | 1/4 | 2/4 | 1 | 3 | 3 | 3 | 0 | 3 | 15 |
| მარკოიშვილი | 16 | 1/3 | 0/2 | 0/0 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 |
| ფაცაცია | 20 | 0/0 | 0/1 | 0/0 | 1 | 0 | 1 | 2 | 0 | 0 | 0 |
| სანიკიძე | 32 | 3/5 | 4/8 | 0/2 | 6 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 18 |
| სანაძე | 8 | 0/1 | 0/0 | 0/0 | 1 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ცქიტიშვილი | 10 | 3/4 | 0/0 | 0/0 | 5 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 6 |
| ბურჯანაძე | 8 | 2/4 | 0/1 | 0/0 | 2 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 4 |
| ლეჟავა | 8 | 0/0 | 0/0 | 0/0 | 1 | 0 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ფხაკაძე | 4 | 0/0 | 1/1 | 0/0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 |

*შენიშვნა: წთ - წუთი, 2ქ - ორქულიანი, 3ქ - სამქულიანი, 1ქ - საჯარიმო, მ - მოხსნა, პ - პასი, ფ - ფოლი, შ - შეცდომა, დ - დაფარება, ჩ - ჩაჭრა, ქ - ქულა.*






ისრაელის ნაკრებს ბოლო 20 დღეში სამჯერ შევხვდით და ორჯერ დავამარცხეთ. საქართველოს ნაკრები მესამედ გამარჯვებასთანაც ახლოს იყო, მაგრამ 17-ქულიანი უპირატესობის შენარჩუნება ვერ მოახერხა. 9 აგვისტოს იტალიაში, ტრენტინოს თასზე გამართული და გუშინდელი შეხვედრები ერთმანეთს ბევრით ჰგავდა.

■ ■ ■

იტალიაში საფინალო სირენამდე საქართველო 72:77-ს აგებდა. სწორედ ამ ანგარიშით ვმარცხდებოდით გუშინ, ჰაიფაში მატჩის დასრულებამდე 54 წამით ადრე. ისევე როგორც იტალიაში, **ვიქტორ სანიკიძემ** ისრაელშიც მნიშვნელოვანი სამქულიანი ჩააგდო - თუ 9 აგვისტოს ანგარიში გაათანაბრა (77:77), ამჯერად სხვაობა 2 ქულამდე შეამცირა - 75:77. საფინალო სირენამდე 35 წამი რჩებოდა. მასპინძლებმა დარჩენილ დროში ქულა ვერ მოინაგრეს, ჩვენი ნაკრების ნატურალიზებულ ამერიკელ **რიკი ჰიკმანს** 26 აგვისტოს მატჩის მსგავსად (64:63 ვიმარჯვეთ) გადამწყვეტი ქულის ჩაგდება შეეძლო, მაგრამ სირენამდე 4 წამით ადრე მისი პასი არაზუსტი აღმოჩნდა და ისრაელმა სწორედ ისეთი სხვაობით მოგვიგო, როგორითაც 9 აგვისტოს იტალიაში დათმო - ორი ქულით. მაშინ საქართველოს ნაკრებმა ოთხქულიანი ჩამორჩენა +2-ად 59 წამში აქცია, გუშინ 75:77 დამარცხდა.

■ ■ ■

ბოლო წამებზე მხოლოდ ჰიკმანი და სანიკიძე როდი მიუძლოდნენ გუნდს, გამთამაშებელმა **გიორგი ცინცაძემ** საქართველოს ნაკრებში ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა. იგი გუნდის ბომბარდირი გახდა - 19 ქულა. 216 სმ სიმაღლის ცენტრმა **გიორგი შერმადინმა** 14 მოხსნას 8 ქულა მიამატა. როგორც ჩანს, ისრაელის ნაკრების კალათბურთელები განსაკუთრებულად მოემზადნენ გიორგისთან სათამაშოდ, ცდილობდნენ მასთან ორთაბრძოლისას არ დაჯარიმებულიყვნენ და ფარქვეშიდან შეტევასაც უწინდელისგან განსხვავებით ერიდებოდნენ. მათ კარგად ახსოვდათ, რომ 26 აგვისტოს გიორგიმ 19 ქულა და 12 მოხსნა მიითვალა. მოხსნებში ამჯერადაც ვაჯობეთ: 39:32, თუმცა მასპინძლებმა აქცენტი პერიმეტრზე გადაიტანეს და გაგვახსენეს ჩვენი ნაკრების ბოლო წლების სენი - 11 სამქულიანი ჩააგდეს. პერიმეტრიდან ტყორცნებზე როცა ვლაპარაკობთ, ისიც უნდა დავძინოთ, რომ ვიქტორ სანიკიძე და გიორგი ცინცაძე საბოლოოდ გაიხსნენ. მათ, ჯამში, 12 სამიანი სტყორცნეს და 6 გამოიყენეს. თუნდაც შარშან ისინი შორი მანძილიდან ტყორცნებს ასეთი სიხშირით არ ასრულებდნენ. ვიქტორმა გუშინ 18 ქულა მიითვალა.

ალსანიშნავია **ნიკა ცქიტიშვილის** 4-დან 3 ორქულიანი 10 წუთში; **ბექა ბურჯანაძის** ზედიზედ ორჯერ ჩაგდებული ორქულიანი პირველი მეოთხედის ბოლოს და **ოთარ ფხაკაძის** სამქულიანი მეორე ათწუთეულში.

მატჩის მთავარი მოვლენა **მანუჩარ მარკოიშვილის** დაბრუნება იყო. მანუმ ბოლოს საფრანგეთთან ითამაშა, რის შემდეგაც მცირე ტრავმა ჰქონდა და ზოგიერთი ვარჯიში სრულფასოვნად ვერ ჩაატარა. ისრაელთან ორი დღის წინანდელი მატჩი სულაც გამოტოვა. გუშინ იგი მწვრთნელებმა 16 წუთით დატვირთეს, თუმცა ბოლო წუთებზე მის ნაცვლად **ლევან ფაცაცია** გამოიყვანეს.

■ ■ ■

ქრონოლოგიით დავიწყეთ და ამითივე უნდა დავასრულოთ. თუ მეოთხედების ანგარიშები გადაიკითხეთ, მიხვდებოდით, რომ საქართველოს ნაკრებმა ორი სხვადასხვა ტაიმი ჩაატარა. პირველ ნახევარში მრავალმხრივი თამაშის წყალობით 17-ქულიან უპირატესობასაც მიაღწია (41:23), თუმცა მესამე პერიოდიდან ჩავარდნა დაეწყო. დაღმასვლის პიკი მესამე პერიოდის ბოლო და მეოთხის დასაწყისი აღმოჩნდა, როცა ისრაელმა ექვსწუთიან მონაკვეთში არც მეტი, არც ნაკლები, 18:0 მოგვიგო.

■ ■ ■

ევროპის ჩემპიონატამდე ერთი ამხანაგური მატჩი დაგვრჩა (პირველ სექტემბერს ლიტვასთან სტუმრად ვითამაშებთ) და მანამდე უნდა გამოვასწოროთ შეცდომები, რომლებიც თუნდაც ისრაელთან თამაშში გამოჩნდა. რაც მთავარია, ამხანაგურმა მატჩებმა დაგვანახვა, საქართველოს შეუძლია...

**ვაჟა სიმონიშვილი**

## ნამატჩევს



**რიკი ჰიკმანი:**

- ისრაელს ძლიერი ნაკრები ჰყავს, აქვს საიმისო რესურსი, რომ ევროპის ჩემპიონატზე კარგად წარმოჩნდეს. რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, აქამდე არაერთი შეხვედრა ჩავატარეთ კარგად, ახლა კი სერიოზული ჩავარდნა გვქონდა. ასეთი რამ ევროპის ჩემპიონატზე არ უნდა დავუშვათ. ძალიან გვინდოდა ისრაელი მესამედაც დაგვემარცხებინა, მაგრამ ბოლო წუთებზე ამის საშუალება პნინიმ და ოჰაიონმა არ მოგვცეს.

**ქრონოლოგია**

**ისრაელი-საქართველო**

| | | |
|---|---|---|
| **I პერიოდი** | | |
| 09:41 | კასპი (ისრ) 2ქ | 2:0 |
| 09:26 | ცინცაძე (საქ) 3ქ | 2:3 |
| 08:15 | ჰიკმანი (საქ) 3ქ | 2:6 |
| 07:42 | ჰიკმანი (საქ) 2ქ | 2:8 |
| 07:28 | გრინი (ისრ) 2ქ | 4:8 |
| 07:03 | შერმადინი (საქ) 2/1ქ | 4:9 |
| 06:28 | ელიაჰუ (ისრ) 2ქ | 6:9 |
| 05:55 | კასპი (ისრ) 3ქ | 9:9 |
| 05:33 | სანიკიძე (საქ) 3ქ | 9:12 |
| 05:12 | მარკოიშვილი (საქ) 2ქ | 9:14 |
| 04:58 | ოჰაიონი (ისრ) 2ქ | 11:14 |
| 03:43 | ბურჯანაძე (საქ) 2ქ | 11:16 |
| 03:16 | შერმადინი (საქ) 2+1ქ | 11:19 |
| 02:35 | გრინი (ისრ) 2ქ | 13:19 |
| 01:55 | კასპი (ისრ) 2ქ | 15:19 |
| 01:05 | ჰიკმანი (საქ) 2ქ | 15:21 |
| 00:53 | ნისიმი (ისრ) 2ქ | 17:21 |
| 00:35 | ცინცაძე (საქ) 2ქ | 17:23 |
| 00:17 | ლიმონადი (ისრ) 2ქ | 19:23 |
| 00:02 | ბურჯანაძე (საქ) 2ქ | 19:25 |
| **II პერიოდი** | | |
| 08:13 | სანიკიძე (საქ) 2ქ | 19:27 |
| 07:23 | ცქიტიშვილი (საქ) 2ქ | 19:29 |
| 07:02 | სანიკიძე (საქ) 2ქ | 19:31 |
| 06:13 | ოჰაიონი (ისრ) 2ქ | 21:31 |
| 05:40 | ცქიტიშვილი (საქ) 2ქ | 21:33 |
| 05:35 | ელიაჰუ (ისრ) 2ქ | 23:33 |
| 05:13 | ფხაკაძე (საქ) 3ქ | 23:36 |
| 04:49 | ჰიკმანი (საქ) 2+1ქ | 23:39 |
| 03:56 | ჰიკმანი (საქ) 2ქ | 23:41 |
| 02:31 | კასპი (ისრ) 3ქ | 26:41 |
| 02:03 | ჰიკმანი (საქ) 2ქ | 26:43 |
| 01:50 | ოჰაიონი (ისრ) 3ქ | 29:43 |
| 01:29 | ცინცაძე (საქ) 2ქ | 29:45 |
| 01:20 | ჰალპერინი (ისრ) 3ქ | 32:45 |
| 00:50 | ცინცაძე (საქ) 1+1ქ | 32:47 |
| **III პერიოდი** | | |
| 09:45 | კადირი (ისრ) 2ქ | 34:47 |
| 09:22 | ცინცაძე (საქ) 2ქ | 34:49 |
| 09:09 | ოჰაიონი (ისრ) 3ქ | 37:49 |
| 07:41 | კასპი (ისრ) 2ქ | 39:49 |
| 07:19 | ჰანოჩი (ისრ) 2ქ | 41:49 |
| 06:39 | სანიკიძე (საქ) 3ქ | 41:52 |
| 06:13 | ოჰაიონი (ისრ) 2+1ქ | 44:52 |
| 05:46 | სანიკიძე (საქ) 3ქ | 44:55 |
| 05:19 | ჰიკმანი (საქ) 2/1ქ | 44:56 |
| 05:00 | გრინი (ისრ) 2ქ | 46:56 |
| 04:35 | სანიკიძე (საქ) 2ქ | 46:58 |
| 03:56 | ცინცაძე (საქ) 2/1ქ | 46:59 |
| 03:34 | ჰალპერინი (ისრ) 3ქ | 49:59 |
| 02:53 | შერმადინი (საქ) 1+1ქ | 49:61 |
| 02:01 | კასპი (ისრ) 2ქ | 51:61 |
| 01:43 | ცქიტიშვილი (საქ) 2ქ | 51:63 |
| 00:57 | ჰალპერინი (ისრ) 1+1ქ | 53:63 |
| 00:29 | ოჰაიონი (ისრ) 2ქ | 55:63 |
| 00:17 | ოჰაიონი (ისრ) 3ქ | 58:63 |
| **IV პერიოდი** | | |
| 09:29 | ელიაჰუ (ისრ) 2ქ | 60:63 |
| 08:02 | პნინი (ისრ) 3ქ | 63:63 |
| 06:26 | ჰალპერინი (ისრ) 3ქ | 66:63 |
| 06:00 | ჰალპერინი (ისრ) 2/1ქ | 67:63 |
| 05:31 | ოჰაიონი (ისრ) 2ქ | 69:63 |
| 04:42 | კადირი (ისრ) 1+1ქ | 71:63 |
| 03:40 | ცინცაძე (საქ) 3ქ | 71:66 |
| 03:20 | ჰალპერინი (ისრ) 3ქ | 74:66 |
| 02:58 | შერმადინი (საქ) 2ქ | 74:68 |
| 02:05 | ცინცაძე (საქ) 2ქ | 74:70 |
| 01:47 | პნინი (ისრ) 3ქ | 77:70 |
| 00:54 | ცინცაძე (საქ) 1+1ქ | 77:72 |
| 00:35 | სანიკიძე (საქ) 3ქ | 77:75 |
| 00:13 | ელიაჰუ (ისრ) 2ქ (არაზუსტი) | |
| 00:04 | ჰიკმანი (საქ) არაზუსტი პასი | |
| 00:00 | ოჰაიონი (ისრ) დაკარგვა | |
| 00:00 | ცინცაძე (საქ) 3ქ (არაზუსტი) | |

პრესკონფერენცია

# პერსპექტიული სტუდენტური პროექტი

თბილისში სამუშაო ვიზიტით იმყოფებიან საერთაშორისო სტუდენტური ლიგის წარმომადგენლები, რომლებიც გუშინ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელებს შეხვდნენ.

*- ვიზიტი ნაყოფიერი გამოდგა და გადაწყდა, რომ საერთაშორისო ლიგაში საქართველოდან გაერთიანებული სტუდენტური გუნდი იასპარეზებს. ჯერ კალენდარი საბოლოოდ არ დადგენილა, თუმცა სადღეისოდ არსებული პროექტის მიხედვით ჩვენს ჯგუფში ითამაშებენ კიევის, ხარკოვის, კრასნოდარის, როსტოვისა და მოსკოვის უნივერსიტეტები. გახსნითი მატჩი თბილისში იგეგმება - 14 ოქტომბერს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი გვეწვევა,* - აღნიშნა საერთაშორისო სტუდენტური ლიგის ქართველი პარტნიორის, „კალათბურთელთა კავშირის" ხელმძღვანელმა **მიხეილ ახვლედიანმა** პრესკონფერენციაზე.

შეხვედრას **ნიკოლოზ დერიუგინიც** ესწრებოდა:

*- კარგი ჩანაფიქრია, ქართულ გუნდებს საერთაშორისო ასპარეზზე გასვლა სჭირდებათ. პერსპექტიული პროექტია და ვიმედოვნებ, ჩვენი გუნდი პირველივე სეზონში წარმატებით იასპარეზებს.*

საერთაშორისო სტუდენტური ლიგის წარმომადგენელმა **ელენა კუდრიავცევამ** შეჯიბრების შესახებ ილაპარაკა:

*- შარშან ტურნირში ხუთი ქვეყანა მონაწილეობდა: ლიტვა, რუსეთი, ესტონეთი, ყაზახეთი და უკრაინა. წლეულს შეჯიბრების მასშტაბები გაიზარდა და დასავლეთ ევროპის გუნდებიც დაემატება. ოფიციალური სპონსორი „ვითიბი ბანკია". ვმუშაობთ ქართული სტუდენტური გუნდის სპონსორობაზეც. შარშან ლიგის შეხვედრების პარალელურად გაიმართა ვარსკვლავთა მატჩი, ყველა შეხვედრა პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა. ასე იქნება ახალ სეზონშიც.*

**ვაჟა სიმონიშვილი**



ავტორის ფოტო

რაგბი. ინტერვიუ ზაზა ხუციშვილთან

# წინა სეზონის შედეგი უნდა გავაუმჯობესოთ

რუსთავის „ხარები" 1990 წელს ჩამოყალიბდა საშა ლობჟანიძის თაოსნობით. ერთი წლის შემდეგ გუნდი უკვე უმაღლეს ლიგაში ასპარეზობდა და 1993 წელს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მომდევნო წელს რუსთაველები მეორე ადგილზე გავიდნენ, ხოლო 3 წლის მერე მესამე საპრიზო ადგილს გამოჰკრეს ხელი. სამწუხაროდ, შემდეგ გუნდმა შეწყვიტა არსებობა და კვლავ აღდგა 2001 წელს. 2009 წლიდან კი ისევ უმაღლეს ლიგას დაუბრუნდა. ერთი სიტყვით, რუსთავულ რაგბის ტრადიციები არ აკლია. მის არაერთ აღზრდილს უთამაშია ეროვნულ თუ სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებ გუნდებში. „ხარებში" არსებულ მდგომარეობასა და მომავლის გეგმებზე გუნდის მთავარ მწვრთნელ ზაზა ხუციშვილს ვესაუბრეთ.

**- რამ გამოიწვია ბოლო წლებში ჩავარდნა, რის გამოც გუნდი მუდმივად სატურნირო ცხრილის მეორე ნახევარშია?**

- ძირითადად ჩვენი რესურსით ვცდილობთ გუნდი შევავსოთ. რუსთავის სკოლის აღზრდილებით გავდივართ ფონს. შედეგიც ამის ბრალია, რადგან არის პოზიციები, რომელსაც ვერ ვავსებთ და გუნდში სუსტი ადგილი რჩება. წლეულს, საბედნიეროდ, პირობები გაუმჯობესდა და, ვეცდებით, ნელ-ნელა კარგი შედეგიც ვაჩვენოთ.

**- რა ცვლილებები მოხდა გუნდში სეზონებს შორის შესვენებაზე?**

- კლუბი ლევან შაშიაშვილმა და თომა ბალიაშვილმა დატოვეს და საფრანგეთში განაგრძობენ კარიერას. თავის მშობლიურ კლუბ „ლელოს" დაუბრუნდა უჩა მჭედლიშვილი, რომელმაც გასულ სეზონში გამოთქვა სურვილი, ჩვენს გუნდში ეთამაშა. მიხეილ ნიკლაური სასწავლებლად მიემგზავრება და სპორტული კარიერა შეწყვიტა, ხოლო რატი ხარძიანი „ლოკომოტივში" გადაბარგდა.

გვაქვს შევსებაც. ძირითადად საკუთარი სკოლის აღზრდილებით გავძლიერდით. ჭაბუკთა A ლიგის გუნდიდან ძირითად გუნდში გადავიყვანეთ: მიხეილ ზურიკაშვილი, გიორგი გოგოლაძე, ჟორა მღებრიშვილი და დავით გულიტაშვილი.

სიახლეა სამწვრთნელო შტაბშიც, ჩემთან და პალიკო ჯიმშელაძესთან ერთად რუსთაველ მორაგბეებს მამუკა მინდორაშვილიც გაწვრთნის.

**- როგორ ემზადება გუნდი ჩემპიონატისთვის?**

- საწვრთნელი შეკრება აგვისტოს დასაწყისში დავიწყეთ. „ხარები" ძირითად მოსამზადებელ პერიოდს რუსთავის სტადიონზე გადის. გეგმის მიხედვით ვმუშაობთ.

ამ პერიოდში ამხანაგური მატჩიც გავმართეთ სამოყვარულო კლუბ „დევებთან" და გავიმარჯვეთ. შეხვედრაში ბევრი რამ გამოჩნდა. რაღაც გამოსწორებულია, თუმცა გამოსასწორებელიც ბევრია და, საამისოდ, ვარჯიშებს ინტენსიურად განვაგრძობთ.

**- რა მიზანი გაქვთ მომავალ ჩემპიონატში?**

- ძირითადი მიზანი გასული სეზონის შედეგის გაუმჯობესებაა. დანარჩენს კი ჩემპიონატის მსვლელობა გვიჩვენებს. ვეცდებით, ბევრად უკეთესი შედეგი გვქონდეს ვიდრე განვლილ ჩემპიონატში.

**- „ხარებს" სპონსორი თუ ჰყავს? რის ხარჯზე არსებობს გუნდი?**

- გუნდს რუსთავის მერია უდგას გვერდში და აფინანსებს, ამას დაუმატეთ ის სახელმწიფო დახმარება, რომელიც ყველა კლუბს გადმოეცა. ეს ყველაფერი ძალიან დაგვეხმარა მოსამზადებელ პერიოდში.

**- კლუბის ინფრასტრუქტურა და სავარჯიშო პირობები წლეულს უწინდელთან შედარებით ბევრად გაუმჯობესებულია...**

- წელს ძალიან კარგი სავარჯიშო პირობები გვაქვს, რადგან რუსთავში რაგბის სტადიონი აშენდა, სადაც უმაღლეს დონეზეა ყველაფერი მოწყობილი: ძალოსნობის დარბაზი, საშხაპეები, მწვრთნელებისთვის სამუშაო ოთახები. გუნდს ყველანაირი პირობა აქვს, რომ კარგად მოემზადოს.

**- „ხარებს" საკუთარი, საკმაოდ მძლავრი სკოლა აქვს. ჭაბუკთა ლიგებში თქვენი კლუბის გუნდები წარმატებით ასპარეზობენ...**

- ჭაბუკთა A და B ლიგაც პრეტენზიას აცხადებენ, რომ შეჯიბრებაში მაღალი ადგილები დაიკავონ. B ლიგის გუნდს ჩემპიონობის დიდი შანსი აქვს, ხოლო A ლიგას რაც შეეხება, მისი მოთამაშეების ნაწილს სათადარიგო გუნდში უწევს გადასვლა და ამიტომ გუნდი ორად იყოფა. თუმცა, არის რესურსი და იმ სპორტსმენებს, რომლებიც რჩებიან A ლიგაში, აქვთ შანსი ფინალური მატჩიც ითამაშონ. ნამდვილად კარგი თაობა მოდის და ჩვენი სკოლის აღზრდილებს არაერთი წარმატებისთვისაც მიუღწევიათ, რაც მთავარია, უმაღლესი ლიგის გუნდის 95% ყოველთვის რუსთაველი მორაგბეებით არის დაკომპლექტებული.

**ნათია ჯიოშვილი**

*რუსთავის „ხარების" პრესსამსახური*



ხარები-არმია

სიახლე

# მსოფლიოს ჩემპიონატი კლუბებს შორის?

ორიოდ თვის წინათ, ქართველი მორაგბეების **ლევან ჩილაჩავასა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** კლუბის, „ტულონის" მულტიმილიონერმა პრეზიდენტმა, კლუბებს შორის მსოფლიოს ჩემპონატის ჩატარების იდეა წამოაყენა.

როგორც ჩანს, ბურჯელალის იდეას ხორცი მალე შეესხმება. ფრანგული ყოველდღიური სარაგბო გაზეთ „მიდი ოლიმპიკის" ინფორმაციით, უკვე მიღწეულია შეთანხმება „ჰაინეკენის თასის" მფლობელ „ტულონსა" და ზე რაგბის გამარჯვებულ ჰემილთონის „ჩიფსის" ხელმძღვანელებს შორის. ეს გუნდები ერთმანეთს, სავარაუდოდ, 2 თებერვალს დაუპირისპირდებიან. ამ დღეს საფრანგეთის ჩემპიონატში მორიგი ტურის შეხვედრები არ არის. ზე რაგბის გათამაშება კი, ერთი კვირის თავზე აიღებს სტარტს.

ერთი დღით ადრე, 1-ელ თებერვალს საფრანგეთის ნაკრები ექვსი ერის გათამაშების პირველი ტურის მატჩს გამართავს. „ტულონისა" და „ჩიფსის" დაპირისპირებას, სავარაუდოდ, ან ნიცას „ალიანს არენა", ანაც მონაკოს „ლუი II" სტადიონი უმასპინძლებს. არსებობს ინფორმაცია, რომ ამ მატჩის რეპორტაჟის ჩვენების სურვილი რამდენიმე ტელეკომპანიამ უკვე გამოთქვა.

აღსანიშნავია, რომ ამ მატჩის გამართვას სასტიკად ეწინააღმდეგება ევროთასების ორგანიზატორი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ევროპის რაგბის თასი" (ERC). მისი ხელმძღვანელი **ჟან-პიერ ლუ** ამტკიცებს, რომ:

*„ევროთასებზე მონაწილე კლუბებს უფლება არ აქვთ, რაიმე სხვა ტურნირში, ევროპის საკლუბო ან თუნდაც მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზონ. ეს მუხლი ყველა გუნდთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში დევს".*

*ერთი სიტყვით, როგორ განვითარდება მოვლენები, ძნელი სათქმელია. ფაქტია, რომ მსოფლიოს რაგბიში ახალი ტურნირის დაფუძნებას ცდილობენ, რომელიც ჩვენი აზრით, მის მიმართ ყურადღებას კიდევ უფრო გაზრდის, რაც ოვალური ბურთით თამაშს უცილობლად ხელს შეუწყობს.*

**ბესიკ ჯანგავაძე**

საქართველოს ჩემპიონატი



არმია-ლელო

# სარაგბო სეზონის წინ

სარაგბო სეზონის წინ განვაგრძობთ საქართველოს უმაღლესი ლიგის გუნდების წარდგენას. ამჯერად გთავაზობთ გასული ჩემპიონატის ვერცხლისმედალოსან „არმიას".

## არმია

„არმიას" წინა სეზონში სულ მცირედი დააკლდა ოქროს მედლებამდე, შესაბამისად განვლილი ჩემპიონატი მათთვის წარუმატებლად ჩაითვლება, რადგან **ნიკოლოზ ჭავჭავაძის** გუნდისთვის მიზანი მხოლოდ პირველობაა. კლუბის ხელმძღვანელობამ ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის პერიოდში რამდენიმე წარმატებული ტრანსფერი განახორციელა, რის შედეგადაც კიდევ უფრო გაიზარდა გუნდში კონკურენცია და ყველა პოზიცია ბოლომდე დაბალანსდა. კლუბი ამჟამად ბულგარეთის ზღვისპირა ქალაქ ვარნაში გადის წინასასეზონო მოსამზადებელ შეკრებას საქართველოს XXIV ჩემპიონატის წინ და შემადგენლობას თუ გადავხედავთ, პირველობის უმთავრესი ფავორიტია.

## შერკინება

„არმიას" ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი პირველი ხაზი ეყოლება მთელ ჩემპიონატში: ბურჯის პოზიციაზე **გოგა კაკოვინი, ტარიელ დონაძე, დავით გურგენიძე, ირაკლი ქორიძე, გიორგი ზაქაშვილი** და სრულიად ახალგაზრდა **ზაურ ხარებავა** შეენაცვლებიან ერთმანეთს გრძელი სეზონის მიმდინარეობისას. ტრავმა მოიშუშა და, სავარაუდოდ, სტარტისათვის მზად იქნება მეორეხაზელი **დავით ჩიტიძე,** რომელიც **ილია სურგულაძეს** შეუწყვილდება. შეტევაში გუნდის თამაშს გაცილებით აგრესიულს და სახიფათოს გახდის ვეტერანი **კახა უჩავას** და „ლოკომოტივის" ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშის **ზვიად მაისურაძის** გადმობირებაც.

## უკანა ხაზი

9 ნომრის პოზიციაზე სასტარტო შემადგენლობაში ახალწვეული **ირაკლი ღვინჯილია** იქნება, მის შემცვლელად კი 22 წლის **რამაზ ჯინაშვილს** ვიხილავთ. **ნიკა ნინიძის** წასვლის მიუხედავად, უკანა ხაზში სამწვრთნელო შტაბს ფართო არჩევანი გააჩნია: მგეზავად **გიორგი ელიზბარაშვილი** ან **ლაშა ბაირამაშვილი** გამწესდება, შუამარბებად **ვანო გაბროშვილი** და **გიგა გაგოშვილი** ითამაშებენ, თუმცა გამოჯანმრთელებული **რატი ნუცუბიძისა** და ახალგაზრდა **გიორგი ჯიმშელაძისაგან** სერიოზული კონკურენციაა მოსალოდნელი.

მოწინააღმდეგის სათამაშო სტილიდან გამომდინარე, კონკრეტული მატჩის წინ სამწვრთნელო შტაბი გადაწყვეტს, თუ ვინ ათამაშოს ძირითად შემადგენლობაში გარემარბთა ამ ტრიოდან: **გიორგი შკინინი, ალექსანდრე ტუჩაშვილი, ირაკლი ჩხიკვაძე.** ფულბეკის პოზიციაზე უალტერნატივოა **ბახვა კობახიძე.**

## სამწვრთნელო შტაბი

გუნდის მთავარი მწვრთნელი **ნიკო ჭავჭავაძეა,** რომელიც ახლო წარსულში საქართველოს ნაკრების პირველხაზელი გახლდათ და წარმატებული კარიერაც ჰქონდა საფრანგეთში. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მან „ყოჩები" ჩაიბარა, თუმცა მოგვიანებით „არმიაში" გადაინაცვლა, სადაც ერთ სეზონში დუბლი გაახერხა: მოიგო საქართველოს თასიც და ჩემპიონობაც.

სპორტული დირექტორის პოზიციაზეა სარაგბო კლუბ „უნივერსიტეტის" ერთ ერთი მწვრთნელი **ბადრი ბოხუა,** ვისი აღზრდილი თაობაც წარმატებით თამაშობს როგორც საქართველოს, ასევე ევროპის სხვა წამყვან ჩემპიონატებში.

## შემადგენლობა

**პირველი ხაზი:** ირაკლი ქორიძე, გოგა კაკოვინი, ბექა მეკოკიშვილი, შალვა მამუკაშვილი, ტარიელ დონაძე, დავით გურგენიძე, გიორგი ზაქაშვილი, ზაურ ხარებავა.

**მეორე ხაზი:** დავით ჩიტიძე, გიორგი ჟღენტი, მამუკა ცხადაძე, ბექა ბინაძე, ლაშა აზალაძე, ილია სურგულაძე, კახაბერ უჩავა;

**მესამე ხაზი:** გიორგი თხილაიშვილი, გიორგი კალმახელიძე, ლაშა თავართქილაძე, ლევან დარასელია, ზვიად მაისურაძე;

**№9:** ირაკლი ღვინჯილია, რამაზ ჯინაშვილი;

**№10:** გიორგი ელიზბარაშვილი, ლაშა ბაირამაშვილი

**№12-13:** ვანო გაბროშვილი, გიგა გაგოშვილი, რატი ნუცუბიძე, გიორგი ჯიმშელაძე;

**№11-14:** ალექსანდრე ტუჩაშვილი, გიორგი შკინინი, ირაკლი ჩხიკვაძე;

**№15:** ბახვა კობახიძე, გიორგი აფციაური.

**გიორგი ბარბაქაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა



ჯოკოვიჩმა ამერიკის ლიაზე მე-40 მატჩი მოიგო

# ახალი თაობის პრობლემები

ამერიკის ღია პირველობის მეორე დღეს გაგრძელდა პირველ წრეში ურთიერთობის გარკვევა. ამჯერად, ორი მთავარი ფავორიტი ვიხილეთ საქმეში - **ნოვაკ ჯოკოვიჩი** და **როჯერ ფედერერი**. ორივემ ძალიან იოლად შეძლო მოგება.

ჯოკოვიჩმა ლიტველ **რიკარდას ბერანკისს** 81 წუთში მოუგო - 6:1, 6:2, 6:2. სერბმა 28 "ვინერსი" მიითვალა და ცხრა უნებლიე შეცდომა დაუშვა, გარდა ამისა, რვიდან შვიდი ბრეიკ-ბრეიკ პოინტი გამოიყენა და ერთხელ, მეორე სეტში მოულოდნელად დათმო საკუთარი მოწოდება. სხვათა შორის, ეს იყო ჯოკოვიჩის საიუბილეო, მე-40 მოგება ამერიკის ღია პირველობაზე.

შეგახსენებთ, რომ ჯოკოვიჩს ნახევარფინალში გასვლა სჭირდება იმისთვის, რომ შეინარჩუნოს კლასიფიკაციაში პირველი ადგილი აშშ-ის ღიას შემდეგ. სხვათა შორის, ნოვაკმა ამერიკის ჩემპიონატის ბოლო ექვს გათამაშებაში მიაღწია ნახევარფინალამდე. მისი შემდეგი მეტოქე იქნება გერმანელი **ბენჯამინ ბეკერი**.

როჯერ ფედერერმა აშშ-ის ლიაზე მეექვსე ტიტულისკენ სვლა სლოვენიელი **გრეგა ჟემლიას** დამარცხებით დაიწყო. აქაც ყველაფერი სამ სეტში გადაწყდა. შვეიცარიელს მხოლოდ მესამე სეტში მოუწია ბრძოლამ, როცა ჟემლია ბრეიკით დაწინაურდა და ახლო იყო პარტიის მოგებასთან, მაგრამ ბოლოსკენ ფედერერის კლასმა მაინც თავისი გაიტანა. როჯერმა აშშ-ის ლიაზე თავისი 65-ე მატჩი მოიგო.

საინტერესოა, რომ ამ ტურნირზე როჯერმა რეკორდი გაიმეორა "დიდი სლემის" ტურნირებზე ზედიზედ გამოსვლის მხრივ. შვეიცარიელისთვის ეს არის ზედიზედ 56-ე "მეიჯორი". მანამდე ანალოგიური მაჩვენებელი სამხრეთაფრიკელ **უეინ ფერეირას** ჰქონდა.

კარგი ფორმა აჩვენეს **ტომაშ ბერდიხმა** და **ჯონ ისნერმა**. ჩეხმა 36 "ვინერსი" მიითვალა და რვა ბრეიკი გააკეთა **პაოლო ლორენცისთან** მატჩში. ისნერმა კი მხოლოდ ხუთი გეიმი დაუთმო **ფილიპო ვოლანდრის**, რაშიც 16 ეისი დაეხმარა.

იოლი მატჩი მოიგო გერმანელმა **ტომი ჰაასმა პოლ-ანრი მატიოსთან** – 6:4, 6:4, 6:1. სხვათა შორის, ჰაასმა ეს ფრანგი პირველად დაამარცხა კარიერაში.

■ ■ ■

ახალგაზრდა თაობის წამყვან მოთამაშეებს შორის მხოლოდ **მილოშ რაონიჩმა** შეძლო პირველი წრის ბარიერის გადალახვა. მან 28 ეისი ჩააწოდა **ტომას ფაბიანოსთან** მატჩში, 12-დან სამი ბრეიკ-პოინტი გამოიყენა და ორ საათსა და 12 წუთში გაიმარჯვა.

მოულოდნელად უშანსოდ წააგო თავისი შეხვედრა უიმბლდონის ნახევარფინალისტმა **იერჟი იანოვიჩმა**. თითქოს მას იოლი მეტოქე ჰყავდა არგენტინელი **მაქსიმო გონსალესის** სახით, რომელიც მსოფლიოს 247-ე ნომერია და ძირითად ბადეში კვალიფიკაციის გავლით მოხვდა. იანოვიჩმა საშინლად ითამაშა თავის მოწოდებაზე და ექვსი ბრეიკის საშუალება მისცა მეტოქეს. როდრიგესი 30 წლისაა და კარიერაში მხოლოდ მეხუთედ მოიგო მატჩი "დიდი სლემის" ტურნირებზე.

პოლონელის ბედი გაიზიარა ბულგარელმა **გრიგორ დიმიტროვმა**, რომელსაც არ მოუხდა წელს **მარია შარაპოვასთან** რომანის გაბმა. მან სამსაათიან და ხუთსეტიან მარათონში წააგო მსოფლიოს 95-ე ჩოგანთან, პორტუგალიელ **ჟოაო სოუზასთან**. გამარჯვებულმა ბრეიკ-პოინტების რეალიზაციის ფანტასტიკური პროცენტი აჩვენა – 11-დან რვა.

დაბოლოს, ტორონტოს მასტერსის ნახევარფინალისტმა **ვაშეკ პოსპიშილმა** მოულოდნელად წააგო **როჟერიუ დუტრა სილვასთან**. არადა, კანადელი ვალდებული იყო გაემარჯვა. მეხუთე სეტის მე-12 გეიმში მას სამმაგი მატჩბოლი ჰქონდა, საერთო ჯამში კი შვიდჯერ შეეძლო ერთი დარტყმით მატჩის მოგება, მაგრამ ყველა შანსი დაკარგა.

### I წრე

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-რიკარდას ბერანკისი (ლიტ) 6:1, 6:2, 6:2; **ბენჯამინ ბეკერი (გერ)**-ლუკაშ როსოლი (ჩეხ) 6:3, 3:6, 6:3, 6:4; **იარკო ნიემინენი (ფინ)**-ლუკაშ კუბოტი (პოლ) 7:5, 7:5, 6:2; **ჟოაო სოუზა (პორ)**-გრიგორ დიმიტროვი (ბულ, 25) 3:6, 6:3, 6:4, 5:7, 6:2; **ტომი ჰაასი (გერ, 12)**-პოლ-ანრი მატიო (საფ) 6:4, 6:4, 6:1; **იენ-ჰსუნ ლუ (ტაივ)**-დანიელ ხიმენო ტრავერი (ესპ) 6:4, 7:6(5), 6:3; **დონალდ იანგი (აშშ)**-მარტინ კლიჟანი (სლოვაკ) 6:1, 6:0, 6:1; **ფლორიან მაიერი (გერ)**-ხუან მონაკო (არგ, 28) 6:4, 6:2, 3:0 უარი; **ტობიას კამკე (გერ)**-სტივ ჯონსონი (აშშ) 6:7(4), 6:4, 7:6(7), 6:2; **დენის ისტომინი (უზბ)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 15) 6:3, 6:1, 4:6, 6:3; **ჟულიან ბენეტო (საფ, 31)**-მიხალ პრსიეჟნი (პოლ) 6:4, 5:7, 6:4, 6:4; **ჟერემი შარდი (საფ)**-სერგეი სტახოვსკი (უკრ) 6:4, 4:6, 6:2, 4:6, 6:4; **დენის კუდლა (აშშ)**-ირჟი ვესელი (ჩეხ) 6:2, 6:2, 6:7(6), 7:5; **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 5)**-პაოლო ლორენცო (იტა) 6:1, 6:4, 6:1; **პაბლო ანდუხარი (ესპ)**-ტიემო დე ბაკერი (ჰოლ) 6:4, 6:4, 6:4; **მილოშ რაონიჩი (კან, 10)**-ტომას ფაბიანო (იტა) 6:3, 7:6(6), 6:3; **მაქსიმო გონსალესი (არგ)**-იერჟი იანოვიჩი (პოლ, 14) 6:4, 6:4, 6:2; **ჯეკ სოკი (აშშ)**-ფილიპ პეტცშნერი (გერ) 7:6(2), 6:3, 5:2 უარი; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 7)**-გრეგა ჟემლია (სლოვენ) 6:3, 6:2, 7:5; **კარლოს ბერლოკი (არგ)**-სანტიაგო ხირალდო (კოლ) 6:3, 3:6, 6:7(6), 6:4, 6:2; **ადრიან მანარინო (საფ)**-ორასიო სებალიოსი (არგ) 4:6, 6:4, 6:2, 6:1; **სემ კუერი (აშშ, 26)**-გვიდო პელა (არგ) 7:6(3), 4:6, 6:1, 6:2; **ჯონ ისნერი (აშშ, 13)**-ფილიპო ვოლანდრი (იტა) 6:0, 6:2, 6:3; **გაელ მონფილსი (საფ)**-ადრიან უნგური (რუმ) 6:1, 6:2, 6:0; **ედუარდ როჟე-ვასელენი (საფ)**-ალბერტ მონტანიესი (ესპ) 6:3, 6:2, 6:4; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 22)**-კოლინ ალტამირანო (აშშ) 6:1, 6:3, 6:1; **როჟერიო დუტრა სილვა (ბრა)**-ვაშეკ პოსპიშილი (კან) 4:6, 3:6, 7:6(9), 6:2, 7:6(10).

# ოლიმპიური ჩემპიონი წავიდა

2004 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ერთეულებსა და წყვილთა თანრიგში, ჩილელი **ნიკოლას მასუ** კარიერას ასრულებს. 33 წლის მოთამაშემ განაცხადა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევს საშუალებას, დაუბრუნდეს ძველ დონეს და ისევ მიაღწიოს წარმატებას პროფესიონალებში. ამიტომაც გადაწყვიტა სამხრეთამერიკელმა დიდი სპორტიდან წასვლა.

ამ მომენტისთვის, მასუ 587-ე ადგილს იკავებს ATP-ის კლასიფიკაციაში. რეიტინგში მისი საუკეთესო მაჩვენებელი იყო მეცხრე ადგილი, რომელსაც 2004 წლის სექტემბერში მიაღწია.

მასუს პროფესიული კარიერა 17 წელი გრძელდებოდა. ერთეულთა თანრიგში მან ექვსი ტიტული მოიგო, ყველაზე დიდ წარმატებას კი 2004 წელს, ათენის ოლიმპიადაზე მიაღწია, როცა ერთეულებშიც მოიგო ოქროს მედალი და წყვილებშიც, სადაც თანამემამულე **ფერნანდო გონსალესთან** ერთად გამოდიოდა.

# 17 წლის სენსაცია

მამაკაცებისგან განსხვავებით, ქალებმა დაასრულეს პირველი წრე. და სწორედ ამ ეტაპზე პირველი დიდი სენსაცია მოხდა. მართალია, ავსტრალიელი **სამანტა სტოსური** წელს ვერ ბრწყინავს, მაგრამ მაინც ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ამერიკის ღია პირველობის ყოფილი ჩემპიონი პირველი წრის მატჩს წააგებდა 17 წლის მასპინძელ **ვიქტორია დუვალთან**.

თავდაპირველად, ნორჩი ამერიკელი სერიოზულ ზეწოლას განიცდიდა და მართალია, დიდ წინააღდეგობას უწევდა ავსტრალიელს, მაინც ჩამორჩა - 5:7, 2:4. სტოსურს ერთი ქულა აკლდა მეორე სეტში მეხუთე გეიმის მოგებამდე, მაგრამ აქედან მოყოლებული შეძლო დუვალმა თამაშში გარდატეხის შეტანა.

ამერიკელი სრულ უპირატესობას დაეუფლა და ახლა, სტოსურს მოუწია თამაშის გადარჩენისთვის ზრუნვამ. მან 3:5 და 4:5-ზე ორი მატჩბოლი მოიგერია, მაგრამ მესამე ცდაზე ცუდი ფორჰენდი შეასრულა და ორი საათი და 39 წუთი დიდი ბრძოლის შემდეგ, დამარცხებულმა დატოვა მოედანი.

დუვალი წარმოშობით ჰაიტელია და ამერიკაში შემთხვევით აღმოჩნდა - ოჯახი კუნძულზე მომხდარი მიწისძვრის შემდეგ გადავიდა აშშ-ში და ვიქტორიამაც იქ დაიწყო თავისი კარიერა.

■ ■ ■

სხვა მატჩებში სავსებით ლოგიკური შედეგები დაფიქსირდა. მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **კაროლინ ვოზნიაცკიმ** ორ სეტში მოუგო ჩინელ დებიუტანტს **ინ-ინ დუანს**, თუმცა იოლი მატჩი არ ჰქონია. პირველი პარტია დანიელმა იოლად აიღო – 6:2, მაგრამ მეორეში თითქმის წაგებული პარტიის გადარჩენამ მოუწია. ჩინელი 5:2 იყო დაწინაურებული, ერთხელ კი ვოზნიაცკიმ სეტბოლი მოიგერია. საბოლოოდ, კაროლინმა ზედიზედ ხუთი გეიმი აიღო და მეორე წრეში გავიდა.

დუანმა მეტად აგრესიული თამაში აჩვენა, რაც 34 "ვინერსა" და 46 უნებლიე შეცდომაში გამოიხატა. ვოზნიაცკი კი ძალიან ცოტას უტევდა (11 "ვინერსი"), მაგრამ შეცდომასაც არ უშვებდა (11 უნებლიე).

გუშინ, ორმა ჩოგბურთელმა მოიგო თავისი მატჩი ისე, რომ ერთი გეიმიც არ დათმო. ვიქტორია აზარენკამ 65 წუთში გაანადგურა გერმანელი **დინა პფიცენმაიერი**. ამ შეხვედრაში 95 ქულა გათამაშდა და აქედან ბელარუსმა მხოლოდ 11 წააგო. იმავე ანგარიშით დაამარცხა იტალიელმა **სარა ერანიმ** პოლონელი **ოლივია როგოვსკა**.

კვლავ არასტაბილურია ჩეხი **პეტრა კვიტოვა**. პირველ რვა ნომრად განთესილ ჩოგბურთელებს შორის ის ერთადერთი იყო, რომელმაც სეტი წააგო. იაპონელმა **მისაკი დოიმ** მეორე სეტი აული ჩეხს, მაგრამ პირველსა და მესამეში განადგურდა. კვიტოვას არასოდეს ჰქონია წარმატება ამერიკის ღია პირველობაზე. "დიდი სლემის" ტურნირებზე კვიტოვას ყველგან უთამაშია მინიმუმ



ვიქტორია დუვალი

ნახევარფინალში, აშშ-ის ლიაზე კი არასოდეს მიუღწევია მინიმუმ მეოთხედფინალამდე.

### I წრე

**კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 6)**-ინ-ინ დუანი (ჩინ) 6:2, 7:5; **შანელ სხეპერსი (ს. აფრ)**-ჩანელ სიმონდსი (ს. აფრ) 2:6, 6:2, 6:1; **კამილა ჯორჯი (იტა)**-იანა ჩეპელოვა (სლოვაკ) 6:2, 6:2; **სუ-ვეი ჰსიე (ტაივ)**-კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ, 31) 6:3, 6:3; **ელენა ვესნინა (რუს, 22)**-ანიკა ბეკი (გერ) 6:1, 6:1; **კარინ კნაპი (იტა)**-გრეის მინი (აშშ) 6:3, 6:1; **ლუსი საფაროვა (ჩეხ)**-ლესია ცურენკო (უკრ) 6:3, 2:6, 6:4; **რობერტა ვინჩი (იტა, 10)**-ტიმეა ბაბოში (უნგ) 6:4, 6:2; **მარია კირილენკო (რუს, 14)**-იანინა ვიკმაიერი (ბელ) 6:1, 6:1; **მიშელ ლარშერ დე ბრიტუ (პორ)**-ელენი დანილიდუ (საბ) 6:4, 6:3; **დონა ვეკიჩი (ხორ)**-მარიანა დუკე-მარინო (კოლ) 7:6(5), 4:6, 6:2; **სიმონა ჰალეპი (რუმ, 21)**-ჰიზერ უოტსონი (ბრიტ) 4:6, 6:4, 6:2; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 27)**-მელორი ბურდეტი (აშშ) 6:3, 7:5; **შუაი პენგი (ჩინ)**-ივონ მოისბურგერი (ავსტრია) 6:3, 6:4; **ფლავია პენეტა (იტა)**-ნიკოლ გიბზი (აშშ) 6:0, 6:2; **სარა ერანი (იტა, 4)**-აიუმი მორიტა (იაპ) 6:0, 6:0; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 7)**-მისაკი დოი (იაპ) 6:2, 3:6, 6:1; **ბოიანა იოვანოვსკი (სერ)**-ანდრეა პეტკოვიჩი (გერ) 6:2, 6:4; **ელისონ რისკე (აშშ)**-ცვეტანა პირონკოვა (ბულ) 6:3, 6:3; **მონა ბარტელი (გერ, 28)**-იოჰანა ლარსონი (შვედ) 6:1, 6:4; **იულია გლუშკო (ისრ)**-ნადია პეტროვა (რუს, 20) 6:3, 6:4; **საჩია ვიკერი (აშშ)**-მირიანა ლუჩიჩი (ხორ) 6:4, 6:4; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ)**-მარია სანჩესი (აშშ) 7:5, 6:2; **ვიქტორია დუვალი (აშშ)**-სამანტა სტოსური (ავსტრა, 11) 5:7, 6:4, 6:4; **ანა ივანოვიჩი (სერ, 13)**-ანა ტატიშვილი (საქ) 6:2, 6:0; **ალექსანდრა დულგერუ (რუმ)**-ვარვარა ლეპჩენკო (აშშ) 6:7(5), 6:2, 7:6(5); **კრისტინა მაკჰეილი (აშშ)**-იულია გორგესი (გერ) 6:4, 6:3; **ელინა სვიტოლინა (უკრ)**-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 17) 6:4, 6:3; **ალიზ კორნე (საფ, 26)**-მარია ჟოაო კოლერი (პორ) 6:3, 6:2; **აილა ტომლიანოვიჩი (ხორ)**-კეისი დელაკუა (ავსტრა) 3:6, 6:1, 6:4; **ალექსანდრა ვოზნიაკი (კან)**-ვესნა დოლონცი (სერ) 7:5, 7:6(5); **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 2)**-დინა პფიცენმაიერი (გერ) 6:0, 6:0.

# ჩხუბი პირველ ნომრებს შორის

ქალებს შორის მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატზე - ფედერაციის თასზე იტალიის ნაკრების კაპიტანმა **კორადო ბარაცუტიმ** ჟურნალისტებს მოუყვა იმის შესახებ, რომ წყვილთა თანრიგში პირველ ნომრებს - **სარა ერანისა და რობერტა ვინჩის** შორის კონფლიქტი მოხდა.

როგორც იტალიური გამოცემა OK Tennis იტყობინება, ჩოგბურთელებმა ცინცინატის ტურნირის დროს იჩხუბეს, მიზეზი კი ბოლო ტურნირებში წარუმატებელი გამოსვლა გახდა.

*„მე მათთან კავშირი მაქვს. როცა ნიუ იორკში ჩავალ, აუცილებლად დაველაპარკები მათ. საქმე ისაა, რომ საჭიროა სრული ინფორმაცია მქონდეს მომხდართან დაკავშირებით. დიახ, შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ მათ შორის კონფლიქტია. თუმცა ეს სავსებით ნორმალური სიტუაციაა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ერთ გუნდში თამაშობს ძლიერი ხასიათის ორი მოთამაშე“*, - განაცხადა ბარაცუტიმ.



ერანი და ვინჩი



როჯერ ფედერერი

# ყველაზე მდიდარი როჯერ ფედერერი

ამერიკულმა ჟურნალმა „ფორბსმა“ გამოაქვეყნა გასული ერთი წლის განმავლობაში ყველაზე მაღალანაზღაურებადი ჩოგბურთელების რეიტინგი. პირველ ადგილზე აღმოჩნდა შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი**, მას მოჰყვება რუსი **მარია შარაპოვა**...

რეიტინგის ლიდერმა ფედერერმა ერთი წლის განმავლობაში 71.5 მილიონი დოლარი მიიღო, საიდანაც 6.5 მილიონი კორტზეა გამომუშავებული, 65 მილიონი კი სასპონსორო კონტრაქტებზე მოდის.

პირველ ათეულში შემდეგი ჩოგბურთელები შევიდნენ:

1. როჯერ ფედერერი - 71.5 მლნ (6.5+65)
2. მარია შარაპოვა - 29 მლნ (6+23)
3. ნოვაკ ჯოკოვიჩი - 26.9 მლნ (12.9+14)
4. რაფაელ ნადალი - 26,4 მლნ (5.4+21)
5. სერენა უილიამსი - 20.5 მლნ (8.5+12)
6. ნა ლი - 18.2 მლნ (3.2+15)
7. ვიქტორია აზარენკა - 15.7 (6.7+9)
8. ენდი მარეი - 14.9 (6.9+8)
9. კაროლინ ვოზნიაცკი - 13.6 (2.6+11)
10. კეი ნიშიკორი - 10.5 (1.5+9)

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# ტეოდოშიჩის იქნება და პარკერის



ლუჩიჩი და ტეოდოშიჩი

სერბეთის ნაკრების წამყვანი მცველი **მილოშ ტეოდოშიჩი** შეძლებს ევროპის ჩემპიონატზე თამაშს, რომელიც 4 სექტემბერს სლოვენიაში დაიწყება. როგორც სერბული პრესა წერს, მოსკოვის ცსკა-ს გამთამაშებელმა მოირჩინა ფეხის ტრავმა, რომელიც გაზაფხულის ბოლოს მიიღო. კერძოდ, 26 მაისს, სერბმა მცველმა მარცხენა ფეხის კუნთი დაიზიანა „ხიმკისთან" შეხვედრაში.

სხვა სიტუაციაა „ვალენსიას" ფორვარდ **ვლადიმერ ლუჩიჩთან** დაკავშირებით, რომელსაც ზურგი აწუხებს. მან მოირჩინა ტრავმა, მაგრამ სრული დატვირთვით ვარჯიში არ დაუწყია. მას ვერ წარმოუდგენია, როგორ უნდა აღიდგინოს ტურნირამდე დარჩენილ ერთ კვირაში ფორმა.

მომავალ ევრობასკეტზე ჯგუფში სერბეთის მეტოქეები იქნებიან ჩერნოგორიის, ბოსნიის, ლიტვის, ლატვიისა და მაკედონიის ნაკრებები.

■ ■ ■

საფრანგეთის ნაკრების ლიდერმა **ტონი პარკერმა**, რომელმაც მარჯვენა მუხლის ტრავმა მიიღო ესპანეთთან ამხანაგურ მატჩში, სამედიცინო გამოკვლევა ჩაიტარა.

დაზიანება სერიოზული არ აღმოჩნდა და კალათბურთელის აღდგენას რამდენიმე დღე დასჭირდება. ასე რომ, „სან ანტონიო სპურსის" გამთამაშებელი სრულ მზადყოფნაში შეხვდება ევრობასკეტს.

# პიპენს არ გაასამართლებენ

ლოს ანჯელესის სასამართლომ ბრალი არ წაუყენა „ჩიკაგო ბულზის" ლეგენდარულ მოთამაშე **სკოტი პიპენს**. ყოფილი კალათბურთელი ექვმიტანილი იყო მალიბუს ერთ-ერთი რესტორნის პარკინგზე ჩხუბის მოწყობაში. როგორც სააგენტო „როიტერი" წერს, NBA-ის ვარსკვლავი ოჯახთან ერთად ვახშმობდა და უარი უთხრა თაყვანისმცემელს ავტოგრაფზე. მამაკაცი, სახელად **კემრან შაფიში** ამტკიცებს, რომ ამის შემდეგ, პარკინგზე პიპენმა მას სახეში შეაფურთხა, აგრეთვე ხელებითა და ფეხებით რამდენიმე დარტყმა მიაყენა, რის გამოც დაზარალებულმა გონება დაკარგა და საავადმყოფოში მოხვდა.

ყოფილმა კალათბურთელმა პოლიციას აუხსნა, რომ სინამდვილეში, პირველმა შაფიშიმ შეაფურთხა, პიპენმა კი მხოლოდ ამის შემდეგ უპასუხა. შემდეგ სკოტიმ ხელი უბიძგა მამაკაცს, რომელიც დაეცა და ფეხებით სცადა მისწვდომოდა ვარსკვლავს. ინციდენტის ყველა დეტალის განხილვის შემდეგ, პროკურატურა იმ აზრამდე მივიდა, რომ საკმარისი მტკიცებულებები არ ჰქონდა პიპენის წინააღმდეგ, ამიტომაც საჭიროდ არ მიიჩნია სასამართლო პროცესის დაწყება.


სკოტი პიპენი




# ლინზე ფილმი გამოდის

დიდი ხანია **ჯერემი ლინი** ისეთი პოპულარული აღარ არის, როგორიც 2012 წლის თებერვალში იყო, როცა მთელი საკალათბურთო სამყარო მხოლოდ მასზე ლაპარაკობდა. უმაღლეს დონეზე ჩატარებულმა რამდენიმე შეხვედრამ ყველასთვის უცნობი მოთამაშე ვარსკვლავის რანგში აიყვანა.

დღეს ლინი ბევრს მიავიწყდა. გასულ სეზონში მან მხოლოდ იმით იყო გამორჩეული, რომ **ჯეიმს ჰარდენის** თანაგუნდელი გახლდათ. მიუხედავად ამისა, 4 სექტემბერს, ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოდის სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი ჯერემიზე, რომელსაც დიდ წარმატებას უწინასწარმეტყველებენ. ეს არც არის გასაკვირი. ფილმის პრემიერა ჯერ კიდევ იანვარში, „სანდენსის" 29-ე ფესტივალის რანგში შედგა და მაშინ ყველა ბილეთი გაიყიდა, ვებგვერდ IMDB-ზე კი სურათის რეიტინგი 8.7 ქულას (10-ბალიანი სისტემა) უდრის.

# კარგი გუნდი თავისუფალი აგენტებისგან

მას შემდეგ, რაც „ჰიუსტონმა" თავისუფალი აგენტების ბაზრიდან აიყვანა **რონი ბრიუერი**, პორტალმა Hoopsworld-მა კიდევ ერთხელ გადახედა უმუშევარი კალათბურთელების სიას. თუ ყურადღებას არ მივაქცევთ იმას, რომ ზოგიერთმა მათგანმა ევროპულ კლუბებთან გააფორმა კონტრაქტი, ამ კალათბურთელებისგან ძალიან კარგი გუნდის შეკრება შეიძლება. ყოველ შემთხვევაში, ევროლიგაში ისინი არ დაიკარგებოდნენ, თუმცა მათთვის 25-30 მილიონი დოლარის დახარჯვაა საჭირო.

**გამთამაშებლები:** ბობი ბრაუნი, როდრიგ ბობუა, დანიელ გიბსონი;

**შემტევი მცველები:** საშა ვუიაჩიჩი, რიჩარდ ჰემილტონი, ქსავიერ ანრი;

**მსუბუქი ფორვარდები:** ლინას კლეიზა, სტივენ ჯექსონი, ლუკ ბებიტი;

**მძიმე ფორვარდები:** ლამარ ოდომი, დრიუ გუდენი, ივან ჯონსონი;

**ცენტრები:** ჰამედ ჰადადი, ჰენრი სიმზი, ჯეისონ კოლინზი.

კრივი

# ტრავმა კალათბურთის დროს

რვაწონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა, ფილიპინელმა **მენი პაკიაომ** კოჭის ტრავმა მიიღო კალათბურთის თამაშის დროს, - იტყობინება boxingscene.com.

ეს იმის გამო მოხდა, რომ 34 წლის მოკრივემ ფეხი სპეციალური დამაფიქსირებელი ბინტით არ შეიხვია, როგორც ამას ჩვეულებრივ აკეთებს. აღვნიშნავთ, რომ პაკიაომ მონაწილეობა მიიღო სამ შეხვედრაში და აქედან პირველმა ორმა ინციდენტის გარეშე ჩაიარა.

როგორც მოკრივე აცხადებს, დაზიანება სერიოზული არ არის და ის მალე დაიწყებს სირბილსა და მსუბუქ ვარჯიშებს. რაც შეეხებს სერიოზულ შეკრებას, პაკიაო ინტენსიურ ვარჯიშებზე 6 ოქტომბრიდან გადავა, როცა ფილიპინებზე დაბრუნდება მისი მწვრთნელი **ფრედი როუჩი.**

შეგახსენებთ, რომ პაკიაოს შემოდგომაზე სერიოზული ბრძოლა ელის - 24 ნოემბერს ის მაკაოში შეხვდება 27 წლის ამერიკელ **ბრენდონ რიოსს.**

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


მენი პაკიაო

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ჩემპიონთა ლიგა**

**პლეი ოფი. II მატჩები**

| | |
|---|---|
| ზენიტი-ფერეირა | 4:2 (4:1) |
| მილანი-ეინდჰოვენი | 3:0 (1:1) |
| სელტიკი-შახტიორი (ყ) | 3:0 (0:2) |
| მარიბორი-პლზენი | 0:1 (1:3) |
| სოსიედადი-ლიონი | 2:0 (2:0) |

**ინგლისი**

**ლიგის თასი. II რაუნდი**

| | |
|---|---|
| აკრინგტონი-კარდიფი | 0:2 |
| ასტონ ვილა-როტერჰემი | 3:0 |
| ევერტონი-სტივენეიჯი | 2:1 |
| მორეკამბი-ნიუკასლი | 0:2 |
| ნოტინგემი-მილუოლი | 2:1 |
| სტოკი-უოლსოლი | 3:1 |
| უოტფორდი-ბორნმუთი | 2:0 |

**ესპანეთი**

**სუპერთასი. II მატჩი**

| | |
|---|---|
| ბარსელონა-ატლეტიკო | 0:0 (1:1) |

**გერმანია**

**რეგიონალლიგა (ჩრ)**

| | |
|---|---|
| სტ. პაული II-ჰამბურგი II | 0:2 |
| კლოპენბურგი-ბრაუნშვაიგი II | 2:2 |

**შოტლანდია**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| დამბარტონი-დანდი იუნ | 2:3 |

**დანიის თასი**

**II რაუნდი**

| | |
|---|---|
| მეირუპი-ფრედერისია | 1:5 |
| ვალენსბაეკი-სვებოლე | 0:0 პენ. 5:6 |
| ბირკეროდი-მარიენლისტი | 5:0 |
| ავარტა-ნორდვესტი | 0:4 |
| ჰედენსტედი-სვენდბორგი | 2:2 პენ. 4:6 |
| ბ1908-სონდერიისკი | 0:1 |
| გლოხუსი-ვიბორგი | 0:1 |
| კალუნდბორგი-ვესტსიელანდი | 0:9 |
| კოლდინგი-ჰობრო | 0:5 |
| ჰვიდოვრე-ბრონდბიუ | 2:1 |
| ჰიკ-ბრონშოი | 0:2 |
| ფრემი-ნაესტვედი | 1:1 პენ. 6:7 |
| გლოსტრუპი-ლუნგბიუ | 0:5 |
| ტისტედი-ჰორსენსი | 1:3 |
| როსკილდე-ელიტი | 1:2 |

**შვედეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| იონჩოპინგი-ოსტერსუნდი | 1:1 |
| ვარბერგი-დეგერფორსი | 2:2 |
| სუნდსვალი-ანგელჰოლმი | 2:2 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ტურკუ-მიუპა | 1:2 |

**ჩეხეთის თასი**

**II რაუნდი**

| | |
|---|---|
| ბრუმოვი-კარვინა | 0:1 |
| სლოვანი-ტეპლიცე | 2:0 |
| ადმირა-რუდნიცე | 1:1 პენ. 2:4 |
| ხომუტოვი-სლავია | 0:7 |

**სლოვაკეთის თასი**

**1/16 ფინალი**

| | |
|---|---|
| ბანიკი-კოშიცე | 1:3 |
| დაკ 1904-პორონიე | 6:1 |
| მილენიუმი-რიმავსკა | 0:1 |
| ნემსოვა-მიიავა | 1:0 |
| ნოვე მესტო-სლოვანი | 0:5 |
| პეტრჟალკა-მორავცე | 2:4 |
| ტრნავა-სკალიცა | 2:0 |
| ვრანოვი-მიხალოვცე | 0:2 |

**რუსეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ლუჩ ენერგია-სალუტი | 1:1 |
| ანგუშტი-დინამო (ს-პ) | 2:0 |
| უფა-სიბირი | 0:3 |
| გაზოვიკი-ნალჩიკი | 4:0 |
| ხიმიკი-ენისეი | 1:0 |
| ნეფტიხიმიკი-მორდოვია | 0:1 |
| ალანია-არსენალი | 2:0 |
| შინიკი-სკა ენერგია | 1:2 |
| ბალტიკა-როტორი | 0:2 |

**ხორვატია**

| | |
|---|---|
| ლოკომოტივა-ჰაიდუკი | 1:3 |

**მაკედონია**

| | |
|---|---|
| გორნო-რენოვა | 1:2 |
| ვარდარი-ბრეგალნიცა | 1:0 |
| მაკედონია-ტურნოვო | 2:1 |
| ნაპრედოკი-გოსტივარი | 3:0 |
| პელისტერი-მეტალურგსი | 2:2 |
| შკენდია-რაბოტნიჩკი | 2:2 |

**ჩერნოგორია**

| | |
|---|---|
| დეჩიჩი-სელიკი | 2:2 |
| მლადოსტი-ლოვჩენი | 0:2 |
| მოგრენი-ზეტა | 4:3 |
| მორნარი-რუდარი | 0:0 |
| პეტროვაცი-ბუდუჩნოსტი | 1:3 |
| სუტიესკა-გრბალი | 0:1 |

**იაპონია**

| | |
|---|---|
| ვეგალტა-სერეზო | 1:1 |
| კაშივა-შონანი | 5:2 |
| ტოკიო-ტოსუ | 2:3 |
| კავასაკი-ომიია | 2:1 |
| კოფუ-ჰიროშიმა | 2:0 |
| ნიიგატა-ივატა | 4:2 |
| შიმიცუ-კაშიმა | 4:3 |
| ნაგოია-oიტა | 2:1 |
| იოკოჰამა-ურავა | 3:0 |

**კორეა**

| | |
|---|---|
| ბუსანი-ჯეჯუ | 1:2 |
| ჩუნამი-გიეონგნამი | 1:0 |
| დაეჟეონი-დაეგუ | 1:3 |
| სეული-ჟეონბუკი | 1:1 |
| ინჩეონი-სუვონი | 3:1 |
| სეონგნამი-განგვონი | 2:0 |
| ულსანი-პოჰანგი | 2:0 |

**კალათბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| იტალია-ბოსნია | 73:62 |
| რუსეთი-უკრაინა | 86:70 |
| საბერძნეთი-ლიტვა | 80:62 |
| ფინეთი-ლატვია | 84:90 |
| ბელგია-ჩეხეთი | 72:59 |
| ესპანეთი-ბრიტანეთი | 80:67 |

**ჩოგბურთი**

**ATP. აშშ-ის ღია**

| | |
|---|---|
| ანდერსონი-ბრანდსი | 7:5, 4:6, 6:2, 6:3 |
| ბაღდატისი-სოედა | 6:4, 6:3, 6:1 |
| დოლგოპოლოვი-გოფენი | 6:2, 6:4, 6:4 |
| მაუ-იუჟნი | 4:6, 4:6, 6:7 |

**WTA. აშშ-ის ღია**

| | |
|---|---|
| არვიდსონი-ნა ლი | 2:6, 2:6 |
| ბარტი-პავლიუჩენკოვა | 4:6, 0:6 |
| ა. რადვანსკა-ტორრო ფლორრი | 6:0, 7:5 |
| ვანდევეგე-სუარეს ნავარო | 3:6, 4:6 |

TV პროგრამა

**29 აგვისტო. ხუთშაბათი**

**I არხი**

**19:55** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. პლეი ოფი. დილა-რაპიდი. საპასუხო მატჩი (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ესპანეთის სუპერთასი. ბარსელონა-ატლეტიკო. საპასუხო მატჩი.
**12:00** ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. სოსიედადი-ლიონი. საპასუხო მატჩი.
**14:00** ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. ზენიტი-ფერეირა. საპასუხო მატჩი.
**16:00** პორტუგალიის ჩემპიონატი. II ტური. პორტო-მარიტიმუ.
**18:00** არგენტინის ჩემპიონატი. IV ტურის მიმოხილვა.
**19:00** ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. არსენალი-ფენერბახჩე. საპასუხო მატჩი.
**21:00** გერმანიის ჩემპიონატი. III ტურის მიმოხილვა.
**22:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. IV ტური. ჰერენვეენი-აიაქსი.
**00:00** გერმანიის ჩემპიონატი. III ტური. ლევერკუზენი-ბორუსია (მ).

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ჰერაკლესი-ეინდჰოვენი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. პორტლენდი-დალასი.
**14:30** კალათბურთი. ევროლიგა. „ოთხთა ფინალი". მე-3 ადგილისთვის. ცსკა-ბარსელონა.
**16:30** ძიუდო. მსოფლიო ჩემპიონატი. რიო დე ჟანეირო. ბრაზილია. მიმოხილვა.
**17:00** ძიუდო. მსოფლიო ჩემპიონატი. რიო დე ჟანეირო. ბრაზილია (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. უიმბლდონი. ლონდონი. ბრიტანეთი.
**14:00** სპორტ-NEWS.
**14:30** ჩოგბურთი. უიმბლდონი. ლონდონი. ბრიტანეთი.
**19:10** სპორტ-NEWS.
**19:40** საჩოგბურთო მიმოხილვა
**22:20** ჩოგბურთი. უიმბლდონი. ლონდონი. ბრიტანეთი.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 18 | 29 | (მზე) |
| ქუთაისი | 26 | 35 | (მზე) |
| ბათუმი | 24 | 32 | (მზე) |
| ფოთი | 25 | 35 | (მზე) |
| ზუგდიდი | 22 | 36 | (მზე) |
| გორი | 16 | 32 | (მზე) |
| თელავი | 18 | 28 | (მზე) |
| სიღნაღი | 18 | 29 | (მზე) |
| ბაკურიანი | 11 | 25 | (მზე) |
| ბორჯომი | 16 | 31 | (მზე) |
| მესტია | 13 | 30 | (მზე) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2173 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6614 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5778 |
| 100 რუსული რუბლი | 5.0159 |

TimeLine
29 აგვისტო ხუთშაბათი 2013
ელ-ფოსტა ან მობილური | პაროლი
ვაჟა სიმონიშვილი | •••••••••• | ავტორიზაცია
დამიმახსოვრეთ | დაგავიწყდათ პაროლი?
16
ქართული ბიბლიოთეკა

# არც ერთი ნაბიჯი უკან!

რუბრიკა „ტაიმლაინმა" მზის სინათლე რომ იხილა, პირველივე დღეს, შესავალში დავწერეთ: სოციალურ ქსელებში იმდენი საინტერესო ინფორმაცია თუ ფოტო ქვეყნდება, მათი გადამუშავების შედეგად საინტერესო და სახალისო რუბრიკის შექმნა შეიძლება.

მართლაც, „ფეისბუკზე" „დილა"-„რაპიდის" საპასუხო მატჩის წინ ერთი საინტერესო ფოტო გამოქვეყნდა, გადავწყვიტეთ, არ მოგვეცადა და რუბრიკა ამ კვირაში ორჯერ შემოგვეთავაზებინა, დღეს სპეცგამოშვებაა, ხოლო ხვალინდელ ნომერში ჩვეულებრივად ერთგვერდიან „ტაიმლაინს" იხილავთ.

რომელ ფოტოზე ვწერთ, თავადაც ხედავთ. გამჭრიახ გულშემატკივარს კარგ დროს გაუხსენებია, რომ იოსებ სტალინი გორელი იყო, ხოლო ადოლფ ჰიტლერი - ავსტრიელი. მათი ცნობილი ფრაზები „დილა"-„რაპიდის" შეხვედრასაც შეესაბამება...

DILA Gori

### იოსებ სტალინი

„არ არის დედამიწაზე ციხესიმაგრე, რომლის აღება მშრომელებს არ შეუძლიათ."

**..."დილას" 0:1 აქვს აღმოსაფხვრელი.**

„არც ერთი ნაბიჯი უკან! ახლა ასეთი უნდა იყოს ჩვენი მთავარი მოწოდება."

**..."დილას" მინიმუმ ერთი გოლი აქვს გასატანი, უნდა შეუტიოს.**

„ჩვენი საქმე მართალია, მეტოქეს გავტეხთ, გავიმარჯვებთ!"

„ყველაფერს კადრები წყვეტენ".

**ვნახოთ, გორელებს უკეთესი კადრები ჰყავთ თუ ვენელებს.**

„ამბობენ, გამარჯვებულებს არ ასამართლებენო. ეს არასწორია. მოგებულები უნდა განვსაჯოთ, გავაკრიტიკოთ. ეს საქმისთვისაც სასარგებლოა და თავად გამარჯვებულთათვისაც: უფრო თავმდაბლები იქნებიან."

facebook.com/GeorgianFootball




### ადოლფ ჰიტლერი

მას მერე, რაც ჰიტლერმა ევროპის რამდენიმე ქვეყანა დაიპყრო, გერმანიისა და ავსტრიის საფეხბურთო ჩემპიონატები გააერთიანა. იცით, ვინ გაიმარჯვა პირველივე სეზონში (1940-41 წლებში)? „დილას" დღევანდელმა მეტოქე ვენის „რაპიდმა".

გთავაზობთ ჰიტლერის მხოლოდ ერთ ფრაზას, რომელიც მატჩის წინ ერთგვარ მოწოდებად გამოდგება:

„ვისაც სიცოცხლე უნდა, უნდა იბრძოლოს. ვისაც წინააღმდეგობის გაწევა არ უნდა, სიცოცხლის უფლება არა აქვს".

დღეს თბილისში გადამწყვეტი ბრძოლაა, „დილასა" და „რაპიდის" მატჩში გამარჯვებული ევროპალიგაზე კიდევ დიდხანს „იცოცხლებს", წაგებული კი მომავალ ზაფხულამდე ევროპისთვის არსებობას შეწყვეტს.

RAPID Wien

---

● უცხოური სპორტი — ფორმულა 1

## კიმი მაკლარენსაც მოუნდა

„მაკლარენის" შეფმა **მარტინ უიტმარშმა** აღიარა, რომ მისი გუნდი ცდილობდა **კიმი რაიკონენთან** მოლაპარაკებებზე გასვლას კონტრაქტის გაფორმების თაობაზე, მაგრამ მთელი რიგი მიზეზების გამო მხარეების შეხვედრა არ შედგა. ფინელი პილოტის მოქმედი კონტრაქტი „ლოტუსთან" ამ სეზონის ბოლოს იწურება. უფრო ადრე იტყობინებოდნენ მსოფლიოს 2007 წლის ჩემპიონის შესაძლო გადასვლაზე „რედ ბულში" ან „ფერარიში".

*„ჩვენ განვიხილავთ რაიკონენის „მაკლარენში" დაბრუნების შესაძლებლობას,* - ამბობს სააგენტო „როიტერთან" კომენტარში უიტმარში. - *კიმი შესანიშნავი პილოტია და მე ყოველთვის მისი თაყვანისმცემელი ვიყავი. დღეს ბევრი ჭორია ამასთან დაკავშირებით, მაგრამ ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. გასულ წელს, მოლაპარაკებები უნდა გვქონოდა, მაგრამ რამდენიმე მიზეზის გამო არ შედგა. წელს არ გვილაპარაკია. ჯერჯერობით".*

■ ■ ■

ამასობაში, „მაკლარენის" ამჟამინდელი პილოტი **ჯენსონ ბატონი** მოელაპარაკა თავის გუნდს ახალ კონტრაქტზე, - ირწმუნება Motorsport. ხელშეკრულება სამწლიანია, თითო სეზონისთვის კი ბრიტანელი ავტომრბოლი 12 მილიონ ფუნტს მიიღებს.

ადრე **მარტინ უიტმარში** აცხადებდა, რომ გუნდი ყველაფერს გააკეთებდა ბატონის შესანარჩუნებლად. აღვნიშნავთ, რომ მის მოქმედ კონტრაქტს ამ სეზონის შემდეგ გასდის ვადა.


ჯენსონ ბატონი

### რიკარდოს ამბავი გადაწყვეტილია?

როგორც ჩანს, საბოლოოდ გადაწყდა „ტორო როსოს" პილოტის **დანიელ რიკარდოს** „რედ ბულში" გადასვლა.

ბელგიის გრანპრის შემდეგ, ავსტრალიელი მილტონ-კეისში, „რედ ბულის" ბაზაზე გაემგზავრა, სადაც ჩატარდა მისთვის სარბოლო სავარძლის მორგების პროცედურა.

თუმცა ავსტრიული საჯინიბოს შეფმა **კრისტიან ჰორნერმა** კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ გუნდს ჯერ არ გაუკეთებია საბოლოო არჩევანი რიკარდოს სასარგებლოდ და უარყო ინფორმაცია მასთან შეთანხმების თაობაზე.

**გია თვალაბეიშვილი**



## ყველაზე კარგად უებერი ასწრებს

ბელგიის გრანპრიზე ფინელი **კიმი რაიკონენი** მუხრუჭებთან დაკავშირებული პრობლემების გამო ვერ მივიდა ფინიშამდე, რითაც შეწყდა მისი 27-ეტაპიანი სერია, რომლის განმავლობაშიც „ლოტუსის" პილოტი ქულათა ზონაში შედიოდა. მიუხედავად ამისა, ფინელი კვლავაც საუკეთესო სამეულშია გასწრების სპეციალისტებს შორის: წელს, მის ანგარიშზე 36 წარმატებული მანევრი მოდის.

მარტო ბელგიაში შესრულებული წარმატებული გასწრებებით, მან ოთხი მოწინააღმდეგე ჩამოიცილა. ანალოგიური სტატისტიკით შეუძლიათ დაიკვეხნონ **ჟან-ერიკ ვერნმა, დანიელ რიკარდომ** და **ადრიან სუტილმა.** ერთით მეტი გასწრება ჰქონდა სპაზე **ფელიპე მასას** და ის 2013 წლის რეიტინგში მეორე ადგილზე იმყოფება: ბრაზილიელის ანგარიშზე 40 გასწრება მოდის. სიის სათავეში კი **მარკ უებერი** იმყოფება: მას 41 ასეთი მანევრი დაუგროვდა.

ავსტრალიელის ლიდერობა იმით აიხსნება, რომ წელს ის ხშირად ხვდება პელოტონის შუაში, რის შემდეგაც, მანქანის შესაძლებლობები და საკუთარი გამოცდილება და ოსტატობა აძლევს წინსვლის საშუალებას. იგივე შეიძლება ითქვას კიმი რაიკონენზე, რომელიც, როგორც წესი, ცუდად ატარებს კვალიფიკაციებს და შემდეგ, რბოლებში უწევს რეაბილიტაცია.

სრულიად საპირისპირო სიტუაციაა **სებასტიან ფეტელთან** მიმართებაში: კვალიფიკაციის შემდეგ, ის ან პოულიდან, ან პირველი ხაზიდან იღებს სტარტს და არ სჭირდება მეტოქეების უკან ჩამოტოვება. გერმანელი ამ რეიტინგში მხოლოდ მე-16-17 ადგილებს იყოფს **ესტებან გუტიერესთან.**

ფინური გაზეთის Turun Sanomat-ის მიერ შედგენილი რეიტინგი ასე გამოიყურება: 1. მარკ უებერი - 41; 2. ფელიპე მასა - 40; 3. კიმი რაიკონენი - 36; 4. ფერნანდო ალონსო - 32; 5. ლუის ჰემილტონი - 29; 6. ჟან-ერიკ ვერნი - 28; 7. ნიკო ჰიულკენბერგი - 27; 8. რომენ გროსჟანი - 25; 9-10. პოლ დი რესტა - 24; დანიელ რიკარდო - 24; 11. ადრიან სუტილი - 23; 12. ვალტერი ბოტასი - 22; 13. სერხიო პერესი - 18; 14-15. შარლ პიკი - 17; ნიკო როსბერგი - 17; 16-17. ესტებან გუტიერესი - 16; სებასტიან ფეტელი - 16; 18. ჯენსონ ბატონი - 15; 19. პასტორ მალდონადო - 14; 20. გიდო ვან დერ გარდე - 8; 21. მაქს ჩილტონი - 6; 22. ჟიულ ბიანკი - 4.

**გია თვალაბეიშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე (577 74 89 21), გია ტუხაშვილი (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:40. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608